საქართველოს [illegible] ბიბლიოთეკა

წლიწადი მეექვსე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო.

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმიანად მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34, ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დაწესებულებებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—48.

ოთხშაბათი, 18 აგვისტო 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 186 (1731)

დღიური

- საფრანგეთის საოკუპაციო ჯარებში რეინის ოლქში უწყობილებას აქვს ადგილი.
- საბჭოთა კავშირში ჩამოსვლას აპირებს საფრანგეთის ტრანსპორტის მუშათა დელეგაცია.
- ინგლისში ადგილი ჰქონდა დიდ მიწისძვრას.
- დაიხურა განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის კონგრესი.
- სპარსეთის ქურთისტანში აჯანყება დაიწყო.
- ბეირუთში (სირია) გაიფიცა რამოდენიმე ათასი მუშა.
- გაფიცვის გამო ინგლისის რკინისგზის კომპანიების შემოსავალი 16 მილიონი გირ. სტერლინგით შემცირდა.

მომჭირნეობის რეჟიმის გარშემო

პარტიისა და მთავრობის მიმართვა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებისადმი

მოსკოვი, 17 აგვისტო. ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებისადმი დაგზავნილ მიმართვაში, რომელსაც ხელს აწერენ: საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **რიკოვი**, საკავშირო კომპარტიის ცეკას მდივანი **სტალინი** და საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე **კუიბიშევი**, ნათქვამია:

„ლოზუნგს „ბრძოლა მომჭირნეობის რეჟიმისათვის“, უდიდესი ინტერესით გამოეხმაურენ მუშათა და გლეხთა ფართო მასები. ეხლა უკვე ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ სახალხო მეურნეობაში მომჭირნეობის რეჟიმის გატარებას უნდა ჰქონდეს არა მარტო თანამედროვე სიძნელით გამოწვეული დროებითი დამკვრელი კამპანიის ხასიათი, არამედ იგი უნდა იქნას ნავარაუდევი ჩვენი სამეურნეო განვითარების მთელი პერიოდისათვის.

კამპანიის მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს უყაირათობისა და მფლანგველობის ნაცვლად მეურნეობის წესიერი გაძღოლის და სახელმწიფო საშუალებათა დაზოგვითა და მიზანშეწონილად ხარჯვის დამკვიდრება.

კამპანიის არა ნაკლებ მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს კამპანიის ჩატარების დროს შემჩნეული მისწრაფება საწარმოო, სატრანსპორტო, სავაჭრო-კოოპერატიულ და მართვა-გამგეობის აპარატების გაუმჯობესებისა, გამარტივებისა, შემცირებისა და გაიაფებისაკენ.

კამპანიის უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ის, რომ მან საბოლოოდ გამოააშკარავა მომჭირნეობის რეჟიმის მტრები: მთელ რიგ სამეურნეო დაწესებულებათა ბიუროკრატიზმი, „კანცელიარშჩინა“; უკანასკნელნი სცდილობენ ბიუროკრატიული მიწერ-მოწერით გვერდი აუხვიონ მომჭირნეობის რეჟიმს, ჩაებღაუჭონ წვრილმანებს და ხელუხლებლად დასტოვონ მთავარი ბოროტება; ამ კამპანიამ გამოააშკარავა აგრეთვე მთელ რიგ პასუხისმგებელ ამხანაგების დანაშაულებრივი ლმობიერება ბიუროკრატიზმის და „კანცელიარშჩინა“-სადმი და აგრეთვე ის, რომ მათ არ შესწევთ უნარი მასიურ მოძრაობათ გადააქციონ ეს კამპანია.

ამ მიღწევებთან ერთად უნდა აღინიშნოს კამპანიის მთელი რიგი თვალსაჩინო დეფექტებისა: მომჭირნეობის რეჟიმის პოლიტიკურ მნიშვნელობის დამახინჯება. მომჭირნეობის რეჟიმი ესმით ჩვეულებრივად, როგორც დროებითი ცდა ალაგმული იქნას გადაჭარბებული მფლანგველობა და უყაირათობა. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ მომჭირნეობის რეჟიმის ამგვარად გაგებას, არაფერი საერთო არ აქვს ნამდვილ მომჭირნეობის რეჟიმთან. მომჭირნეობის რეჟიმი ნიშნავს იმას, რომ ჩვენმა საწარმოო, სატრანსპორტო, სავაჭრო-კოოპერატიულმა, ადმინისტრატიულმა და სხვა აპარატებმა გადაარჩინონ ახლაც მომავალშიც ასეული მილიონი მანეთიბი და მოახმარონ ეს ფული ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეს. მომჭირნეობის რეჟიმი არის მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცების საკითხი, ჩვენი ინდუსტრიის შემდგომი განვითარების საკითხი, ჩვენს სამეურნეო და ადმინისტრატიულ ორგანოებში ბიუროკრატიზმის აღმოფხვრის საკითხი.

მეორე—მომჭირნეობის რეჟიმის დამახინჯება მისი პრაქტიკულად გატარების დროს, რაც გამოიხატა იმაში, რომ ზოგიერთმა სამეურნეო ორგანოებმა გაატარეს სრულიად დაუშვებელი ღონისძიებანი, რამაც შელახა მუშების საარსებო ინტერესები და გააუარესა მათი მატერიალური მდგომარეობა. ეს საზიზღრობა ორკეცდება კიდევ იმით, რომ მას სჩადიან იმ დროს, როცა მართვა-გამგეობის ორგანოებში დატოვებულია გაბერილი შტატები და მფარველობას უწევენ მაღალ თანამდებობის პირთ, რომელნიც არ უნდა შევრიოთ კეთილსინდისიერ, თავის საქმისადმი ერთგულ სპეციალისტებში. ეს სისაძაგლე გადადის პირდაპირ ბოროტმოქმედებაში, როცა იგი ტარდება შეგნებულად თუ შეუგნებლად თვით მომჭირნეობის რეჟიმის იდეისათვის ძირის გამოთხრის მიზნით. ამ ღონისძიებათა ავტორებს, ალბად, არ ესმით, რომ მომჭირნეობის რეჟიმის უმთავრესი მიზანი—სოციალისტური მრეწველობის განვითარება,—არ შეიძლება განხორციელდეს მუშათა კლასის მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესების და კულტურულ დონის აწევის გარეშე.

პარტია და მთავრობა მოითხოვენ, რათა ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოეღოს ამ სისაძაგლეს. პარტია და მთავრობა აცხადებენ, რომ სასტიკად დაისჯებიან დამნაშავენი, თუ კვლავ განმეორდა ასეთი სისაძაგლე. პარტია აცხადებს, რომ დაუყოვნებლივ განდევნის თავის წრიდან ყველა კომუნისტებს, რომლებმაც არ გამოიჩინეს და ან არ გამოიჩენენ საჭირო ენერგიას ასეთ სისაძაგლესთან ბრძოლაში.

მესამე,— მომჭირნეობის რეჟიმის კამპანიაში მუშათა და გლეხთა ფართო მასების არა საკმარისი ჩაბმა, მუშათა საწარმოო თათბირების სუსტად გამოყენება და პროფკავშირების არა საკმარისი აქტივობა კამპანიის ჩატარების საქმეში. ამის გამო, კამპანიის მორიგ ამოცანას შეადგენს საწარმოო თათბირების მოქმედების გაცხოველება, თათბირებში საინჟინერო-ტეხნიკურ ძალების ჩაბმა, სხვადასხვა მიღწევებისათვის პრემიების შემოღება და საწარმოო თათბირების მიმართ ხელმძღვანელობის გაძლიერება. ასეთია მომჭირნეობის რეჟიმის კამპანიის დეფექტები.

აღნიშნავენ რა მომჭირნეობის რეჟიმის კამპანიის მიღწევებს პარტია და მთავრობა მოუწოდებენ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს ამ მიღწევების გაფართოებისაკენ და მათ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ამ კამპანიის ნაკლულოვანებებზე. პარტია და მთავრობა მოითხოვენ, რათა მიღებული იქნას ყოველგვარი ზომები ამ ნაკლულოვანებათა თავიდან ასაცილებლად. ბრძოლა მომჭირნეობის რეჟიმისათვის უნდა გამოსჭვივოდეს ჩვენი საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციების, ჩვენი პრესის, ჩვენი აგიტატორების და პროპაგანდისტების ყოველდღიურ მუშაობაში. უდიდესი როლი მომჭირნეობის რეჟიმის გატარების საქმეში ეკისრება საკონტროლო ორგანოებს, ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მეთაურობით. მათ განუწყვეტლივ უნდა ადევნონ თვალყური მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელებას. მათ თვალყური უნდა ადევნონ, რათა მომჭირნეობის რეჟიმის გატარება სწარმოებდეს იმ საშუალებათა გადანარჩუნების გზით, რომელიც საჭიროა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის“.

როგორ უნდა გვესმოდეს მომჭირნეობის რეჟიმი

მკითხველი გაეცნობა დღეს ჩვენს გაზეთში მომჭირნეობის რეჟიმის შესახებ ფრიად საყურადღებო დოკუმენტს, რომელსაც ხელს აწერენ: საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, ამხ. რიკოვი, საკავშირო კომპარტიის ცეკას გენერალური მდივანი, ამხ. სტალინი და საკავშირო კომპარტიის ცენ. საკონტ. კომისიის თავმჯდომარე, ამხ. კუიბიშევი.

რას გვეუბნება ჩვენ ეს დოკუმენტი? აქ ერთი მხრივ მოცემულია მომჭირნეობის კამპანიის მთელი რიგი მიღწევანი და მეორე მხრივ აღნუსხულია ის მთავარი ნაკლულოვანებანი, რომელიც ახასიათებს მომჭირნეობის რეჟიმის კამპანიას. ამასთან ერთად აქ ერთხელ კიდევ დასმულია ჩვენს წინაშე მომჭირნეობის ამოცანა, როგორც უაღრესი მნიშვნელობის პირობა ჩვენ ყოველდღიურ ეკონომიურ და კულტურულ საქმიანობაში.

მომჭირნეობის რეჟიმი თავიდანვე ბევრგან ისე გაიგეს, თითქოს ამ კამპანიით პარტია და ხელისუფლება მიზნად ისახავენ იმ აშკარა თუ ფარულ ბოროტმოქმედებას, ან დაუდევრობისა და უყაირათობის წინააღმდეგ იერიშის მიტანას, რომელნიც აფერხებენ საბჭოთა აღმშენებლობის ნორმალურ წინსვლელობას. ნამდვილად კი ეს მთლად ასე არ არის. ან, უკეთ რომ ვთქვათ, ეს საკითხის დაკნინებაა, მომჭირნეობის რეჟიმის მეორეხარისხოვან მნიშვნელობის ამოცანებით განსაზღვრაა.

მთავარი აზრი მომჭირნეობის რეჟიმის კამპანიისა მდგომარეობს სოციალისტურ დოვლათის დაგროვება-გაძლიერებაში. ურომლისოდ წარმოუდგენელია ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წარმატებით განვითარება, ურომლისოდ შეუძლებელია სოფლისა და ქალაქის კავშირის განმტკიცება და კონკურენცია კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მეურნეობასთან.

ამიტომ საკითხი სრულიადაც მარტო იმაში არ მდგომარეობს, რომ ჩვენ აღმოვფხვრათ ბოროტმოქმედება, გულგრილობა თუ უნიათობა. ამ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად ჩვენი წარმოების, კოოპერაციის, ვაჭრობის და სხვა სამეურნეო დარგების წინაშე სდგას კონკრეტიული ამოცანა: რომ მათ შესძლონ საქმის ისეთი სარფით წაყვანა, რომ ყოველ განსაზღვრულ დროის განმავლობაში, შეიტანონ მუშათა და გლეხების სახელმწიფო სალაროში, ასეული ათასი თუ მილიონი მანეთები. საკითხი, როგორც ვხედავთ, არც ისე მარტივია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ბევრი ჩვენი წარმოებანი, თუ კოოპერატიული სავაჭროები ჯერ კიდევ აქა-იქ სახელმწიფოს სალაროს დახმარებით „იბრუნებენ სულს“.

იმ დანიშნულობის პირნათლად შესრულებისათვის, რომელიც დასახულია ჩვენ სამეურნეო და ადმინისტრატიულ-კულტურულ ორგანოების წინაშე მომჭირნეობის რეჟიმის სახით, საჭიროა ხანგრძლივი და სერიოზული მუშაობა ამ ორგანოთა აპარატის გაიაფება, გამარტივება, გასაუმჯობესებლად. აქედან ცხადია, რომ მომჭირნეობის კამპანია არაა განსაზღვრული დროის საქმე, არამედ, როგორც პარტიისა და მთავრობის მოწოდებაში ხაზგასმითაა ნათქვამი, ის ნავარაუდევია „ჩვენი სამეურნეო განვითარების მთელი პერიოდისათვის“.

მთავარი ნაკლი, რომელიც მომჭირნეობის კამპანიის თანდაყოლილ სენს წარმოადგენს, ესაა ამ კამპანიის საფარ ქვეშ მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების, მათი მატერიალურ პირობების გაუარესების ცდა, ესაა მომჭირნეობის გზის სულ სხვა მიმართულებით წარმართვა, ვიდრე ეს საჭიროა, ესაა ამ უაღრესი მნიშვნელობის კამპანიის დაუშვებელი დამახინჯება და გაპიაბრუება.

ამიტომ სავსებით გასაგებია ის კატეგორიული კილო, რომლითაც ილაშქრებს ამ უმზგავსოების წინააღმდეგ ჩვენ მიერ ზემოთაღნიშნული დოკუმენტები. აღსანიშნავი ისაა, რომ ამას სჩადიან მაღალ თანამდებობის პირნი, სათანადო ორგანოების მუნჯი თანხმობით. მუშა-მოსამსახურეთა საარსებო ინტერესების ხარჯზე ცდილობენ მომჭირნეობის რეჟიმის გატარებას, როცა ხელუხლებელი რჩება გაბერილი შტატები, როცა არავინ იტკენს თავს წარმოებისა თუ დაწესებულების ძირითად გასავალ-შემოსავლის საკითხების გადასინჯვა-გაჯანსაღებისათვის.

„ამ ღონისძიებათა ავტორებს ალბად არ ესმით, ვკითხულობთ ჩვენ აღნიშნულ დოკუმენტში, რომ მომჭირნეობის რეჟიმის უმთავრესი მიზანი—სოციალისტური მრეწველობის განვითარება,—არ შეიძლება განხორციელდეს მუშათა კლასის მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებისა და კულტურულ დონეს აწევის გარეშე.

„პარტია და მთავრობა მოითხოვენ, რათა ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს ამ სისაძაგლეს. პარტია და მთავრობა აცხადებენ, რომ სასტიკად დაისჯებიან დამნაშავენი, თუ კვლავ განმეორდა ასეთი სისაძაგლე“.

ამ მოკლე, მაგრამ საკმაოდ დამარწმუნებელ ამონაწერიდან, სავსებით აშკარაა, რამდენად დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს მომჭირნეობის რეჟიმის დამმახინჯებელთ, რომელნიც შეეცდებიან მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის რამდენადმე მაინც გაუარესებას. ამ ბრძოლაში პირველი ადგილი უნდა დაიჭიროს პროფესიულ ორგანიზაციებმა.

სამწუხაროდ ეს დღემდის ყოველთვის ასე არ იყო. პროფკავშირები და მათი ხელმძღვანელობის ქვეშ მომუშავე მუშათა მასიური ორგანიზაციები არა თუ ვერ ებრძოდენ სათანადო ენერგიით მომჭირნეობის კამპანიის მახინჯ მხარეებს, არამედ თვითონაც ვერ იღებდენ სათანადო მონაწილეობას ამ კამპანიის ჩატარებაში. მომავალში ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. პარტიისა და მთავრობის მოწოდება ამ გარემოებასაც ითვალისწინებს და საჭიროდ სთვლის, რათა მომჭირნეობის რეჟიმის გატარებაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ მუშათა მასებმა საწარმოო თათბირების, ეკონომიურ კომისიების და პრესაში თანამშრომლობის სახით.

მომჭირნეობის კამპანიამ უკვე, შეიძლება ითქვას, საგრძნობი სარგებლობა მოუტანა საბჭოთა აღმშენებლობას. მან გააცხოველა მშრომელი მასების ინტერესი ჩვენი საერთო ტკივილების მიმართ, მან აამოძრავა საბჭოთა საზოგადოებრივი აზრი იმ ნაკლულოვანებათა წინააღმდეგ, რომელნიც წინ ეღობებიან ჩვენ სამეურნეო და კულტურული წინსვლელობას. ბევრგან ეს უაღრესი მნიშვნელობის ამოცანა არ იქნა სწორად გაგებული და შეფასებული. ბევრგან მრავალ გაურკვევლობას და გაუგებრობას ჰქონდა და აქვს ადგილი. პარტიისა და მთავრობის დღევანდელი მოწოდება საბოლოოდ ფანტავს ყოველგვარ გაურკვევლობის ბურუსს ამ საკითხის გარშემო. აქ ერთხელ კიდევ დასმულია ამ კამპანიის საკითხი მთელი თავისი სერიოზულობით და მოცემულია მთავარი გეზი მისი ცხოვრებაში გასატარებლად.

იმაზე, თუ რამდენად სწორად იქნება ჩვენი პარტიულ, პროფესიულ და სახელმწიფო ძირითად ორგანოების მიერ პარტიისა და მთავრობის ეს მოწოდება გაგებული, ბევრადაა დამოკიდებული მომჭირნეობის კამპანიის შემდეგი ჯანსაღი განვითარების საქმე.

საწარმოო თათბირების პრაქტიკული საკითხები

საკმაოთ ბევრი დაიწერა საწარმოო თათბირების შესახებ ჩვენს პრესაში. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ბევრი ზერელე უდგება ამ საკითხს. თითქმის მოდათ არის გადაქცეული ლაპარაკი იმის შესახებ, რომ საწარმოო თათბირები ძლიერ მოისუსტებენ და მათი მუშაობა გამოცოცხლების მაგივრათ, თანდათან დუნდება.

ასეთი შეფასება არ შეეფერება სინამდვილეს. მართალია საწარმოო თათბირების მუშაობა ჯერ კიდევ ვერ არის დაყენებული სასურველ დონეზე, მაგრამ იმის ლაპარაკი, რომ რაც დრო გადის მით უკან იხევს საწარმოო თათბირების მუშაობა, შეუძლია მხოლოთ მათ, ვინც სრულებით არ არიან გაცნობილი ამ თათბირების მუშაობას.

უკან იხევს თუ წინ მიდის საწარმოო თათბირების მუშაობა? უკანასკნელად შეკრებილმა ცნობებმა დაგვარწმუნეს, რომ, თუმცა ძლიერ ნელა, მაგრამ მაინც საწარმოო თათბირების მუშაობას ეტყობა ერთგვარი წინსვლა. საქართველოში ამჟამათ მოწყობილი არის სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებებში 170-ამდე საწარმოო და ეკონომიური თათბირები. უმთავრესად ეს თათბირები პროფკავშირების მიერ არის მოწყობილი (მელითონეები, კომუნალური მუშაკები, მეტყავეები, მბეჭდავები, გემოკ-ვების, რკინისგზელების და სხვ). გასულ წელთან შედარებით წელს საწარმოო თათბირების რიცხვი საგრძნობლად არის გაზრდილი.

საწარმოო თათბირებს ემჩნევათ არა მარტო რიცხვობრივი ზრდა, არამედ გასულ წლებთან შედარებით უფრო ხშირად ხდება სხდომები. თუ 1924 და 1925 წლებში საშუალოთ თვითეულ საწარმოო თათბირის სხდომა ხდებოდა სამ თვეში ერთხელ, 1926 წელში საშუალოდ სხდომები ხდება თვენახევარში ერთჯერ.

თათბირებში ჩაბმულ მუშათა რიცხვი თუმცა ჯერ კიდევ არ არის დიდი, მაგრამ ცალ-ცალკე წარმოებებში თათბირების მონაწილეთა რიცხვი აღწევს ამ წარმოების მუშების 30-იდან 50 პროცენტამდე. საშუალოთ კი საწარმოო თათბირებში ჩაბმულ მუშათა რიცხვი შეადგენს მუშების საერთო რიცხვის—10—12 პროცენტს.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში თათბირებზე გარჩეული იყო 700 საწარმოო და ეკონომიური ხასიათის საკითხები. გასულ წელში კი თათბირებზე გარჩეულ საკითხთა რიცხვი არ აღემატებოდა 500 (მთელი წლის განმავლობაში). აქიდან სჩანს, რომ საწარმოო თათბირების მუშაობა გასულ წელთან შედარებით ძლიერ გამოცოცხლდა.

რა ხასიათის საკითხები ირჩევა საწარმოო თათბირებზე? საწარმოო ხასიათის პრაქტიკული საკითხები. მაგალითად, მეტყავეთა საწარმოო თათბირებზე არჩევენ ასეთ საკითხებს: ტყავის ცუდი გახმობა, ცუდ ამინდებში ტყავის შენახვა, ტყავის ნაკლები ხარჯით შეღებვა, ტყავის დახეთქვის მიზეზები, ნაჭრების გამოყენება და სხვ. თამბაქოს ქარხანაში არჩევენ: თამბაქოს გახმობის საქმის დაყენება, თამბაქოს უთანასწოროდ გაშრობა, ბაბინების ხარისხი, პაპიროსების ჩაწყობა, ეტიკეტების შესახებ და სხვ. მელითონეები არჩევენ შემდეგ საკითხებს: საამქროებთან მასალების მიზიდვა; სახარატო დაზგების შეკეთება, ფოლადის ხარისხის შესახებ, ცუდი ჩამოსხმის მიზეზები, ტრანსმისიების შეკეთება, ნაწარმოების გაფუჭების (ბრაკის) მიზეზები და სხვ.

აქ მოვიყვანეთ დასახასიათებლად ზოგიერთი ის საკითხები, რომელნიც ირჩევიან საწარმოო თათბირებზე. უნდა ითქვას, რომ საერთოთ თათბირებზე ირჩევიან წარმოებისათვის ფრიად საჭირბოროტო საკითხები. ეს იმას ამტკიცებს, რომ საწარმოო თათბირებმა სწორი გეზი აიღეს.

როგორ არის მდგომარეობა საწარმოო თათბირების წინადადებათა ცხოვრებაში გატარების მხრივ? ამის აღნუსხვა არ სწარმოებდა, მაგრამ შეგროვილი ცნობები გვიჩვენებენ, რომ საწარმოო თათბირების წინადადებათა 60 პროცენტი ტარდება ცხოვრებაში. ზოგან მეტიც. ეს რიცხვი, თუ ის ნამდვილია, უნდა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

ზოგი საწარმოო თათბირს უცქერის, როგორც ისეთ ადგილს, სადაც ლაპარაკის მეტი არაფერი არ კეთდება. ზოგი საწარმოო თათბირების მნიშვნელობას ხედავს მხოლოდ იმაში, რომ იქ ირჩევა საწარმოო საკითხები და მუშები ამ გარჩევის პროცესში იღებენ საწარმოო აღზრდას. საწარმოო თათბირებს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამით მხოლოდ არ ამოიწურება მათი სარგებლიანობა. თათბირების მუშაობას საგრძნობელი მატერიალური შედეგები მოაქვთ. სამწუხაროთ ჩვენ არ მოგვეპოვება სრული ცნობები, თუ როგორი მატერიალური შედეგები მოჰყვა თათბირების წინადადებათა ცხოვრებაში გატარებას ცალკე წარმოებებში, ამის აღნუსხვა არ სწარმოებდა. მაგრამ თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ მომჭირნეობა, რომელიც ჩვენმა წარმოებებმა მიიღო საწარმოო თათბირების წინადადების გატარებით, უდრის ორას ათას მანეთზე მეტს საქართველოში. მარტო რკინის გზის მთავარ სახელოსნოში გასულ წლის განმავლობაში საწარმოო თათბირების წინადადებათა შესრულებამ მოგვცა 56.904 მანეთი; თამბაქოს ქარხნებში რამოდენიმე ათეული ათასი მანეთი. სხვა დარგებშიაც ღირსშესანიშნავი მიღწევები გვაქვს. ასეთი საგრძნობი მიღწევები გვაქვს მიუხედავად იმისა, რომ საწარმოო თათბირების მუშაობა ჯერ კიდევ ვერ არის დაყენებული საჭირო დონეზე.

ჩვენ გაცილებით მეტს შედეგებს მივაღწევდით, რომ საწარმოო თათბირების ხელმძღვანელობა პროფესიონალურ კავშირების მხრივ უფრო ძლიერი იყოს, ვიდრე ახლა არის ან აქამდი იყო. თუ კავშირები ენერგიულათ მოკიდებენ ხელს ამ საქმეს, საწარმოო თათბირების მუშაობა ძლიერ გაფართოვდება. ადგილობრივათ მუშები ინტერესს იჩენენ ამ საკითხისადმი, მაგრამ არ იციან, როგორ დაიწყონ, როგორ მოაწყონ თათბირი, რა საკითხები გაარჩიონ და როგორ მიუდგენ გასარჩევ საკითხებს. საკმარისია კავშირის წარმომადგენლის მიერ რამოდენიმე სამაგალითო სხდომის ჩატარება და შემდეგ ყველაფერი წავა თავის რიგზე.

სუსტი ხელმძღვანელობის გამო საწარმოო თათბირებს ემჩნევა გადახრა. თითქმის ყველგან საწარმოო თათბირები იღებენ თავის თავზე ადმინისტრატიულ ფუნქციებს და გამოდიან წარმოების მართველობის როლში. ეს ფრიად საშიში მოვლენა არის. ეს ნიშნავს წარმოების ორ მართველობას: ნამდვილი—ოფიციალური ადმინისტრაციისას და საწარმოო თათბირისას. ჩვენ კარგად გვახსოვს თუ რა მოაქვს ასეთ წესებს. ამიტომ სასტიკად უნდა ვებრძოლოთ საწარმოო თათბირების ადმინისტრატიულ გადახრას და მათ მიერ მართვა-გამგეობის ხელში აღებას. საწარმოო თათბირი მხოლოდ სათათბირო ორგანოა, მისი წინადადებები ადმინისტრაციისათვის სავალდებულო არ არის და ადმინისტრაცია თათბირის წინადადებებს ცხოვრებაში ატარებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ სთვლის მიზანშეწონილად. ადმინისტრაცია არ შეიძლება დაუმორჩილდეს საწარმოო თათბირს და ყველა თავის მოქმედების და ზომების სანქცია მიიღოს საწარმოო თათბირებისაგან. ეს ძლიერ არევდა საქმეს.

როგორც ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი, უნდა აღინიშნოს საწარმოო თათბირების მიერ, საკითხებისადმი იოლი მიდგომა. ხშირად თათბირზე დასმული საკითხი არ ირჩევა ღრმად, მათ იხილავენ ზერელეთ და დადგენილებებიც გამოაქვთ საერთო ხასიათის—არა კონკრეტიული. მაგალითად, შეხვდებით საწარმოო თათბირების ასეთ ნაირ დადგენილებებს: „აღნიშნული დეფექტები გამოსწორდეს“, „გაკეთდეს..“,-„მოგვარდეს...“, „გაუმჯობესდეს...“.—თუ როგორ უნდა გამოსწორდეს დეფექტები, როგორ რა უნდა გაკეთდეს, როგორ უნდა მოგვარდეს და როგორ უნდა გაუმჯობესდეს, ამის შესახებ თათბირების დადგენილებებში არაფერია ნათქვამი, მაშინ როცა წინადადებათა მთავარი და ერთადერთი ღირებულება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ კონკრეტიულად ნაჩვენები იქნეს ის ზომები, რომელიც წარმოების ამა თუ იმ დეფექტს გამოასწორებს. ამიტომ საჭიროა, რომ საწარმოო თათბირებმა საკითხები დაამუშაონ ღრმად, ყოველმხრივად და გამოიტანონ კონკრეტიულად დასაბუთებული წინადადებები. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს წინადადებები არავითარ სარგებლობას არ მოუტანს წარმოებას და საკითხების ზერელეთ გარჩევა და მიღება არ შეუწყობს ხელს მუშების საწარმოო აღზრდას.

ჩვენ კიდევ ვერ შეგვიგნია თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოო თათბირების მუშაობას. თათბირები საუკეთესო საშუალება არის მუშების ფართო მასების საბჭოთა მეურნეობის პრაქტიკულ მშენებლობაში ჩაბმისათვის. საწარმოო თათბირების ზრდის საშუალებით შეიძლება მუშების ახალმა კადრებმა დაინახონ თუ რა დამოკიდებულება არის მშრომელთა ინტერესებსა და ჩვენი სამეურნეო წარმოების შორის. საწარმოო თათბირები ზრდის და ამზადებს მუშების რიგებიდან ახალ სამეურნეო მუშაკებს. საწარმოო თათბირებზე კოლექტიური მუშაობით ირკვევა და აშკარავდება წარმოების დეფექტები. საწარმოო თათბირების წინადადებების გატარებით ჩვენი წარმოება უმჯობესდება, იაფდება და ფართოვდება. ყველაფერს ამას თუ მივიღებთ მხედველობაში, ჩვენთვის ნათელი იქნება საწარმოო თათბირების მნიშვნელობა. საჭიროა ამ საქმეს მოვკიდოთ ხელი არა „სხვათა შორის“, არამედ უფრო საფუძვლიანად.

ტომელი.

მემაღაროებმა გადასწყვიტეს უკან არ დაიხიონ

სამთა-მადნო მუშების სადელეგატო კონფერენციამ უარყო სამღვდელოების წინადადებები

კუკი სამხრეთ-უელსის სამთა-მადნო რაიონში.—მუშები კომპრომისის წინააღმდეგ.—„უნდა მოვკლათ ბალდუინი“ ამბობენ გაფიცულები

200.000 მანეთი საბჭოთა კავშირის მუშებისაგან გაფიცულ სამთა-მადნო მუშებს.—ამერიკელი რკინისგზელები ესალმებიან მემაღაროელებს

ახლო ხანში განზრახულია ინგლის-საბჭოთა მთლიანობის კომიტეტის სხდომის მოწვევა

გერმანია მოითხოვს მოკავშირეთა საოკუპაციო ჯარების შემცირებას რეინის ოლქში

გაფიცვა ინგლისში

სადელეგატო კონფერენციაზე

ლონდონი, 17 აგვისტო. მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენციაზე აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი და კონფერენციის ნაწილს, რომელიც კომპრომისული პოლიტიკის წინააღმდეგ გამოვიდა, უმრავლესობა მიემხრო.

ლოტინგემის რაიონში მემაღაროებმა უარყვეს ის წინადადება, რომელიც სამთამადნო მუშათა აღმასკომისათვის თავისუფლების მინიჭებას მოითხოვდა მაღაროს მეპატრონეებთან მოლაპარაკების წარმოების დროს.

კუკი სამხრეთ უელსში

ლონდონი, 16 აგვისტო. სამხრეთ-უელსის სანახშირო რაიონებში მოგზაურობის დროს კუკი მოუწოდებდა მემაღაროებს, რომ ანგარიში გაუწიონ ქვეყნის საერთო მდგომარეობას. პორტში (ქალაქია) გამართულ კრებაზე, რომელზედაც დაესწრო 12.000 მემაღაროე, კუკმა განაცხადა, რომმას კვლავ სწამს ლოზუნგი: „არცერთი პენსით ნაკლები სამუშაო ხელფასი და არც ერთი წუთით მეტი სამუშაო დღე“. მაგრამ მარტო რწმენა ვერ უზრუნველყოფს მის განხორციელებას. ეხლა მხოლოდ ისაა მართალი, ვინც ძლიერია; ამბობს კუკი. ეს იქნებოდა შესაძლებელი მხოლოდ მაშინ, რომ ჩვენს მხარეზე ყოფილიყო მთელი პროფკავშირთა მოძრაობა. ამ ძალას ვერ დაამარცხებდა ვერავითარი მთავრობა. მაგრამ ჩვენი არმიის რიგები შერყეულია, რკინისგზელთა და დოკერების ლიდერებმა ახალი ხელშეკრულება დასდეს მეპატრონეებთან.

შემდეგ კუკი ენერგიულად უჭერდა მხარს სამღვდელოების მემორანდუმს, ამასთანავე დასძინა: „არავის არ აქვს უფლება სთქვას, რომ ეს წინადადება ცუდია, სანამ უკეთესი არ წამოუყენებიათ. 15 კვირის განმავლობაში ჩვენ ვიდექით შეუდრეკელად, სთქვა მან, მაგრამ დადგა მომენტი, როცა ჩვენი ძალები სუსტდებიან. მთავრობა რომ ჩვენ წინააღმდეგ არ იყოს, მაშინ მდგომარეობა სხვაგვარი იქნებოდა. უკვე დაიწყეს გაფიცულების ცოლებისა და ბავშვებისათვის დახმარების მიცემის შეწყვეტა. შოტლანდიაში მემაღაროეთა ბავშვების სამი მეოთხედი არ იღებენ საჭმელს უქმე დღეებში. ჩვენ გვწერენ: ჩვენ ვიბრძოლებთ, მაგრამ გვიშოვეთ პური და რძე ჩვენი ბავშვებისათვისო.

მაღაროს მეპატრონეები მოლოდინში არიან, როდის შეარყევს მუშებს სიმშილი. შესაძლოა ორგვარი გამოსავალი: სამთამადნო მუშები ან დაიხევენ უკან მორალურად გულგატეხილნი იმის გამო, რომ მათი ბავშვები სტირიან და პურს მოითხოვენ, ან აჯანყდებით. მაგრამ სტიქიური აჯანყება საშინელ კატასტროფამდე მიგვიყვანს“.

ერთმა დამსწრე მემაღაროელთაგანმა წამოიძახა: „მოკლულ უნდა იქმნას ბოლდუინი!“ კუკმა ამაზე უპასუხა: „თუ მოკლავთ ბოლდუინს, მაშინ საქმე გექნებათ ბირკენხედთან, თუ მოკლავთ ბირკენხედს, ჩერჩილი მაინც დარჩება. ბოლდუინის თავიდან მოშორებისათვის საჭიროა ჯერ თვით სისტემა მოვიცილოთ თავიდან“.

კუკმა გააფრთხილა მემაღაროეები, რომ თუ აჯანყება იქნა, მთავრობა მზადაა მიმართოს შეიარაღებულ ძალას.

სხვათაშორის კუკმა შემდეგი ფაქტი მოუყვანა მაკდონალდის შესახებ: სამთამადნო მუშათა ფედერაციამ მოსთხოვა მაკდონალდს, რომ მას დეპეშით უარეყო ბოლდუინის მიერ შეერთებულ შტატებში გაგზავნილი განცხადება იმის შესახებ, რომ ინგლისის მემაღაროები არავითარ გაჭირვებას არ განიცდიან. მაგრამ მაკდონალდმა უარი განაცხადა მაზე იმ მოსაზრებით, რომ „ასეთი გამოსვლა მიზან შეუწონელი იქნებოდა“.

როცა ამის შესახებ გაიგო ლიოდ-ჯორჯმა, გადასწყვიტა თვითონ შემოიაროს ჩრდილოეთ უელსის სანახშირო რაიონები და გაგზავნოს შეერთებულ შტატებში ბოლდუინის საპასუხო დეპეშა.

კუკის შეკითხვაზე: „ფიქრობთ თუ არა თქვენ, რომ ჩვენ ეხლა მოლაპარაკება უნ და დავიწყოთ მწარმოებლებთან სამუშაო დღის გადიდების შესახებ“, არც ერთი ხელი არ აწეულა აუარებელ დამსწრეთაგან.

კუკი შეპირდა კრებას, რომ არავითარი ხელშეკრულება არ დაიდება მანამ, სანამ წინასწარ კენჭი არ ეყრება სამთამადნო მუშებს შორის.

არავითარი ადგილობრივი შეთანხმება

ლონდონი, 15 აგვისტო. ველბეკის სამთამადნო მუშათა ადგილობრივმა ორგანიზაციამ ნოტინგამშირში, განიხილა რა ადგილობრივ მაღაროების მეპატრონეთა წინადადება ამ რაიონის სამთამადნო მუშათა წარმომადგენლებთან თათბირის მოწვევის შესახებ, მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „არავითარი ადგილობრივი შეთანხმება, არ შეიძლება კავშირის გაწყვეტა ფედერაციასთან“.

ჰოლანდიელი მუშების დახმარება

ამსტერდამი, 15 აგვისტო. ჰოლანდიის მუშათა ორგანიზაციებმა გაუგზავნეს გაფიცულ სამთამადნო მუშებს 18.700 გულდენი, აქედან მუშათა ნაციონალურმა სამდივნომ, რომელიც პროფინტერნს ემხრობა, გაუგზავნა 17.000 გულდენი.

ინტერნს ემხრობა. გაუგზავნა 17.000

ამერიკის რკინისგზელები და სამთამადნო მუშები

ნიუ-იორკი, 15 აგვისტო. ჩიკაგოდან მოსულ ცნობების მიხედვით, ამერიკის შრომის ფედერაციის რკინისგზის მოსამსახურეთა განყოფილებამ, რომელიც აერთიანებს 400.000-მდე რკინისგზის მემანქანეებს და სხვა პროფესიის რკინისგზის მუშებს, გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც აღტაცებას გამოთქვამს ინგლისის გაფიცულ მემაღაროეთა სიმტკიცის გამო და წინადადებას აძლევს თავის წევრებს, მოაწყონ დახმარების შეგროვება ინგლისის გაფიცულ მაღაროს მუშების სასარგებლოდ.

სპარსეთში

200.000 მანეთი საბჭოთა კავშირის მუშებისგან

მოსკოვი, 17 აგვისტო. საკავშირო პროფსაბჭომ ასეთი დეპეშა გაუგზავნა სამთა-მადნო მუშების ფედერაციას:

„ვგზავნით საბჭოთა კავშირის მუშების მიერ გადადებულ დახმარებას—200.000 მანეთის რაოდენობით. დაგვიდასტურეთ მიღება“.

მთავრობის წინააღმდეგ

ლონდონი, 16 აგვისტო. ახლო მომავალში პროფკავშირების კონგრესზე და მუშათა პარტიის კონფერენციაზე გამოტანილი იქნება საგანგებო რეზოლიუციები მთავრობის საწინააღმდეგო მოთხოვნილებებით, რომელსაც განზრახვა აქვს შეზღუდოს პროფკავშირების მოქმედება და უფლებები.

გენერალური საბჭო მოითხოვს გაფიცვების ხელმძღვანელობის და აგრეთვე გაფიცვასთან დაკავშირებულ ყოველგვარ მოლაპარაკებაში მონაწილეობის უფლებას. ეს მოთხოვნილება წარმოადგენს პასუხს მთავრობის პროექტზე პროფკავშირების შესახებ.

შემოსავალმა იკლო

ლონდონი, 16 აგვისტო. ინგლისის რკინის გზების ოთხი დიდი საზოგადოების შემოსავალი მიმდინარე წლის პირველ ნახევრისათვის 16 მილიონ სტერლინგით ნაკლებია, ვიდრე წარსული წლის ამავე პერიოდში.

ინგლის-რუსეთის კომიტეტში

ინგლისის პროფსაბჭოს დეპეშა

მოსკოვი, 17 აგვისტო. პროფ. კავშირების საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ მიიღო ინგლისის ტრედუნიონების გენერალურ საბჭოსაგან შემდეგი დეპეშა:—

„ხომ არ შეგიძლიათ შეგვატყობინოთ ინგლის-რუსეთის კომიტეტის უახლოესი სხდომის დრო და ადგილი?

სიტრინი.

საკავშირო პროფსაბჭოს პასუხი

საკავშირო პროფსაბჭომ შემდეგი პასუხი მისცა გენერალურ საბჭოს:—„წინადადებას ვიძლევით შეიკრიბოს კომიტეტი ბერლინში 20 აგვისტოსათვის. მთავარ საკითხად უნდა დაისვას მემაღაროეთა დახმარება. შეგვატყობინეთ თქვენი თანხმობა.

ანდრეევი.

პუანკარე „მუშაობს“

თათბირი პუანკარესთან

პარიზი, 15 აგვისტო. პუანკარეს თათბირი ქონდა საფრანგეთის შრომის რეფორმისტულ კონფერენციის მდივანთან. ამ თათბირზე განიხილეს შემდეგი საკითხები: საფრანგეთის მუშათა კლასის მდგომარეობა, 8 საათის სამუშაო დღის შემოღება და სოციალური დაზღვევის კანონპროექტის განხილვა უმუშევრობის დროს. პუანკარემ განაცხადა, რომ ის მომხრეა სოციალური დაზღვევის, მხოლოდ იმ პირობით, თუ წინასწარ გამონახული იქნება საჭირო საშუალება ამ მიზნისათვის.

ბრძოლა ფასების აწევის წინააღმდეგ

პარიზი, 15 აგვისტო. საფრანგეთის ვაჭრობის მინისტრის—ბოკანოვსკის განზრახვა აქვს შექმნას ტეხნიკური კომიტეტი სანოვაგის ვაჭრებისა და კოოპერატივების წარმომადგენლებიდან. კომიტეტის ამოცანას შეადგენს ებრძოლოს სანოვაგეზე ფასების აწევას და აგრეთვე ყოველგვარ ბოროტმოქმედებას სანოვაგის შეძენის საკითხში. კომიტეტმა უნდა მოაწესრიგოს დამოკიდებულება მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის.

კომპარტიის მოწოდება

პარიზი, 15 აგვისტო. საფრანგეთის კომპარტიის მოწოდებაში საფრანგეთის ყველა მშრომელთა მიმართ, აღნიშნულია, რომ პუანკარეს ანტიმუშური ფინანსიური კანონმდებლობა მუშებს აუტანელ ეკონომიურ მდგომარეობაში აყენებს.

მოწოდება წინადადებას აძლევს მუშებს მოითხოვონ დეპუტატთა პალატის და სენატის გაშვება. კომპარტია აყენებს ლოზუნგს მუშურ-გლეხურ მთავრობის შექმნის შესახებ საფრანგეთში.

რეინის ოლქში

რას მოითხოვს შტრეზემანი

ბერლინი, 15 აგვისტო. „დემოკრატიშე ცეიტუნგი“ იტყობინება, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ შტრეზემანს მოკლე ხანში თათბირი ექნება ინგლისის წარმომადგენელ დებერნონთან გერმანიის პოზიციის შესახებ მისი ერთა ლიგაში შესვლის გამო. ამას გარდა შტრეზემანს ექნება დაბერნონთან მოლაპარაკება გერმანიაში საოკუპაციო ჯარის რაოდენობის შესახებ.

ამასთანავე შტრეზემანმა უნდა მიუთითოს, რომ ცალკე პოლკების გაყვანა დაპყრობილ ოლქებიდან არ შეესაბამება თავის დროზე დადებულ შეთანხმების აზრს; გერმანიაში იმედი აქვთ, რომ მოხდება საოკუპაციო რეჟიმის ძირითადი შეცვლა და საოკუპაციო ჯარების რაოდენობა საგრძნობლად იქნება შემცირებული.

ინგლისი იცდის

ლონდონი, 16 აგვისტო. იტყობინებიან, რომ ინგლისის წარმომადგენელი გერმანიაში ლორდი დაბერნონი შეეკითხა ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს რეინის ოლქში ინგლისის საოკუპაციო ჯარების შემცირების შესახებ.

ინგლისის მთავრობამ თითქმის თანხმობა განაცხადა რეინის ოლქიდან თავისი ჯარების გაყვანაზე, მაგრამ ამას პოლიტიკური მოსაზრებით ჯერ-ჯერობით შეუძლებლად სთვლის. სანამ საფრანგეთი განაგრძობს რეინის ოლქის ოკუპაციას.

გერმანიის მთავრობა უკმაყოფილოა

ლონდონი, 16 აგვისტო. „დეილი ტელეგრაფის“ ცნობით გერმანიის მთავრობა უკმაყოფილოა ბრიანის განცხადებით გერმანიის წარმომადგენელთან მოლაპარაკების დროს პარიზში; ბრიანის სიტყვით საფრანგეთი მზად არის შეამციროს საოკუპაციო ჯარების რიცხვი 8.000-მდე იმ პირობით, რომ შესწყვიტონ პატრიოტულ პროპაგანდას რეინის ოლქში და არ მიმართავენ რეპრესიებს რეინის ოლქის გერმანიიდან ჩამოშორების მომხრეების წინააღმდეგ.

ინდუსტრიალიზაციის პრაქტიკა

(„პრავდა“-ს მოწინავე წერილი)

1926—27 სამეურნეო წლის მრეწველობის საკონტროლო ციფრების განხილვა იძლევა მეტად მნიშვნელოვან მასალას, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების უახლოეს პერსპექტივებზე.

პირველი, რაც ყურადღებას იპყრობს,—ეს არის გეგმების შესრულების პროცენტი მრეწველობის განვითარების დარგში. საშუალოდ გეგმა შეიძლება 100 პროცენტით შესრულებულად ჩაითვალოს ზოგიერთ მცირე გადახრით ამა თუ იმ მხარეზე ცალკე დარგებში.

ჩვენ დიდი ხანია უკან მოვიტოვეთ მძიმე დრო, როცა თვით გეგმის აღორძინება არ ეფარდებოდა დასახულ პროგრამების უმნიშვნელო შესრულებასაც.

მომწესრიგებელმა ორგანოებმა ისწავლეს მომავლის გათვალისწინება და მრეწველობის გეგმიან საფუძველზე მოწყობა, შეიძინეს დასახულ გეგმების შესრულების უნარი.

1924—25 წელთან შედარებით წელს მრეწველობის საერთო პროდუქცია გამოანგარიშების თანახმად დაახლოვებით უნდა გაიზარდოს 45 პროცენტით, ხოლო მუშების რაოდენობა 28 პროცენტით. ამ გამოანგარიშების უფრო სისწორით ჩამოყალიბების დროს წლის ბოლოს შესაძლებელია ამ ციფრებმა ერთგვარი ცვლილება განიცადოს, მაგრამ საერთოდ კი შეიძლება ითქვას, რომ ეს ციფრები სრული სისწორით გამოხატავენ ზრდის ტენდენციის რაოდენობას. სოციალისტური მრეწველობის ძლიერება,—პროლეტარულ კადრების ძლიერება გადაუხვევლად და სწრაფად იზრდება.

ასეთ ბაზისზე საპერსპექტივო გეგმების დამყარება მომავლისათვის სავსებით რეალური ხდება, ყოველ შემთხვევაში უფრო მეტად რეალური, ვინემ გასულ წლებში.

მაგრამ სწორედ საგეგმო ვარაუდთა ეს რეალობა გვავალებს მაქსიმალური ყურადღება მივაქციოთ იმ მომენტებს, რომელნიც აძნელებენ და ართულებენ ჩვენს მუშაობას. მრეწველობის საკონტროლო ციფრების გაცნობა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი პირველი დამუშავების სტადიაში იმყოფებიან,—საშუალებას გვაძლევს საკმაოდ გარკვევით და სისწორით გავათვალისწინოთ სიძნელეთა მომენტები.

რომ არ გავიმეოროთ მკითხველისათვის უკვე ცნობილი მოსაზრება—დისპროპორცია მრეწველობასა და სასოფლო-მეურნეობას შორის და სხვა ობიექტიური მიზეზები, რომელთაც, რასაკვირველია, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ, აგრეთვე შეცდომები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მიმდინარე სამეურნეო წელში, მთავარი დაბრკოლებები უმთავრესად გამომდინარეობენ ზრდისა და რეკონსტრუქციის პროცესებისაგან.

მრეწველობის ყოველი დარგი მიდის წინ, მაგრამ მათი წინსვლა დამოკიდებულია წარმოების მოწყობისა და იმ კაპიტალის რაოდენობისაგან, რომელიც შეიძლება დაბანდებულ იქნას ნედლეულისა და სათბობის მოპოვების საქმეში. უცხოეთის კაპიტალის უქონლობა, რომელიც უმთავრეს როლს თამაშობდა მეფის დროის მრეწველობაში, შეიძლება ანაზღაურებულ იქნას მხოლოდ შინაგანი დაგროვების ზრდით, პირველ რიგში მომჭირნეობით და შრომის ნაყოფიერების ზრდით. მაგრამ ჩვენი მიღწევანი ამ დარგში, უმნიშვნელოა. კამპანიამ მომჭირნეობის რეჟიმისათვის ეს არის ეხლა იწყო გაფართოება. რაც შეეხება წარმოების ნაყოფიერების ზრდას, აქაც ჯერ კიდევ არ გამართლდა სავსებით ჩვენი გეგმები.

არ შეიძლება ითქვას, რომ ჩამორჩენა ამ დარგში აიხსნება მხოლოდ და მხოლოდ იმ დიდი მოთხოვნილებებით, რომლებსაც ჩვენ უყენებთ წარმოების გაშლა-გაფართოებას. მთელი რიგი სერიოზულ გამოკვლევათა მიგვითითებენ ამ ჩამორჩენილობის მიზეზებზე. სამუშაოს გაცდენა, მუშაობის არა საკმაო ინტენსიურობა და სხ. ამ, ასე ვსთქვათ, სუბიექტიურ ფაქტორებთან ერთად უარყოფით ზეგავლენას ახდენენ სხვა ფაქტორებიც: სათბობის, ნედლეულის და მასალის ნაკლებობა და დაბალი ღირსება, აგრეთვე ის ნაკლი, რომელიც ემჩნევა მრეწველობის ტეხნიკურ ორგანიზაციას.

ჯერ-ჯერობით მრეწველობის ზრდა მიდიოდა პირველყოფილი სტადიის გზით და მოთხოვნილება პროდუქციისადმი მეტად შეზღუდული იყო. ეხლა ეს მოთხოვნილება იმდენად გაიზარდა, რომ მაქსიმალური ენერგიით უნდა ავამოქმედოთ მრეწველობის ყველა დარგები ნედლეულისა სათბობის მოპოვებისათვის, რომ მასალის ნაკლებობა იქნას თავიდან აცილებული.

პროდუქციის ღირსებისადმი მოთხოვნილება სავსებით კანონ-ზომიერია და ახასიათებს მეურნეობის განვითარების იმ ხარისხს, რომელსაც მივაღწიეთ ამჟამად. ამიტომ სავსებით არაა სწორი ის შეხედულება, რომელიც ცუდი ღირსების მიზეზად მწარმოებლის ბოროტ სურვილს სცნობს. ეხლა ჩვენ სწორედ იმიტომ შეგვიძლია მკაცრი მოპყრობა პროდუქციის ცუდი ღირსების გამო, რომ წარმოების საერთო ზრდა უზრუნველყოფს საშუალო ხარისხის ღირსებას მაინც.

უახლოეს სამეურნეო წლისათვის საკონტროლო ციფრები გვაძლევენ საერთო პროდუქციის ზრდას 18 პროცენტის რაოდენობით წარსულ წელთან შედარებით. იმ დასაწყისი ხანისათვის, როცა ხდება მრეწველობის ხელახლად მოწყობა და კაპიტალური მოწყობილობათა აგება, ეს პროცენტი მეტად დიდია და მოწმობს აღმშენებლობის ტემპის გაძლიერებას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აქ აღინიშნოს, რომ საწარმოო იარაღთა წარმოებამ უნდა მოგვცეს მომატება 28 ნახ. პროცენტით, ფართო მოხმარების საგანთა წარმოებამ კი—14,4 პროცენტით. ეს ციფრები ჯერ-ჯერობით პირობითია, ვინაიდან მუშაობა მრეწველობის სათანადო ჯგუფების დანაწილებისათვის, ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. მაგრამ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საკითხის პრაქტიკული გადაწყვეტა და თვით ხაზი სავსებით ნათლად არის გამორკვეული.

მრეწველობის საკონტროლო ციფრები აგებულია ჩვენი მეურნეობის დარგების აღრიცხვაზე, პირველ რიგში სასოფლო მეურნეობის აღრიცხვაზე.

ახალი მოსავლის რაოდენობის საბოლოო გამორკვევის მიხედვით, რასაკვირველია, შესაძლოა განსაზღვრული ცვლილებანი. მაგრამ ეს ცვლილებანი არ იქნებიან იმდენად დიდი მნიშვნელობისა, რომ სერიოზული გავლენა იქონიონ ზრდის ტენდენციაზე და ხასიათზე.

ჩვენ სავსებით უნდა გავითვალისწინოთ მუშაობაში გამოაშკარავებული სიძნელენი. სათბობი და ნედლეული, წარმოების რაციონალიზაცია, მუშათა საშუალო და ტეხნიკური პერსონალის კვალიფიკაციის აწევა, ყველაფერში უნდა გამოვიჩინოთ ენერგიის მაქსიმუმი, უნარიანობა და გეგმიანობა.

სოციალისტური მრეწველობის მტკიცე საფუძველზე გაფართოებასთან ერთად წავა წინ მუშათა მასების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი კულტურული დონის ამაღლება.

უიმედოთა წინააღმდეგ ჩვენ დაუღალავად ვჰქმნით ინდუსტრიალიზაციას.

გადმოცემულია ტელეგრაფით
მოსკოვი, 16 აგვისტო.

უცხოეთის პრესა

კომინტერნის სექციები და ოპოზიცია საკავშირო კომპარტიაში

უცხოეთის კომუნისტური პრესა განაგრძობს გარჩევას საკავშირო კომპარტიის ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმის გადაწყვეტილებებისას გაერთიანებული ოპოზიციის ფრაქციული მუშაობის შესახებ და ერთსულოვნად ჰგმობს გამთიშველებს.

ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური ორგანო „რუდე პრავო“ (30 ივლისი) ვრცლად ეხება ამ საგანს და ათავებს თავის წერილს ასე:

„ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტური პარტია მხარში უდგია და მისდევს საკავშირო კომპარტიას, იცავს მის მთლიანობას, სწავლობს მის მაგალითებზე, რომ კომპარტიის მთლიანობა, რომელსაც პირველ ყოვლისა მუშათა კლასის ინტერესები მოითხოვს, უმთავრესი წინასწარი პირობაა საბოლოო მიზნის განსახორციელებლად, ძლევა-მოსილი სოციალისტური რევოლიუციის დასამთავრებლად, პროლეტარიატის დიქტატურის განსამტკიცებლად“.

ამავე საკითხს არჩევს თავის მეთაურ წერილში შვეიცარიის კომპარტიის ორგანო, ციურიხის გაზეთი „კემპფერ“ (31 ივლისი):

„იმ საკითხების შესახებ, რომლებიც წამოიჭრენ უკანასკნელ პარტყრილობაზე და მის წინა დღეებში, ამ ყრილობამ მიიღო გარკვეული გადაწყვეტილებანი. მათაც, ვინც არ არის თანახმა ამ გადაწყვეტილებებისა, უნდა გაატარონ ისინი ცხოვრებაში. მათ შეუძლიათ შეეცადონ მორიგ პარტყრილობაზე თავიანთი შეხედულება დაიცვან და, თუ მოიმხრობენ პარტიას, მიაღებინონ ის ყრილობას. სხვანაირად არ შეიძლება მიუდგე ამ საკითხს არც ბოლშევიკური დისციპლინისა და არც სწორად გაგებული პარტიული დემოკრატიის თვალსაზრისით. არა ერთხელ დაუცავს ეს შეხედულება თვით ამხ. ზინოვიევს იმ ჯგუფების წინააღმდეგ, რომლებიც ფრაქციულ მუშაობას აწარმოებენ, ამიტომ პარტიასაც არ შეუძლია სხვანაირად მოეპყრას ზინოვიევსაც.

მით უფრო გადაჭრით უნდა გამოსულიყო პარტია ამხ. ზინოვიევის მიმდევარ ჯგუფების წინააღმდეგ, რომ მათი შეხედულება სადავო საკითხებზე არის მენშევიზმის განმეორება და მასთან ერთად ის უაღრესად საშიშ მდგომარეობაში ჩააყენებდა მეურნეობას და პროლეტარიატის დიქტატურას. ბოლშევიკური დისციპლინა ამ შემთხვევაშიც პროლეტარული რევოლიუციის ინტერესებს იცავს. ეს დისციპლინა სავალდებულოა პარტიის ყველა წევრებისათვის“.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ჭორების კამპანია

ტოკიო, 15 აგვისტო. „ჯაპან ტაიმსი" აქვეყნებს საგარეო საქმეთა მინისტრის ცნობას, რომ იაპონიის ელჩი მოსკოვში ტანაკა უარყოფს საბჭოთა კავშირის შესახებ გავრცელებულ ხმებს. ამ ცნობას გაზეთი ათავსებს მე-2 გვერდზე წვრილი შრიფტით იმ დროს, როდესაც ამას წინად გამოქვეყნებული ყალბი ცნობები დაბეჭდილი იყო მსხვილი შრიფტით 1 გვერდზე.

როგორ ავრცელებენ ჭორებს

ბერლინი, 15 აგვისტო. „ფორვერტსი" აქვეყნებს ვარშავიდან მიღებულ შემდეგ ცნობას: „პოლონეთის მთავრობის ორგანოს კორესპონდენტმა „რეიტერის" სააგენტოს აცნობა, რომ ყალბი ხმები საბჭოთა კავშირში მომხდარ მღელვარების შესახებ გადასცა ბერლინის ერთ-ერთმა სააგენტომ პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენლებს. უკანასკნელებმა კი გადასცეს ცნობა ვარშავაში, რის შემდეგ, იმავე გერმანელმა სააგენტომ გაავრცელა იგი მსოფლიო პრესაში, როგორც ვარშავიდან მიღებული ცნობა.

„ფორვერტსი" აცხადებს, რომ ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ „ტელეგრაფენ იუნიონის" დეპეშათა სააგენტოზე, რომელიც ჩვეულებრივად ავრცელებს ყალბ ცნობებს საბჭოთა კავშირის შესახებ. პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს მიერ ცნობების გადაცემა წარმოადგენს პოლიტიკურ ატმოსფეროს მოშხამვის არაჩვეულებრივ აქტს. და იბადება კითხვა, ვის ინტერესს შეადგენდა ეს.

„ფორვერტსი" მოითხოვს, რათა „ტელეგრაფენ იუნიონ"-მა წარმოადგინოს განმარტება „რეიტერის" კორესპონდენტის საყვედურის გამო ვარშავის მთავრობის გაზეთის მიმართ.

შენიშვნა: „ტელეგრაფენ იუნიონი" მჭიდროთაა დაკავშირებული ინგლისის რეაქციონულ და ანტისაბჭოთა ჯგუფებთან და ცნობილია საბჭოთა კავშირის შესახებ ყალბი ცნობების სისტემატიურ გავრცელებით.

ფრანგ კომერსანტების საჩივარი

პარიზი, 15 აგვისტო. სენის დეპარტამენტის სამოქალაქო სასამართლოში გაირჩა საქმე საფრანგეთის კომერსანტთა ჯგუფის საჩივრის გამო საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატის წინააღმდეგ. საჩივარი ეხება იმ მნიშვნელოვან ხარჯებს, რომელიც საფრანგეთის კომერსანტებმა გასწიეს საფრანგეთის საქონლის გამოფენის მოსაწყობათ მოსკოვში. ფრანგი კომერსანტები თავის საჩივარს ასაბუთებდნენ იმით, რომ საბჭოთა კავშირის სავაჭრო ორგანიზაციები გამოფენის მოწყობასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდას აჭიანურებენ.

სასამართლოს თავმჯდომარემ ბრძანება გასცა ყადაღა დაედვათ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ვაჭრობისა და სავაჭრო წარმომადგენლების თანხებზე, რომელიც ამჟამად საფრანგეთის ბანკებში ინახება. სავაჭრო წარმომადგენლობა კანონიერად არ სთვლის სავაჭრო წარმომადგენლობის თანხებზე ყადაღის დადებას, რადგან არსებული პრაქტიკის მიხედვით, უცხოეთის ქონებასა და კაპიტალზე ყადაღის დადება არ არის მიღებული.

მდგომარეობა ჩინეთში

ფრონტზე

პეკინი, 15 აგვისტო. ჩან-ძო-ლინის და უ-პეი-ფუს ჯარების მთავარი შტაბის ოფიციალურ ცნობაში აღნიშნულია, რომ სადგური ნანკოუ დაიკავეს მუკდენის ჯარებმა. ნანკოუს დაცემის შესახებ ცნობის გამოქვეყნების შემდეგ პეკინის პოლიციამ განკარგულება გასცა ქალაქში დროშები გამოეფინათ.

სახალხო არმიის ჯარებმა დაიჭირეს თავდაცვის მეორე ხაზის მიმართულებით და დაბანაკდენ ჯუნპაუნის და ნანკოუს მთაგორიან გასავალში. ჩინეთის ავტორიტეტულ წრეებში აღნიშნავენ, რომ სადგურ ნანკოუს აღების შესახებ ცნობა მართალიც რომ გამოდგეს, ეს სამხედრო მოქმედების დამთავრებას მაინც არ ნიშნავს, რადგან ეს სადგური იმყოფება ხეობის შესავალთან, რომლის სიგრძე დაახლოებით 10 მილს უდრის.

ვან-ფუა-ჩინი გადადგა

პეკინი, 16 აგვისტო. მიუხედავად უ-პეი-ფუს თხოვნისა, რათა მის მომხრე ვან-ფუა-ჩინს არ დაეტოვებია პეკინის რაიონის თავდაცვის უფროსის თანამდებობა, ვან-ფუა-ჩინი მაინც გადადგა.

თეთრ გვარდიელების, თათბირი უ-პეი-ფუსთან

პეკინი, 16 აგვისტო. იტყობინებიან, რომ თეთრგვარდიელი გენერალს სემიონოვს თათბირი ჰქონდა უ-პეი-ფუსთან, რის შემდეგაც დაბრუნდა პეკინში.

ზომები პროპაგანდისტების წინააღმდეგ

პეკინი, 16 აგვისტო. ჩინელ ვაჭრის მოკვლამ იაპონიის გემზე დიდი აღშფოთება გამოიწვია შანხაიში.

ქუჩაზე მოვაჭრეთა კავშირები და სხვა ორგანიზაციები ითხოვენ დამნაშავეების სასტიკად დასჯას და იაპონიის ელჩის მიერ ოფიციალურად ბოდიშის მოხდას.

„შანგ-ში"-ს გამომცემლობის დახურვა

შან-ხაი, 16 აგვისტო. გამომცემლობა „შანგ"-ში პოლიციამ დახურა იმ საბაბით, რომ ის წარმოადგენს კომუნისტური და გომინდანის პროპაგანდის ბაზას.

პანების სამეფოში

ორი მოწმე—ერთი კაცი

ვარშავა, 16 აგვისტო. ვილნოს საოლქო სასამართლოში გაირჩა 33 ბელორუსის საქმე. მათ ბრალი ედება ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებაში. საქმის გარჩევის დროს გამოირკვა, რომ ბრალდებულის ორი მთავარი მოწმე, რომელთა წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენება გამოქვეყნებულ იქნა სასამართლოში, ფაქტიურად იყო ერთი პიროვნება—„ახრანკის" აგენტი, რომელმაც გამომძიებელს ორჯერ მისცა ჩვენება სხვადასხვა გვარით.

დამცველებმა კატეგორიულად მოითხოვეს სასამართლოში პროცესის დროს ორივე მოწმის გამოცხადება. სასამართლო იძულებული გახდა საქმე გადაედო.

რა ესიზმრება პოლონელ პანებს

ვარშავა, 16 აგვისტო. აღმოსავლეთის სააგენტო პოლონეთის პრესაში ავრცელებს ყალბ ცნობებს, თითქოს ორანის რაიონში ხდებოდეს ლიტვის არმიის მანევრები, რომელსაც ხელმძღვანელობს „საბჭოთა ოფიცერი".

ჟურნალ „ბელორუსკა ნაროდნა სპრავას" კონფისკაცია.

ვარშავა, 16 აგვისტო. ვილნოში კონფისკაცია უყვეს ჟურნალ „ბელორუსკა ნაროდნა სპრავას" მე-5 ნომერს იმ წერილის გამო, რომელშიაც მოითხოვდენ პოლიტიკური ტუსაღების განთავისუფლებას.

საფრანგეთ-გერმანიის ლითონის ტრესტი

პარიზი, 15 აგვისტო. სენ-ბრისი სწერს „ჟურნალში": „სამართლიანობა მოითხოვდა, რომ გერმანიას სამაგიერო ეზღო ომის დაწყებისათვის, მაგრამ ორმა გარემოებამ შეუშალა ხელი საფრანგეთის მრეწველობას გერმანიის მრეწველობის დანგრევის საქმეში. პირველი გარემოება იყო გერმანიიდან რეპარაციის მიღების სურვილი, მეორე — გერმანიის ბაზრის აუცილებლობა ლოტარინგიის ლითონისათვის. რადგან არ შეიძლება ბრძოლა, ამიტომ უნდა შევთანხმდეთ. შეთანხმების შედეგი იქნება ტრესტის დაარსება, რომელიც ფასებს უკარნახებს ბაზარს.. ინგლისი ჯერ-ჯერობით კომბინაციაში მონაწილეობას არ იღებს, მაგრამ ნაკლებ სარწმუნოა, რომ მან ბრძოლა დაიწყოს. ინგლისი შევიდა უკვე სარელსო კარტელში. მეტოქეობა სწარმოებს ევროპასა და ამერიკას შორის.

ერთა ლიგის სესიის წინ

საგარეო საქმეთა კომისია

ბერლინი, 17 აგვისტო. საგარეო საქმეთა კომისია შეიკრიბება 24 აგვისტოს საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობის განსახილველად და კერძოდ იმ საკითხების განსახილველად, რომლებიც ერთა ლიგის მომავალ სესიასთან არიან დაკავშირებული.

ევროპის პრესა ერთა ლიგის სესიის შესახებ

ბერლინი, 17 აგვისტო. ლონდონის პრესა პესიმისტურად არის განწყობილი მომავალი სესიის მუშაობისადმი. „დეილი ტელეგრაფი" მწუხარებას გამოსთქვამს, რომ ესპანეთმა თავისი მოთხოვნილება ტანჟერის შესახებ ერთა ლიგის სესიის დაწყებისას წამოაყენა და ფიქრობს, რომ იგი დაკავშირებულია ესპანეთის მოთხოვნილებებთან — ერთა ლიგის საბჭოში მუდმივი ადგილის მიცემის შესახებ.

„ვესტმინსტერ გაზეტტი" სწერს, რომ ბრიტანეთის მთავრობას იმედი გაუცრუვდება, თუ ესპანეთის მიერ ერთა ლიგისადმი წარდგენილი მოთხოვნილებანი უყურადღებოდ იქნა დატოვებული, და ესპანეთი ამის გამო იძულებული იქნება გავიდეს ერთა ლიგიდან.

„მორნინგ პოსტი" აკრიტიკებს პრიმო-დე-რივერას პოზიციას ტანჟერის საკითხში.

„დეილი ექსპრესი" ფიქრობს, რომ სკანდინავის სახელმწიფოთა გარდაწყვეტილება, განაგრძონ თავიანთი წინანდელი პოლიტიკა ერთა ლიგის საბჭოს შემადგენლობის გაფართოების წინააღმდეგ, მდგომარეობის გამწვავებას გამოიწვევს.

კომისია ესპანეთის საქმეების განსახილველად

ბერლინი, 17 აგვისტო. ერთა ლიგის განსაკუთრებული კომისია, ესპანეთის მოთხოვნილების თანახმად, 30 აგვისტოს შეიკრიბება. კომისია განიხილავს ესპანეთის პრეტენზიებს ერთა ლიგის პლენარული სესიის გახსნის წინ.

განათლების მუშაკთა კონგრესი

კონგრესის დახურვა

ვენა, 15 აგვისტო. დაიხურა განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის კონგრესი. კონგრესმა ერთხმად აირჩია ინტერნაციონალის ახალი აღმასკომი, რომელშიაც საბჭოთა კავშირიდან შევიდნენ კოროსტელევი, აპლეტინი და მიზერნიცკი. კონგრესმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც გმობს ამსტერდამელების ცდას გაეთიშათ ინტერნაციონალი განათლების მუშაკთა ახალ ინტერნაციონალის დაარსების გზით. საბჭოთა კავშირში მასწავლებლობის მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირის განათლების მუშაკთა კავშირის მდივანმა აპლეტინმა.

გაფიცვების ტალღა

გაფიცვა სირიაში

პარიზი, 15 აგვისტო. დამასკში და ბეირუტში (სირია) სხვადასხვა პროფესიის რამოდენიმე ათასმა მუშამ გამოაცხადა გაფიცვა. მოითხოვენ სამუშაო ხელფასის მოატებას.

გაფიცვა ტულუზაში

პარიზი, 15 აგვისტო. ტულუზის (საფრანგეთი) მელითონეებმა გამოაცხადეს გაფიცვა. მოითხოვენ სამუშაო ხელფასის გადიდებას.

გაფიცვა დასრულდა

ლონდონი, 16 აგვისტო. პაინინს ფაბრიკის მუშების გაფიცვა, რომელიც რამოდენიმე კვირაა რაც გრძელდება, დასრულდა მწარმოებლებსა და მუშებს შორის შეთანხმებით. შეთანხმებაში გათვალისწინებულია, რომ გაფიცულთა წინააღმდეგ არავითარ რეპრესიულ ზომებს არ მიმართავენ. პროფკავშირის მდივანმა უერრენმა განაცხადა, რომ შეთანხმების პირობები მოიწონა მუშების მასიურმა მიტინგმა.

ამერიკელი „დემოკრატია"

მხრჩოლავი გაზები მუშების წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 15 აგვისტო. ჩიკაგოში შესდგა „პოლიციის უფროსთა საერთაშორისო ასოციაციის" კონფერენცია. კონფერენციაზე აჩვენეს ქიმიური ომის სხვადასხვა საშუალებანი მუშების დემონსტრაციების, გაფიცულთა და მიტინგების წინააღმდეგ გამოსაყენებლად. ამ დემონსტრაციის დროს არიგებდენ რეკლამებს, რომელშიაც თითეულ ფირმა აქებდა განსაკუთრებით მის მიერ გამომუშავებულ პროდუქტებს.

კლივლენდის ერთი ქიმიური ფაბრიკა თავის რეკლამაში აღნიშნავდა, რომ მისი პროდუქტების უმთავრესი მომხმარებელი უნდა იქნენ სამრეწველო დაწესებულებანი და რჩევას იძლეოდა გაფიცულ ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ გამოიყენონ განსაკუთრებული გამაღიზიანებელი გაზი, რომელიც ამ ფაბრიკაშია დამზადებული.

მეორე ფირმა სიამაყით აღნიშნავდა მის მიერ დამზადებულ ყუმბარების ხმარების შედეგებს. ამ ყუმბარებმა ცრემლის დენა გამოიწვია, როცა ის იხმარეს გაფიცულ მქსოველთა წინააღმდეგ ქ. მოსაიკში.

ინგლისს აშინებს გერმანიის კონკურენცია

ინგლისის მრეწველთა კავშირი მოითხოვს დაუესის გეგმის გადასინჯვას.—„დეილი მეილი" მხარს უჭერს უფრო მტკიცე პოლიტიკას გერმანი-ის მიმართ

ბერლინი, 15 აგვისტო. „დოიტშე ალგემაინე ცაიტუნგი" თვალსაჩინო ადგილზე აქვეყნებს თავის ლონდონელ კორესპონდენტის წერილს, რომელშიაც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ინგლისი დიდის უნდობლობით უცქერის გერმანიის პოლიტიკას. ეხება რა ინგლის-გერმანიის ურთიერთობას კორესპონდენტი სწერს: „არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი დამოკიდებულება ინგლისთან მეგობრული არ იყოს; ამ დამოკიდებულებას თავაზიანათ სთვლიან. მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ დამოკიდებულება ინგლისთან არ გაუმჯობესებულა. თუ საფრანგეთში ძლიერია მოგონება ომის შესახებ, —ინგლისში კიდევ უფრო ძლიერია ომის წინადროის მოგონებანი, რომელიც უმთავრესად გამოიხატება სიტყვით „კონკურენცია". დღე არ გავა ისე, რომ არ გამოქვეყნდეს ცნობა რურის სანახშირო მრეწველობის კარგი მდგომარეობის შესახებ, ან გერმანიის მიერ ახალი ხელშეკრულების დადების, ან კიდევ გერმანიის ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების აწევის შესახებ. ინგლისის ელექტრო ტექნიკური მრეწველობის წარმომადგენლები, საკითხის დაწვრილებითი შესწავლის შემდეგ, მივიდენ იმ დასკვნამდე, რომ დაუესის გეგმა აუცილებლად განდევნის მსოფლიო ბაზრიდან ინგლისის ელექტრო-ტექნიკურ მრეწველობას, რადგან ის აჭარბებს გერმანიის მუშების სამუშაო ხელფასს. ინგლისის მრეწველთა კავშირი ითხოვს დაუესის გეგმის გადასინჯვას. გერმანიის წინააღმდეგი ცნობილი ორგანო „დეილი მეილი" აღნიშნავს, რომ ის ყოველთვის დაუესის გეგმის წინააღმდეგი იყო და დათმობის პოლიტიკა აუცილებლად კონკურენციის გაზრდას გამოიწვევს.

უცხოეთის სავაჭრო პალატების დახურვა

ოსმალეთში

ლონდონი, 16 აგვისტო. „დეილი ტელეგრაფის" სტამბოლელი კორესპონდენტის ცნობით დადასტურდა ის ხმები, რომ ოსმალეთის მთავრობას განზრახვა აქვს დახუროს უცხოეთის ყველა სავაჭრო პალატები. კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ უცხოელთა სავაჭრო პალატების დახურვა მიმართულია პირველ რიგში უცხოეთის სანაოსნო საზოგადოებების წინააღმდეგ, კერძოთ კი ინგლისის, გერმანიის და იტალიის სავაჭრო სანაოსნო საზოგადოებების წინააღმდეგ.

კორესპონდენტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ანგორის მთავრობას დიდი ხანია სერიოზული განზრახვა აქვს შექმნას ნაციონალური სავაჭრო ფლოტი.

უკანასკნელი ცნობები

მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენცია

ლონდონი, 17 აგვისტო. მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენციის დღევანდელ სხდომაზე დადგენილ იქნა, რომ მემაღაროეთ აღმასკომმა მოლაპარაკება უნდა დაიწყოს მაღაროების მეპატრონეებთან მხოლოდ გაფიცვის საკითხის მთელი სახელმწიფო მასშტაბით მოწესრიგების ნიადაგზე.

გერმანიის ერთა ლიგაში მიღების პირობები

პარიზი, 17 აგვისტო. ოფიციალური ნოტა გვამცნობს, რომ გერმანია ერთა ლიგის სესიაში მონაწილეობას არ მიიღებს მანამდე, ვიდრე მიღწეული არ იქნება საბოლოო შეთანხმება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს გერმანიის შესვლა ერთა ლიგის საბჭოში.

გარისხვა ახალი კანონების ცნობისათვის

ბერლინი, 17 აგვისტო. მექსიკის ეკლესიის 14 კათოლიკე მღვდელი, რომლებმაც ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული ახალი კანონები სცნეს დაუყოვნებლივ გარისხულ იქნენ ეპისკოპოსის მიერ, მექსიკიდან მიღებული ცნობით, დათხოვნილია 56 მოხამსახურე ახალი საეკლესიო კანონების შეუსრულებლობის გამო.

საფრანგეთ-ესპანეთის ხელშეკრულება

ბერლინი, 17 აგვისტო. საფრანგეთ-ესპანეთის ახალი შეკრულობა დაიდო პარიზში. იგი 1922 წლის ხელშეკრულების განვითარებას წარმოადგენს. ზოგიერთი დამატებები ითვალისწინებენ მინიმალურ ტარიფს და შეღავათებს. დამატება ეხება აგრეთვე ტუნისს და საფრანგეთის სამანდატო ტერიტორიებს.

მოლაპარაკება ინგლის საბერძნეთს შორის

ლონდონი, 17 აგვისტო. ათენიდან იუწყებიან, რომ საბერძნეთის პრემიერის პანგალოსის აზრით ამ მოკლე ხანში განახლდება მოლაპარაკება ინგლისთან საბერძნეთის სამხედრო სესხის საკითხის შესახებ.

ოსმალეთ-ჰოლანდიის ხელშეკრულება

ბერლინი, 17 აგვისტო. ანგორაში ოსმალეთისა და ჰოლანდიის შორის დაიდო სავაჭრო ხელშეკრულება.

გერმანიის მუშათა დელეგაციის წერილი „ფორვერტსში"

ბერლინი, 16 აგვისტო. გერმანიის კომპარტიის ორგანო „როტეფანე" აქვეყნებს გერმანიის მუშათა მეორე დელეგაციის თავმჯდომარის კრებერის წერილს. „ფორვერტს" მოყავს წერილის შინაარსი, ნაკლებად იცავს თავს და აღნიშნავს, რომ გაზეთი ბეჭდავს მხოლოდ ამონაწერებს ოფიციალურ საბჭოთა პრესიდან. დასკვნაში „ფორვერტსი" აცხადებს, რომ „უთანხმოება დელეგაციასთან, რომლისათვისაც რწმუნება არავის არ მიუცია", მოგვარებულ იქნება მისი დაბრუნების შემდეგ.

კაფანდარისის გადასახლება

ბერლინი, 17 აგვისტო. საბერძნეთის ყოფილი პრემიერი კაფანდარისი დატუსაღებულია და გადასახლებულ იქნა ეგეოსის ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე. გადასახლების მიზეზია მისი წერილი საბერძნეთის არმიის ყველა კამანდირებსადმი, რომელშიაც იგი მოუწოდებდა მათ რომ შეერთებულიყვნენ პანგალოსის წინააღმდეგ აჯანყებას.

მეფე ფეისალი ჩერჩილთან

ბერლინი, 17 აგვისტო. ლონდონში ჩავიდა მეფე ფეისალი, რომელსაც თათბირი ექნება ჩერჩილთან ირაქის მთავრობის საფინანსო მდგომარეობის შესახებ.

სამხედრო ვალები

ლონდონი, 17 აგვისტო. პორტუგალიასთან მოლაპარაკება სამხედრო ვალების შესახებ უკვე დაიწყო.

ლონდონი, 17 აგვისტო. ამჟამად მოუგვარებელია ინგლისის შემდეგ მევალეთა საკითხი: რუსეთი 794 მილ. გირ. სტერლინგი, საფრანგეთი—647 მილ. გირ. სტერ., სამხრეთ-სლავია—31 მილ., პორტუგალია—23 მილ., საბერძნეთი—21 მილიონი. ამგვარად მოუგვარებელი სამხედრო ვალები, რომელიც მართებთ ინგლისის სულ უდრის 150.000 მილ. გ. სტერლინგ მოელიან, რომ მოხდება ვალის შესახებ საფრანგეთთან დადებულ ხელშეკრულობის რატიფიკაცია. შემდეგ მოგვარდება პორტუგალიის და საბერძნეთი ვალი. ამგვარად, ვერ მოაგვარეს რუსეთისა და სერბიის ვალის საკითხი.

ბრძოლა პროფმოძრაობის მთლიანობისათვის

საფრანგეთის შრომის რევოლიუციონური კონფედერაციის წინადადება

პარიზი, 15 აგვისტო. შრომის რევოლიუციონური კონფედერაცია, უწევს რა ანგარიშს საფრანგეთის მუშების მისწრაფებას პროფესიონალური მოძრაობის მთლიანობისაკენ, აცხადებს, რომ კონფედერაციის აღმასკომი მზად არის გამართოს თათბირი რეფორმისტულ პროფკავშირების ხელმძღვანელებთან იმ მიზნით, რომ განიხილონ გაერთიანების პროექტი რეფორმისტული და რევოლიუციონური შრომის კონფედერაციისა. რევოლიუციონური კონფედერაცია აცხადებს, რომ გაერთიანება უნდა მოხდეს პროფკავშირებში უმრავლესობისადმი დამორჩილების პრინციპზე.

საფრანგეთის მუშების კრიტიკული მდგომარეობის გამო, რევოლიუციონური კონფედერაცია მოუწოდებს პროფკავშირის ყველა წევრებს გაერთიანდენ მთლიან კონფედერაციაში და დაუყოვნებლივ შექმნან მთლიანი ფრონტი.

ლიტვა და პოლონეთი

კოვნო, 16 აგვისტო. ლიტვის ოფიციალური ორგანო „ლიტუვა" სწერს: პრესის გუშინდელი ცნობა, რომ ვილნოში ჩამოვიდნენ ლატვიის, ესტონიის და ფინეთის სამხედრო წარმომადგენლები პილსუდსკის პატივსაცემად გამართულ დღესასწაულზე მონაწილეობის მისაღებად, ნიშნავს, რომ ჩვენი ჩრდილოეთელი მეზობლები უკვე აღარ იცავენ ნეიტრალიტეტს ვილნოს საკითხში. პილსუდსკის საპატივსაცემოდ გამართული ზეიმი ლიტვის დედაქალაქში, იმ დედა ქალაქში, რომელიც აიღეს 1920 წელში პილსუდსკის ბრძანებით, აშკარა პოლიტიკური დემონსტაციის ხასიათის მატარებელია. ის ფაქტი, რომ ჩვენმა ჩრდილოეთელმა მეზობლებმა მონაწილეობა მიიღეს ამ დემონსტრაციაში, რომელიც ლიტვის წინააღმდეგ არის მიმართული, გვიჩვენებს პოლონეთის დიპლომატიის გავლენას ბალტიის სახელმწიფოებში.

თეთრი ტერორის წინააღმდეგ

პარიზი, 15 აგვისტო. „თეთრი ტერორის მსხვერპლთა დაცვის კომიტეტმა", რომელიც შესდგება პოლიტიკური მოღვაწეებისაგან და მემარცხენე მიმართულების მწერლებისაგან, გამოაქვეყნა პროტესტი უნგრეთის რევოლიუციონერთა საქმეზე გამოტანილ განაჩენის გამო. პროტესტის ავტორები აცხადებენ, რომ კომიტეტი მიიღებს ზომებს, რათა ევროპის საზოგადოებრივმა აზრმა იძულებული გახადოს უნგრეთის მთავრობა გაანთავისუფლოს დასჯილები.

დაპყრობილ ოლქებში

უკმაყოფილება საფრანგეთის საოკუპაციო ჯარებში

ლონდონი, 16 აგვისტო. ლონდონის გაზეთების პარიზელი კორესპონდენტები იტყობინებიან, რომ საფრანგეთის საოკუპაციო ჯარში უკმაყოფილება სუფევს იმის გამო, რომ საფრანგეთში დაბრუნებისას ჯამაგირი მიეცემათ მათ არა ოქროს მარკებით, არამედ ფასდაკარგული ფრანგული ფრანკით.

გაზ. „დეილი უორკერის" კონკურსი

ნიუ-იორკი, 15 აგვისტო. ამერიკის მუშათა პარტიის ორგანომ „დეილი უორკერმა", რომელიც ჩიკაგოში გამოდის, კონკურსი გამოაცხადა ხელისმომწერლების უდიდესი რაოდენობის შეგროვებაზე ერთ შტატში. ორი პიროვნება, რომელიც შეაგროვებს ხელისმომწერლების უდიდეს რაოდენობას, საჩუქრის ნაცვლად გაიგზავნებოდა მოსკოვში „დეილი უორკერის" ხარჯზე. პირველი პრემია მოიგო კალიფორნიის მუშამ, მეორე—კი ნიუ-იორკელმა. ორივეს ახლო მომავალში გამოამგზავრებენ საბჭოთა კავშირში.

დავა ტანჟერის გარშემო

პრიმა-დე-რივერას სურვილები

ბერლინი, 17 აგვისტო. პრიმა-დე-რივერამ განაცხადა, რომ ტანჟერი ესპანეთს უნდა ეკუთვნოდეს, ვინაიდან ესპანეთი ყოველწლიურად ხარჯავს 200 მილ. პეზეტს მაროკოში წესიერების დასაცავად და ამავე დროს იცავს ტანჟერს, რომელიც ესპანეთის წინააღმდეგ აჯანყებასა და ინტრიგების ბუდეს წარმოადგენს.

მუსოლინისაც სურს

ბერლინი, 17 აგვისტო. პრიმა-დე-რივერასთან ერთად, „დეილი მეილის" ცნობით, მუსოლინიმ ბრიტანეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს გადასცა მემორანდუმი, რომელშიაც მოითხოვს, რომ იტალიას იგივე უფლებები მიენიჭოს ტანჟერში, როგორიც აქვთ ესპანეთსა და საფრანგეთს.

პარტიის მთლიანობისა და დისციპლინისათვის

ლენინური კომკავშირი პარტიასთან ერთად

(საკავშირო ახალგაზრდათა კომკავშირის ცეკას წერილიდან)

I

საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის გაერთიანებული პლენუმი წარმოადგენს **მნიშვნელოვან მოვლენას** პარტიის ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში. ამ პლენუმის თავისებურება და უდიდესი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი იყო მოწვეული იმ მომენტში, როცა პარტიის მთლიანობას სერიოზული საფრთხე მოელოდა გაერთიანებული ოპოზიციის მხრივ; ამ გაერთიანებულ ოპოზიციის შემადგენლობაში შედიოდენ ტროცკიზმი, ახალი ოპოზიცია და აგრეთვე აშკარა—მენშევიკურ ჯგუფათ გადაგვარებული ყოფილი „მუშათა ოპოზიცია". ხსენებულ ოპოზიციონურ ჯგუფთან ლენინურ ცეკას უთანხმოებათა სიმწვავე, პლენუმის მიერ განხილულ და გადაჭრილ საკითხების დიდ მნიშვნელოვანობა და ოპოზიციის ფრაქციული მოქმედების ერთსულოვანი დაგმობა პლენუმის მიერ,—ყველაფერი ეს ამტკიცებს ივლისის პლენუმის უდიდეს მნიშვნელობას და აგრეთვე იმას, რომ საჭიროა ყველა მისი გადაწყვეტილებათა გულდასმით და ყოველმხრივ შესწავლა.

ამ პლენუმზე სავსებით გამოაშკარავდა ახალი ოპოზიციის **იდეური ევოლიუცია, მისი დაქანება ტროცკიზმისაკენ** და მისი მოხიბვლა ტროცკიზმის იდეებით და ტაქტიკით. ამავე პლენუმზე ბლოკის ბელადებმა არსებითად არა თუ უარი სთქვეს მედვედევის მენშევიკურ შეხედულებისაგან გამიჯვნაზე და იკისრეს ლიკვიდატორ ოსსოვსკის დაცვა, არამედ ახალი იერიში მიიტანეს ცეკას წინააღმდეგ.

II

საყოველთაო გაფიცვამ ინგლისში სავსებით დაადასტურა კომინტერნის მიერ მსოფლიო მდგომარეობის შეფასება, რომლის თანახმად მსოფლიოში ადგილი აქვს კაპიტალიზმის დროებით და შედარებით სტაბილიზაციას. ოპოზიცია, რომელიც უარყოფს ამ შეფასებას, ჩამოსცილდა სწორ ბოლშევიკურ პოლიტიკას და თავისი წინადადებებით არევდარევა შეაქვს კომინტერნის პარტიებში. გაფიცვის მთელმა გამოცდილებამ დაადასტურა, რომ საყოველთაო გაფიცვა, როგორც ბრძოლის მეთოდი სწორია და, რომ გაფიცვა გაიმარჯვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გადაიქცევა აშკარა პოლიტიკურ ბრძოლად. გენერალურ საბჭოს გამცემლობა და „მემარცხენე" კაპიტულიანტების გაერთიანება აშკარა მემარჯვენე გამცემლებთან, მთელი სიგრძე-სიგანით აყენებს ამოცანას დაუზოგავათ გამოამჟღავნოთ გენერალურ საბჭოს როგორც მემარჯვენე, ისე „მემარცხენე" ბელადები და ვებრძოლოთ მათი შეცვლისათვის ინგლისის პროფმოძრაობის ხელმძღვანელ ორგანოებში.

კომუნისტებმა განსაკუთრებული ენერგიით უნდა იმუშაონ პროფკავშირებში, დაიპყრონ მასები და წაიყვანონ ისინი რევოლიუციონურ კლასთა ბრძოლის გზით.

საერთაშორისო პროლეტარიატმა უნდა გააძლიეროს გაფიცულ სამთამადნო მუშათა ძმური დახმარება. საბჭოთა პროფკავშირებმა უნდა განამტკიცონ ინგლისის და საბჭოთა კავშირის მუშათა სოლიდარობა.

ამასთან ერთად, სრულიად მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს საბჭოთა პროფკავშირების გამოსვლა ინგლის-რუსეთის კომიტეტიდან. ინგლის-რუსეთის კომიტეტში საბჭოთა კავშირის მუშები აგზავნიდენ თავის წარმომადგენლებს არა იმიტომ, რომ იმედი ჰქონდათ ოპორტუნისტ-ლიდერების ზედაფენებთან მოლაპარაკებით შეეცვალათ კაპიტალისტურ ქვეყნების რევოლიუციონურად გარდაქმნის ამოცანა... საბჭოთა პროფკავშირები მიდიოდენ ინგლის-რუსეთის კომიტეტში იმისათვის, რათა კავშირი დაეჭირათ იმ **მასასთან**, რომლის ზეგავლენით მარცხნისაკენ პირი იბრუნეს პროფკავშირთა ბელადებმა. („თეზისები ინგლისის გაფიცვის გაკვეთილების შესახებ").

წინადადება ინგლის-რუსეთის კომიტეტიდან გამოსვლის შესახებ წარმოადგენს „მემარცხენე" ფანდს, რომელიც მხოლოდ შეასუსტებს კომინტერნის გავლენას ინგლისის (და საერთაშორისო) პროლეტარიატზე და დაამახინჯებს ერთიანი ფრონტის ტაქტიკას.

რამდენად საზიანოა ოპოზიციის „ოტზოვისტური" ტაქტიკა ინგლის-რუსეთის კომიტეტის მიმართ, ეს ყველასათვის ცხადია, რადგან იგი გვაშორებს მასებს, იწვევს პასივობას (რაც იფარება წვრილ-ბურჟუაზიული რევოლიციონერობით) და მას შეუძლია გააძლიეროს ტენდენცია, რომელიც მიმართულია პროფკავშირთა ორგანიზაციიდან გამოსვლისაკენ.

III

საბჭოების ხელახალ არჩევნებისათვის ჯამის გაკეთებას პლენუმმა უდიდესი ყურადღება მიაქცია.—წარსულ საარჩევნო კამპანიის მნიშვნელობა მით უფრო დიდია, რომ ამ კამპანიამ შეამოწმა პარტიის გეზი საბჭოების გამოცოცხლებაზე და საბჭოთა დემოკრატიზმის გატარებაზე.

საბჭოების წარსულმა არჩევნებმა დაგვანახვა, რომ პირველი ადგილი თავისი აქტივობით უჭირავს მუშათა კლასს. ამავე დროს ძალიან გაიზარდა წარსულ წლებთან შედარებით წვრილ-ბურჟუაზიულ ფენების მონაწილეობა არჩევნებში.

სოფლად ყველაზე დიდი აქტივობა გამოიჩინა საშუალო შეძლების გლეხობის მასამ, ღარიბ გლეხობის აქტივობა თუმცა რამდენიმეთ გაიზარდა, მაგრამ მაინც ჩამორჩება გლეხობის სხვა ფენების აქტივობას. სოფლის ღარიბ გლეხობას ყველგან ერთნაირად არ გამოუჩენია საჭირო აქტივობა და დარაზმულობა.

კამპანიის უმთავრესი პოლიტიკური შედეგი მდგომარეობს იმაში, რომ ხელახალმა არჩევნებმა დაგვანახვა პროლეტარიატის და მისი პარტიის ხელმძღვანელი როლის ზრდა და პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესება სახელმწიფოში, კერძოთ, სოფლად.

პარტიის ხაზი საბჭოების გამოცოცხლებისაკენ სავსებით სწორი აღმოჩნდა. საბჭოების გამოცოცხლების პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს მუშათა კლასის, როგორც ხელმძღვანელი ძალის აქტივობის ყოველმხრივ განვითარებას, ხელს უწყობს პროლეტარიატის, სოფლის ღარიბ მასის და გლეხობის ძირითად მასის კავშირის განმტკიცებას და მშრომელთა მასებზე ბურჟუაზიულ ელემენტების პოლიტიკურ გავლენის საბოლოოდ გაქარწყლებას. მაგრამ ამასთან ერთად, ცეკამ თავის გადაწყვეტილებებში აღნიშნა ის დიდი დეფექტებიც, რომელიც გამოააშკარავა საბჭოების ხელახალი არჩევნების კამპანიამ. (საკავშირო ცაკის ინსტრუქცია, მისი არა სისწორით გატარება ადგილებზე, „მაჩანჩალობა", რომელსაც კომუნისტები იჩენენ სხვადასხვა ადგილებში და სხვა).

ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმი ყველა ამ დეფექტებს აღნიშნავს იმისათვის, რათა პარტიამ მომავალშიაც განაგრძოს ენერგიული ბრძოლა ამ დეფექტების გამოსასწორებლად.

პლენუმმა უმთავრეს ამოცანად აღიარა საბჭოთა აპარატის გაუმჯობესება და მისი ბიუროკრატიზმისა და მასებისაგან ჩამოშორების დაძლევა საბჭოების და მათი სექციების მუშაობაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმით; განსაკუთრებით ხაზი გაუსვა უპარტიო აქტივის დაწინაურებას და აღზრდას საბჭოების გარშემო.

თავის მხრივ საკავშირო ახალგაზრდობის ლენინურ კომკავშირის ცეკა წინადადებას აძლევს ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს ხელახალ არჩევნების შედეგების და პარტიის გადაწყვეტილებათა ზედმიწევნით შესწავლის საფუძველზე გააძლიერონ კომკავშირის მონაწილეობა საბჭოთა მუშაობაში და დახმარება გაუწიონ საბჭოებს მათ საზოგადოებრივ მოღვაწეობაში.

ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმმა ასწონ-დასწონა ჩვენს გზაზე არსებული სიძნელენი, გაითვალისწინა ჩვენს წინაშე არსებული საფრთხე მტრულ და ნახევრად მტრულ სოციალურ ჯგუფების აქტივობის ზრდასთან დაკავშირებით და მიიღო გადაწყვეტილებანი, რომლითაც შეიძლება საშიშროების და სიძნელეთა გადალახვა.

მთავარი ხაზი პარტიის მუშაობაში ძველებურად მიმართულია პროლეტარიატის აქტივობის ზრდისაკენ, გლეხობის ძირითად მასასთან კავშირის განმტკიცებისაკენ, საბჭოების მუშაობაში მოჯამაგირეების და ღარიბ გლეხობის ჩაბმისაკენ, საბჭოების მუშაობის და მისი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისაკენ.

ოპოზიციის გამოსვლა მე-14 ყრილობის მიერ დამტკიცებულ პარტიულ ხაზის წინააღმდეგ იმ ბრალდებით, თითქოს ცენტრალურმა კომიტეტმა „დაივიწყა" ღარიბ გლეხობის ინტერესები, „გადაიხარა კულაკისაკენ", გადაგვარდა და სხვ., ოპოზიციის მტკიცება, რომ ხელახალმა არჩევნებმა დაგვანახვა კლასიურ ძალების გადახრა კულაკისა და ქალაქის წვრილ-ბურჟუაზიისაკენ წარმოადგენს ახალი ოპოზიციის მიერ ტროცკიზმით შეზავებულ ძველი მოტივების განმეორებას.

ბოლშევიკურ პარტიას არ სჩვევია პანიკა საფრთხის წინაშე, გაკოტრებული ოპოზიცია თავის პოლიტიკის ამ მუხლშიაც ვერ პოულობს და ვერც მოიპოვებს თანაგრძნობას როგორც პარტიულ, ისე კომკავშირის წრეებში.

განსაკუთრებით უნდა შევეხოთ ჩვენი სახელმწიფოს პროლეტარულ ხასიათს; ოპოზიცია ამ საკითხშიაც რევიზიას უკეთებს ლენინის მოძღვრებას.

ამხ. ლენინი ხაზგასმით აღიარებდა ჩვენი სახელმწიფოს პროლეტარულ ხასიათს და ამბობდა:

„საქმით კი ჩვენ გვაქვს მუშური სახელმწიფო, ჯერ ერთი იმ თავისებურებით, რომ ქვეყანაში სჭარბობს არა მუშური, არამედ გლეხური მოსახლეობა და მეორე, მუშური სახელმწიფო ბიუროკრატიულ დამახინჯებით" (თხზულ. კრებ. ტომი XVIII. ნაწ. 1: გვ. 63).

თუ მე-14 ყრილობაზე ოპოზიციამ ეჭვის თვალით შეხედა სახელმწიფო მრეწველობის სოციალურ ხასიათს, ეხლა ოპოზიციონურ ბლოკის გამოჩენილი ხელმძღვანელები ლაპარაკობდენ, რომ „ჩვენ სახელმწიფოს სრულიადაც არ აქვს პროლეტარული ხასიათი"-ო, ხელს აფარებენ თავიანთ თანამოაზრეების ლიკვიდატორულ ცოდვებს. იმ თანამოაზრეების, რომელნიც ამტკიცებენ, რომ საბჭოთა სახელმწიფოს აქვს „მუშურ-გლეხური" ხასიათი, ამახინჯებენ ლენინს და სდგებიან ბურჟუაზიულ დემოკრატიის, აშკარა ჩვენი მტრების, მენშევიკების ბანაკში.

პლენუმმა გადაჭრით უარჰყო ლენინის მოძღვრების ეს მორიგი დამახინჯებანი სახელმწიფოს შესახებ, რომელიც ესაჭიროება ოპოზიციას იმისათვის, რომ დაამტკიცოს საბჭოთა წესწყობილების „გადაგვარება" და ცენტრალურ კომიტეტის პოლიტიკის უვარგისობა. ეჭვს გარეშეა, რომ მთელი პარტია გადაჭრით გაჰკიცხავს ამ ცდას უვარგისი საშუალებებით, ამ ახალ თავდასხმას ლენინიზმის საფუძვლებზე.

IV

ლაშევიჩის და სხვ. საქმე აყენებს შინა-პარტიულ მდგომარეობის საკითხს ოპოზიციის ფრაქციონულ მუშაობასთან დაკავშირებით.

იმ ამხანაგების მცირე რიცხოვანი ჯგუფი, რომელიც სრულიად გაკოტრდა მე-14 პარტყრილობაზე, დაადგა ფრაქციონულ არალეგალურ მუშაობის გზას პარტიის წინააღმდეგ; მან გადასდგა ნაბიჯი განხეთქილებისაკენ, რაც პირდაპირ აყენებს საკითხს ჩვენი პარტიის მთლიანობის შესახებ.

ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმმა დაჰგმო ოპოზიციის გამთიშავი მოქმედება და გამოიტანა დადგენილება ცეკას შემადგენლობიდან ამხ. ლაშევიჩის გამორიცხვის და პოლიტბიუროს წევრის თანამდებობიდან ამხ. ზინოვიევის გადაყენების შესახებ, რადგან ფრაქციონული მუშაობის ხელმძღვანელობა ზინოვიევისაგან გამომდინარეობდა. უკანასკნელმა შეუძლებლად ჩასთვალა გამიჯნოდა ამხ. ლაშევიჩს და სხვებს და პირიქით, იკისრა მათი დამცველობა პარტიის წინააღმდეგ.

ოპოზიციონურ ბლოკის დაახლოვება ყოფ. „მუშათა ოპოზიციის" ნამსხვრევებთან, რომელიც გადაგვარდა აშკარა მენშევიკურ ჯგუფად (იხ. ცენტრალურ ორგანიზაციის პასუხი მედვედიევის წერილზე) და ოპოზიციის უარი მედვედიევისა და შლიაპნიკოვისაგან გამიჯვნაზე, კიდევ უფრო ააშკარავებს მემარჯვენე საფრთხეს ჩვენს პარტიაში.

ლენინის პარტიის და მისი ცეკას წინააღმდეგ შეიქმნა ოპოზიციონური ბლოკი ყველა ყოფ. ჯგუფებისაგან, რომელნიც არა ერთხელ გაუკიცხავს პარტიას და, რომლებმაც ეხლა ისევ წამოჰყვეს თავი. **მაგრამ საკავშირო კომპარტია იყო, არის და იქნება მტკიცე თავისი რიგების მთლიანობით.** პარტიაში მოსათმენია უთანხმოება ამ თუ იმ საკითხებში, მაგრამ ლენინის პარტიაში სრულიად არაა მოსათმენი ფრაქციები და არალეგალური ჯგუფები. დეე, პლენუმის გადაწყვეტილება იყოს უკანასკნელი გაფრთხილება იმ ამხანაგებისათვის, რომელნიც დაადგენ პარტიის მთლიანობასთან და ლენინურ ხელმძღვანელობასთან ბრძოლის გზას.

პარტიის მთლიანობის დარღვევის და ფრაქციების და ჯგუფების თავისუფლებით ამ მთლიანობის შეცვლის ცდა, აქა-იქ მოსეირნე იდეები ორი პარტიის და ჩვენს პარტიაში ფრაქციების თავისუფლების შესახებ,—დაუყოვნებლივ იქნება აღმოფხვრილი ჩვენი პარტიის მიერ, ვინაიდან საკავშირო კომპარტიის მთლიანობის შერყევა მოასწავებდა პროლეტარიატის დიქტატურის საფუძვლების შერყევის დასაწყისს.

პარტია დარჩება მთლიანი და წაიყვანს მუშათა კლასს ახალ გამარჯვებისაკენ.

ლენინური კომკავშირი, რომელიც მიდის პარტიის გზით, მტკიცეთ დაიცავს პარტიის მთლიანობას ყოველგვარ გადახრათა და მერყეობათა წინააღმდეგ.

ახალგაზრდობის ბოლშევიკური აღზრდა შესაძლებელია მხოლოდ ლენინის მიმდევართა რიგების ფოლადისებური მთლიანობის და რკინის დისციპლინის საფუძველზე. კომკავშირის „შერყევის" ცდა უშედეგოთ დამთავრდება. კომკავშირი ერთგულად შეასრულებს ილიჩის ანდერძს და პარტიასთან ერთად თვალის ჩინივით დაიცავს პარტიის და კომკავშირის მთლიანობას.

V

ლენინურ კომკავშირის ამოცანები დღევანდელ მომენტში მდგომარეობს იმაში, რათა პარტიის გადაწყვეტილებათა საფუძველზე აწარმოვოს თავისი პრაქტიკული მუშაობა.

ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა ფართო განმარტება უნდა შეადგენდეს ამ მუშაობის წარმატების წინასწარ პირობას.

კომკავშირის მონაწილეობა პარტიის საერთო მუშაობაში უნდა სწარმოებდეს შემდეგი მიმართულებით.

1. ენერგიული ბრძოლა ლენინურ თვალსაზრისისათვის და პარტიის ყოველდღიურ ხელმძღვანელობის განმტკიცება საკავშირო ახალგ. ლენინურ კომკავშირში.
2. მუშაობის გაგრძელება კომკავშირის პროლეტარულ ბაზის განსამტკიცებლათ და წარმოებაში ჩაბმულ მთელი მუშა-ახალგაზრდობის კავშირში გაერთიანება.
3. უკვე მიღწეულ მნიშვნელოვან წარმატებათა განმტკიცება კომკავშირის მუშურ და ღარიბ-გლეხთა აქტივის დაწინაურების და აღზრდის დარგში და მუშაობის გაგრძელება ამ მიმართულებით.
4. პროლეტარულ გავლენის და ხელმძღვანელობის განმტკიცება სოფლად, მუშაობის გაძლიერება მოჯამაგირეთა და ღარიბ-გლეხობის შორის; კომკავშირის გავლენის შემდეგი განმტკიცება საშუალო შეძლების ახალგაზრდობაზე და უკანასკნელის საუკეთესო ნაწილის მიზიდვა თავის რიგებში.
5. კომკავშირის მუშაობის გაძლიერება საბჭოებში (მის სექციებში, კომისიებში და თათბირებში) და საბჭოებში არჩეულ პირთა ანგარიშების ჩაბარების მოწესრიგება მოსახლეობის წინაშე.
6. კომკავშირელთა და ახალგაზრდობის ჩაბმა სამეურნეო აღმშენებლობაში, მომჭირნეობის რეჟიმისათვის, პროდუქციის ღირსების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში,—აღვირახსნილობისა და უყაირათობის წინააღმდეგ.
7. მასიურ ეკონომიურ და საგანმანათლებლო მუშაობის გაუმჯობესება მუშათა ახალგაზრდობის შორის და პროფკავშირებში კომკავშირის მონაწილეობის განმტკიცება.
8. აღმზრდელობითი მუშაობის იდეური ხარისხის აწევა და კომკავშირელების და ახალგაზრდობის გეგმაშეწონილი აღზრდა ლენინიზმის საფუძვლებზე.
9. პარტიის დახმარება ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ და მთელი საბჭოთა აპარატის გაჯანსაღებისათვის ბრძოლაში.
10. საკავშირო კომპარტიის და კომკავშირის ყრილობების იმ გადაწყვეტილებათა თანდათანობით გატარება, რომელიც ეხება შინა კომკავშირულ დემოკრატიას „კაზიონშჩინას" და ბიუროკრატიზმთან ბრძოლას საკავშირო აპარატში და კომკავშირის ფართო მასების ჩაბმას აქტიურ მუშაობაში.
11. საკავშირო ახალგ. ლენინურ კომკავშირის რიგების ბოლშევიკურ მთლიანობის განმტკიცება და ენერგიული ბრძოლა ყოველგვარ ცდასთან, რომელიც მიმართულია, კომკავშირის დაქსაქსვისაკენ და მასში პარტიის და მისი ბელადის—ცენტრალურ კომიტეტის ხელმძღვანელობის შესუსტებისაკენ.

საკავშირო კომკავშირის ცეკა აცხადებს სრულ სოლიდარობას ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმის ყველა გადაწყვეტილებებისადმი.

საკავშირო კომკავშირის ცეკა აცხადებს, რომ მის წრეში არ არსებობს მერყეობის ნიშანიც კი პარტიის პოლიტიკის, მის პრაქტიკულ მოღვაწეობის და აგრეთვე კომკავშირის მუშაობის ყველა საკითხებში.

მოუწოდებს რა ერთსულოვან მუშაობისაკენ ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის პლენუმის ყველა გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს ჩაატარონ განმარტებითი მუშაობა ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმის შედეგების შესახებ და **ყოველმხრივ განიხილონ ეს შედეგები კომკავშირის კომიტეტების პლენუმებზე და უჯრედებში.**

საკავშირო ახალგ. ლენინურ კომკავშირის ცეკას ბიურო.

პარტიული ცხოვრება

საკავშირო ა. ლ. კ. კ. ც. კომიტეტში

ზრუნვა უპატრონო ბავშვებზე

მოსკოვი, 17 აგვისტო. საკ. ა. ლ. კ. კ. ცენ. კომიტეტმა მიმართა საკავშირო ორგანიზაციებს წერილით, რომელშიაც მიუთითებს უპატრონო ბავშვთა დაცვის მნიშვნელობაზე და წინადადებას იძლევა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ მუშაობაში. კომკავშირის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ხელი უნდა შეუწყონ უპატრონო ბავშვების მოთავსებასა და აღზრდას გლეხების ოჯახებში, შინამრეწველებთან და ხელოსნებთან; აგრეთვე ხელი შეუწყონ მათი სწავლების წესიერ ორგანიზაციის შექმნას და ჩააბან უპატრონონი საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

კომკავშირის მუშაობა სოფლად

მოსკოვი, 17 აგვისტო. საკ. ა. ლ. კ. კ. ცენ. კომ. წინადადებას აძლევს კავშირის ადგილობრივ ორგანიზაციებს დაამყარონ მჭიდრო კავშირი საკავშირო კომპარტიის საკონტროლო კომისიასთან და მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან-პრაქტიკული მონაწილეობა მიიღონ მათ მუშაობაში. განსაკუთრებით საყურადღებოა სოფლის ორგანიზაციების მონაწილეობა სოფლის კოოპერატიული აპარატის შესწავლისა და გაუმჯობესების საკითხში.

პარტიის რიგების ფოლადისებურ სიმტკიცისაკენ

(სიღნაღის სამაზრკომის პლენუმის რეზოლიუცია)

„ს. კომპარტიის სიღნაღის სამაზრკომის გაფართოებულმა პლენუმმა, მოისმინა რა მოხსენება ამხ. მ. ვარამაშვილის საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმის შედეგებზე, სავსებით იწონებს და უერთდება მის ყველა გადაწყვეტილებებს.

პლენუმი სიხარულით აღნიშნავს საკავშირო კომპარტიის ცეკას გონივრული პოლიტიკიდან გამომდინარე დადებითი შედეგებს, რომელმაც საბჭოთა ქვეყანა წაიყვანა მრეწველობის და მეურნეობის სწორ სოციალისტურ აღმშენებლობის გზით. პლენუმი საბოლოოთ უარყოფს „ახალი ოპოზიციის" მტკიცებას იმის შესახებ, თითქოს ჩვენს ქვეყანაში ქალაქის მრეწველობას წინ უსწრებდეს სოფლის მეურნეობა და მრეწველობის პროდუქტივობის სიდუხვე სჭარბობდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტიობის ნაყოფიერება, თითქოს ჩვენი მძიმე მრეწველობა სოფლის მეურნეობასთან შეფარდებით უფრო ნელი ტემპით ვითარდებოდეს და სხვა.

ახალი ოპოზიციის ეს და სხვა დანარჩენი მავნე გადახრები გამოწვეულია სოციალიზმის ერთ ქვეყანაში შენების სიძნელეთა გამო. მაგრამ საკავშირო კომპარტია და მისი ლენინური ცეკა, რომელსაც აქვს მრავალი [illegible] სიძნელეთა გადალახვის და პროლეტარული დიქტატურის განმტკიცების საკმაო გამოცდილება, ადვილად შესძლებს სოციალიზმის შენების გზაზე წამოჭრილი დაბრკოლებათა გაბათილებას. ამისათვის საჭიროა სიძნელეთა დასაძლევად პარტიული რიგების შემჭიდროება.

პლენუმი აღშფოთებულია იმ ცნობით, რომ ძველი ბოლშევიკები (კამენევი, ზინოვიევი) გამოვიდნენ პარტიაში ფრაქციული განხეთქილების შემტან დეზორგანიზატორებათ. „ახალი ოპოზიციის [illegible] მე-14 პარტყრილობის დადგენილების შემდეგ პოლიტბიუროს წევრის ზინოვიევის მეთაურობით, ლაშევიჩის, ბელენკის და სხვათა მიერ არალეგალური კრების მოწვევა, სადაც ცეკას ხაზის წინააღმდეგ მომხსენებლად გამოვიდა საკავშირო კომპარტიის ცეკას კანდიდატი ლაშევიჩი, არის კომპარტიის ისტორიაში ჯერ არ ნახული ფაქტი, რომელიც მიმართულია პარტიის მთლიანობის დარღვევის და პროლეტარიატის დიქტატურის შესუსტებისაკენ. ამჟამათ საჭიროა პარტიული რიგების ფოლადისებური სიმტკიცე. იმ ბრძოლამ, რომელსაც აწარმოებს ოპოზიცია, შესაძლებელია დამღუპველი და საბედისწერო ზიანი მიაყენოს რევოლიუციის მონაპოვართა განმტკიცების და შენარჩუნების საქმეს.

პლენუმი მთლიანად უერთდება ცეკას და ც. საკონტროლო კომისიის დადგენილებებს ოპოზიციონური ჯგუფების ლიკვიდაციისათვის, შეკიცხავს ოპოზიციის წევრებს მათი უპასუხისმგებლო გამოსვლებისათვის და აღუთქვამს ცეკას, რომ კომპარტიის სიღნაღის ორგანიზაცია ლენინურ კომკავშირთან ერთად მედგრათ იბრძოლებს ცეკას ლონისძიებების გასატარებლად პარტიაში ყოველგვარი განხეთქილების შეტანის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურის ფხიზელ დარაჯს—მთლიან საკავშირო კომპარტიას და მის ლენინურ ცეკას".

რატომაა მოსაწყენი საერთო კრებები

ხშირად გვესმის საყვედური პარტუჯრედების საერთო კრებების მოდუნების გამო. ამხანაგები სჩივიან კრების უსიცოცხლობაზე. არ არის მათი სიტყვით პარტიულ და უპარტიო მასის დაინტერესება უჯრედის საერთო კრებებით. დღის წესრიგი ზოგჯერ უშინაარსო კითხვებისაგან შესდგება, მომხსენებლები ვერ ამართლებენ კრების მოთხოვნილებას, კამათი არ იხსნება და სხვა.

სად უნდა ვეძიოთ ამ სამართლიან საყვედურის მიზეზები? რასაკვირველია, პირველყოვლისა უჯრედის ხელმძღვანელ ორგანოში—ბიუროში. იმაზე, თუ რამდენად წარმატებით და გულმოდგინედ მუშაობს ბიურო, ზღვრადაა დამოკიდებული მთელი უჯრედის აქტივობა და საერთოდ პარტიულ მუშაობის სიცხოველე ამა თუ იმ დაწესებულება-წარმოებაში. ეს ანბანური ჭეშმარიტებაა, რომელიც იცის ყველამ, ვინც კი ახლო დგას ჩვენი ძირითად პარტიულ ორგანიზაციების ყოველდღიურ საქმიანობასთან.

რას ვხედავთ სინამდვილეში? მუშაობის საზოგადო წესი ასეთია, რომ ბიურო წინასწარ იხილავს უჯრედში წამოჭრილ ყველა საკითხს, გამოაქვს ამ საკითხების შესახებ თავისი შეხედულება, და უკვე გარკვეული აზრით გამოდის საერთო კრების წინაშე.

გარდა ამისა, როცა დღის წესრიგში დგას ასეთი საკითხი, რომლის გაშუქება მოითხოვს საფუძვლიან და ამომწურავ მოხსენებას, ბიურო წინდაწინვე ირჩევს მომხსენებელს, დროზე აფრთხილებს მას, რომ მოასწროს მოხსენებისათვის მომზადება და სხვა.

ამასთან ერთად პარტუჯრედებს თითქმის ყოველ სხდომისათვის მოსდით ზემომდგომარე პარტიულ ორგანიზაციებიდან ცირკულიარული წერილები, ინსტრუქციები, განმარტებები თუ სხვა ასეთი სახის მოწერილობანი. საჭიროა პარტიულ მასისათვის ამ მიწერ-მოწერის გაცნობა. ამისათვის ბიურო ან უნდა საგანგებო მომხსენებელს ირჩევდეს, ან თვითვე უნდა კისრულობდეს ქაღალდების გარჩევა-შეთვისებას და შემდეგ ცოცხალი სიტყვით, მოკლე მოხსენებით კრებისათვის გადაცემას.

ეს ყველაფერი ასჯერ ითქვა და ათასჯერ დაიწერა. აქტიურმა და გულმოდგინე უჯრედის ბიუროებმა კიდევაც შეითვისეს მუშაობის ეს წესი. მაგრამ აქა-იქ გვხვდებიან სუსტი უჯრედები, სუსტი ბიუროებით, რომელნიც მუშაობის ვერც ერთ ამ სავალდებულო პირობებს უკლებლივ ვერ ასრულებენ. აქედან წარმოსდგება უკმაყოფილება და საყვედური ზოგიერთ პარტუჯრედების უმოქმედობის შესახებ.

თუ რა ზომები უნდა იქნას მიღებული ამ მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად, მე მგონია აშკარად გამომდინარეობს პარტუჯრედის მუშაობის ზემოთ ჩამოთვლილ ფორმებიდან.

ვ. ძ—ლი.

საფრანგეთ-საბჭოთა სავაჭრო ურთიერთობა

საუბარი ფრუნკინთან

მოსკოვი, 17 აგვისტო. საკავშირო დეპ. სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში ვაჭრობის სახ. კომისარის მოადგილემ ამხ. ფრუნკინმა, სახვაჭრობისა და სავაჭრო წარმომადგენლობის თანხებზე ყადაღის დადების შესახებ განაცხადა: „დეპარტამენტ სენის სამოქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ გამოსცა ბრძანება პარიზის ბანკებში შეტანილ საბჭოთა კავშირის სახვაჭრობისა და სავაჭრო წარმომადგენლობის ყველა ფულად თანხებზე ყადაღის დადების შესახებ. ეს ჩვენში იწვევს სრულ გაოცებას. საფრანგეთის საზოგადოებამ „ფრანს ექსპორტმა" გასულ წელს წინადადებით მიმართა საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატს, რომ მოსკოვში მოწყობილიყო საფრანგეთის საქონლის გამოფენა. ამ გამოფენის ნიმუშთა სია ჩვენთან შეთანხმებით უნდა შემოეტანათ. ამ სიის წარმოდგენის დროს გამოირკვა, რომ „ფრანს ექსპორტი" უნდოდა შემოეტანა პარფიუმერიის, გალანტერიის, აბრეშუმის და სხ. გამოფენა. ეს კი ეწინააღმდეგებოდა გამოფენის ამოცანებს და იმ პირობებს, რომლებშიაც დავიწყეთ გამოფენის მოწყობა. მიუხედავად ამისა, სასამართლოს თავმჯდომარემ ყადაღა დაადო ჩვენს თანხებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყოველივე ის, რაც მოხდა გაუგებრობის ნაყოფია; საფრანგეთის მთავრობა ისევე არის დაინტერესებული სავაჭრო ურთიერთობის განვითარებაში, როგორც ჩვენ და ამიტომ ამ სამწუხარო ინციდენტს ბოლოს მოუღებს.

მოსულის ნავთსადენი

ინგლის-საფრანგეთის უთანხმოება

ლონდონი, 16 აგვისტო. „დეილი ტელეგრაფის" დიპლომატიური კორესპონდენტის ცნობით ირაკის მთავრობა მოსულის ნავთის კონცესიაში დაინტერესებულ საფრანგეთის ინგლისის, ამერიკის და ჰოლანდიის საზოგადოებათა ექსპერტებთან ერთად ამჟამათ იკვლევს საკითხს, თუ რომელი მიმართულებით უნდა იქნას მოყვანილი ნავთსადენი მოსულის რაიონიდან ზღვამდე. 1921 წელში საფრანგეთსა და ინგლისს შორის სან-რემოში დადებული ხელშეკრულების ძალით ნავთსადენი უნდა გაიყვანონ სირიის სამანდატო ტერიტორიაზე მოსულსა და ალექსანდრეტას შორის არსებულ რკინის-გზის ხაზის გასწვრივ. ვინაიდან, ამჟამად ჩრდილოეთ სირიის რკინის-გზა ნაწილობრივ ოსმალეთის ტერიტორიაზე გადის, იმ ხაზის მაგივრად, რომელიც ალექსანდრეტაში მიდის, აყენებენ ტრიპოლი-ბეირუტის ხაზის პროექტს. ინგლისის ზოგიერთ წრეებში იმ აზრის არიან, რომ ნავთსადენის უკანასკნელი პუნქტი უნდა იქნას ხაიფა-პალესტინის ნავთსადგური. ფრანგები კი ამის წინააღმდეგ მიდიან.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ამერიკელების შთაბეჭდილებები

მოსკოვი, 17 აგვისტო. ნიჟნი-ნოვგოროდში და ყაზანში მოგზაურობიდან დაბრუნდა ამერიკელთა საზოგადო და სამრეწველო მოღვაწეთა დელეგაცია. ამერიკელები უხომო კმაყოფილებას გამოთქვამენ მიღებულ შთაბეჭდილებით, განსაკუთრებით ეროვნულ საკითხის გადაჭრის საქმეში, რაშიაც ისინი თავის თვალით დარწმუნდენ თათარის რესპუბლიკის და კერძოდ რუსულ-თათრულ სოფლების ნახვის დროს.

საფრანგეთის ტრანსპორტის დელეგაცია

მოსკოვი, 17 აგვისტო. ტრანსპორტზე მომუშავეთა საერთაშორისო საპროპაგანდო კომიტეტის ცნობების მიხედვით, საბჭოთა კავშირში ჩამოსვლას აპირებს საფრანგეთის ტრანსპორტზე მომუშავეთა, რკინისგზელთა დელეგაცია, რომელიც მიწვეული იქნება სათანადო რევოლიუციონური ორგანიზაციების მიერ.

სამუშაო ხელფასის მომატება

მოსკოვი, 17 აგვისტო. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ, მოისმინა რა საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს წინადადება, ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობაში მიღწეულ წარმატებათა გამო სამუშაო ხელფასის მომატების მიზნით კოლექტიურ ხელშეკრულობის ხელახლად განხილვის აუცილებლობის შესახებ დაადგინა:

ხელფასის მხრივ უფრო მეტად ჩამორჩენილ მუშათა ჯგუფების ინტერესების უზრუნველყოფასა და სამუშაო ხელფასის გეგმა-შეწონილი მომატების მიზნით, საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატთან დაარსებულ იქმნას სპეციალური კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე—შრომის სახალხო კომისარი—**შმიდტი**, წევრები — საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოდან—**დოგადოვი**, სახ. საგეგმო კომისიიდან—**სტრუმილინი**, მუშათა და გლეხთა ინსპექციიდან—**იანსონი**, სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოდან—**კვირინგი**, გზათა მიმოსვლის კომისარიატიდან—**ხალატოვი**, ფინანსთა სახ. კომისარიატიდან—**კუზნეცოვი**. დაევალოს კომისიას ორი კვირის განმავლობაში წარმოადგინოს სამუშაო ხელფასის მომატების რაოდენობა და ვადა სახელმწიფო მრეწველობისა და ტრანსპორტის შესაძლებლობასთან შეფარდებით, აგრეთვე გამოიმუშაოს ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის ნაყოფიერების ზრდას და სამუშაო დროს გაცდენის შემცირებას. ყველა სახელმწიფო დაწესებულებებმა და წარმოებებმა კოლექტიური ხელშეკრულობის ხელმეორედ დადების დროს უნდა იხელმძღვანელონ კომისიის დადგენილებით.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

ცეცხლის მფრქვეველი მთის ამოხეთქა ბაქოსთან

ბაქო, 17 აგვისტო. „ლოკ-ბატანის" (დამხრჩვალი კამეჩი) ამოხეთქის შესახებ დაწვრილებითი ცნობები ასეთია: 14 აგვისტოს 22 საათს და 30 წუთს ცეცხლის მფრქვეველი მთის მწვერვალზე ამოვარდა გაზის ცეცხლის სვეტი. ცეცხლის სვეტმა გაანათა მიდამოები მნიშვნელოვან მანძილზე. ნახევარი საათის შემდეგ ცეცხლის სვეტმა იკლო და მთის თავზე დარჩა მხოლოდ შუქი. კრატერის დათვალიერების დროს—გაზის სვეტი ისევ გრძელდებოდა და ალი გამოდიოდა ნაპრალებიდან. ნაწილი მკრთალი ლურჯი ფერისა იყო, რომელიც დამახასიათებელია წმინდა ლითონის წვისათვის; ნაწილი-კი ყვითელი ფერისა. რაც ნიშნავს ლითონთან წყალბადისა, ან ბენზინის ორთქლის, ან კიდევ სხვების შეერთებას. სქელი ტალახის ნაკადი მიემართებოდა დასავლეთისაკენ. ტალახის დენის სისქე 1—1 ნახ. მეტრს უდრიდა. ამოხეთქის დროს მთის გარშემომდებარე ადგილებში ცვივოდა კენჭები. ახლოს მდებარე გორაკები სქლად დაფარულია ტალახითა და დიდრონი რიყის ქვებით.

ლოკ-ბატანის უკანასკნელი ამოხეთქა მოხდა 1923 წლის იანვარში. ასეთი მომქმედი თუ არამოქმედი ცეცხლისმფრქვეველი მთების რიცხვი ბაქოს მიდამოებში ათზე მეტია. ქალაქისათვის მოსახლეობისათვის და სარეწაოებისათვის ის დიდ საშიშროებას არ წარმოადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

სამხრეთ-ოსეთის ცაკის სესია

ცხინვალი, 17 აგვისტო. დასრულდა სამხრეთ-ოსეთის ცაკის სესია. სესიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სასკოლო აღმშენებლობისა და უმიწაწყლო გლეხების დაკმაყოფილების საქმეს. დაადგინეს — გახსნან ახალი სკოლები და სასოფლო - სამეურნეო ტეხნიკუმები, გააუმჯობესონ პედაგოგიური ტეხნიკუმის საქმე. დადგენილ იქნა აგრეთვე მოკლე ვადიან პედაგოგიურ კურსების ნაცვლად გახსნან გრძელ ვადიანი კურსები. უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე გლეხების მოსაწყობად განზრახულია შუამდგომლობა აღძრან — რათა დაკმაყოფილებული იქნენ ასეთები სამხეთ კავკასიაში საფონდო ადგილების მიცემით.

დეპეშები

სოფლკორის მოკვლის განზრახვა

ქუთაისი, 17 აგვისტო. სოფ. ტყიბულის სოფლის კორესპონდენტ ვასილ ახვლედიანს მოკვლის მიზნით თავს დაესხნენ. ამავე სოფლის მცხოვრებმა ლეონტი ბოჭორიშვილმა მოკვლის მიზნით შეეცადა ახვლედიანი გადაეგდო ხრამში. ამ საქმის შესახებ სწარმოებს გამოძიება.

ინგლისის მემაღაროეთა სასარგებლოდ

ახალქალაქი, 17 აგვისტო. ინგლისის გაფიცულ მემაღაროეთა სასარგებლოდ დახმარების შეგროვება ქალაქში წარმატებით ჩატარდა. დადგეს წარმოდგენა, მოაწყვეს სეირნობა და აგრეთვე გამართეს ყულაბებით ფულის შეგროვება.

ლაგოდეხის გზის შეკეთება

სიღნაღი, 17 აგვისტო. სწარმოებს მუშაობა ლაგოდეხის გზის შესაკეთებლად. მუშაობაში მონაწილეობას იღებს ადგილობრივი მოსახლეობა.

გლეხკომების კონფერენცია

ახალქალაქი, 17 აგვისტო. დასრულდა გლეხკომების მესამე სამაზრო კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 75 დელეგატი. კონფერენციამ სამაზ. გლეხკომის 1925 წლ. მუშაობის შესახებ მოისმინა მოხსენება და აგრეთვე სარევიზიო კომისიის მოხსენება. უკანასკნელის მუშაობა დამაკმაყოფილებლად იცნეს. აირჩიეს სამაზრო გლეხკომისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა და აგრეთვე საქართველოს გლეხკომის ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატები.

მომავალი წლის ბიუჯეტი

თელავი, 17 აგვისტო. სამაზრო აღმასკომი სასწრაფოდ იმუშავებს მომავალი სამეურნეო წლის ბიუჯეტს ყოველი დარგისათვის. სერიოზული ყურადღება მიექცევა ვენახების განახლების საქმეს, აგრონომიულ, ვეტერინარულ და საექიმო დახმარებებს. მთავარი შემოსავლის წყარო სამაზრო აღმასკომისათვის არის აღმასკომის ვენახები, რომელმაც გასულ წელს 16,000 ვედრო ღვინის მოსავალი მისცა.

კანაფის კულტურა

ბათომი, 17 აგვისტო. „მწვანე კონცხის" ბოტანიკურ ბაღში მოკრიფეს კანაფის საცდელი პლანტაციის მოსავალი. მოსავალი ძლიერ კარგია. განზრახულია მომავალში პლანტაციის გაფართოვება.

ჩაის აკრეფა

ბათომი, 17 აგვისტო. დასრულდა ჩაის მეორეთ მოკრეფა საბჭოთა მეურნეობის პლანტაციებში და ჩაქვის სახალხო მამულში. მეორე მოკრეფა 20% უფრო ნაყოფიერი იყო წვიმებისა და თავის დროზე გასხვლის გამო. მეორეჯერ მოიკრიფა 150,000 გირვანქა ჩაის ფოთოლი.

შაქრის გაგზავნა ოსმალეთში

ბათომი, 17 აგვისტო. უკანასკნელი თვე ნახევრის განმავლობაში შაქრის ტრესტის ბათომის განყოფილებამ გაგზავნა ოსმალეთში ლენინაკანის საბაჟოს საშუალებით 82 ვაგონი შაქარი ყარსისა და არტაანის ვილაიეტების საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

წერილები

დევი ცაგერში
(ლეჩხუმი)

ინგლისის მემაღაროების გაფიცვამ ლეჩხუმშიაც ჰპოვა გამოძახილი, ცაგერლების თანაგრძნობა მთლიანად გმირულად მებრძოლ მემაღაროების მხარეზე იყო. მაგრამ მარტო თანაგრძნობა რას კმარაო, გაიფიქრეს გულში ლეჩხუმლებმა და გადასწყვიტეს ამ თანაგრძნობის რაიმე ხელშესახები საბუთი მიეცათ საბჭოთა საქართველოს მშრომელებისათვის. ვითომ რა არის, ლეჩხუმი სხვაზე ნაკლები როდის იყო, რომ ასეთ სასახელო საქმეში უკან ჩამორჩესო. ამ კეთილი განზრახვით ცაგერში გაიმართა საღამო-ალეგრა ინგლისის გაფიცულ მუშების სასარგებლოთ. მაგრამ ამნაირი საღამო მეორეც ნუ დაღამებულა ცაგერში. მთელი ვახშამი და დროის ტარება ყველას დაამწარა კალე ასლანიკაშვილმა.

ვის ეგონა, რომ ლეჩხუმში ასეთი ზღაპრული ბაყ-ბაყ დევი ბინადრობდა. თუმცა არც გასაკვირია, თუ არ ლეჩხუმის უღრან ტყეებში და პიტალო კლდეებში, ქუთაისის მწვანე ბაზარში ხომ არ იბინადრებს ისეთი ბუმბერაზი სულდგმულები, როგორც ასლანიკაშვილია.

ხომ გაგიგონიათ ზღაპარში: მდევმა დაახველა—კაცი ძერზე მიეკრაო, მდევმა ქვას ხელი მოუჭირა და ყველივით წვენი გამოადინაო. ჩვენმა ასლანიკაშვილმაც დაუარა სუფრას და ცხრა ჭიქა ისე შეატკბარუნა, როგორც ნორჩი კიტრი. ეგონა, ალბად, ეს არის ჩემი დევ-გმირობით ცაგერს თვალებს დავაცეცებინებო. მაგრამ მევახშმეებიც ოხუნჯი ხალხი გამოდგა. ისე უჩვენეს თავი ჩვენს ახლად მოვლენილ დევ-გმირს, თითქოს აქ ბუზიც არ აფრენილაო. ყველამ ალხეინად განაგრძო თავის საქმე. დევი ამან უფრო გააბრაზა. ჭიქებიდან ბოთლებზე გადავიდა და დაუწყო მათ ხელებით მტვრევა, როგორც კვერცხის ნაჭუჭს.

მართალია, დევი დევი ყოფილა, მაგრამ სისხლი თურმე მასაც ადამიანივით ჰქონია. ის იყო ასლანიკაშვილი უკანასკნელ ბოთლს გადასწვდა დასაფშვნელად, რომ უცებ მის ხელიდან შადრევანივით იფეთქა სისხლმა. „არც ახლა მომაქცევთ ყურადღებასო", დაიღრიალა შუშისაგან დაჭრილ ბაყ-ბაყ მდევმა და სადაც თეთრბლუზიანი სტუმარი დაინახა ყველას სისხლიანი ხელის შეხოცვა დაიწყო.

შეიქნა ერთი აურ-ზაური. ხალხი ზეზე წამოცვინდა. ინგლისელი გაფიცულებიც დაავიწყდათ და ჭამის მადაც გადაუვარდათ. ასლანიკაშვილი კი თავისას არ იშლიდა. როცა ირგვლივ ყველა შემოეცალა, დაჰკრა ფეხი, გადავარდა ლობეზე და მიმავალ ხალხს დაუწყო ცემა. მილიცია შორიდან უყურებდა და ხელსაც არ ანძრევდა. ალბად დევის თუ ეშინოდა.

ვფიქრობთ, რომ ცაგერის მაზრის აღმასკომი არ შეუშინდება ამ ახლად მოვლენილ ლეჩხუმელ დევ-გმირს. სანამ აღმასკომი ზომებს მიიღებდეს, ცაგერის მოქალაქეებს ურჩევთ მოერიდონ ასლანიკაშვილს ჭიქა-სასმისი. მართალია, ლეჩხუმი ბარიტის მადანით მდიდარია, მაგრამ საეჭვოა, რომ ვისმე მოეპოვებოდეს კალე ასლანიკაშვილის სავარჯიშო შუშეულობა.

მაყურებელი.

გადაუდებელი საქმე
(ზომლეთის თემი, გურია)

ორი წელიწადია მას შემდეგ, რაც ზომლეთის თემში გზები არ შეკეთებულა. ჩვენი გზები კი ისედაც ხრიოკ ადგილებშია გაყვანილი და ორი წლის შეუკეთებლობის მიზეზით მთლად დაინგრნენ. დღეს ამ გზაზე ურმით გავლა ძალიან საფრთხილოა. უწინ ამ გზას წელიწადში ორ-სამჯერ შეაკეთებდით, მაგრამ მაინც მალე ფუჭდებოდა, რადგანაც მდებარეობა ძალიან ცუდი აქვს და ყოველ წვიმის მოსვლაზე ითხრებოდა. ასეთ მდგომარეობაში არის ჩვენი მეზობელი თემის, ამაღლების გზებიც.

ზომლეთის და ამაღლების თემებს აქვს საერთო გზა, რომელიც ამ თემებში უდიდეს გზად ითვლება. ამ გზით სარგებლობს ორივე თემის მცხოვრებლები როგორც ყანებში წასასვლელად, ისე სადგურ ნიგოითში სამგზავროთ. ამის მეტი გზა არა აქვს რკ.-გზ. სადგურში მისავალი არც ერთს და არც მეორეს. გარდა ამისა ამ გზით კიდევ რამდენიმე სხვა თემებიც სარგებლობენ, მაგალითად: ხიდის-თავის, ერკეთის, ბასილეთის და ჩოხატაურის თემიდან.

არის აგრეთვე მთლიანი კოოპერატივი ნიგოითში, რომლის განყოფილებაც ამაღლების და ზომლეთის თემშიაც არის გახსნილი. რა თქმა უნდა, კოოპერატივის საჭირო საქონელი ამ გზით უნდა იქნას გამოტანილი, რაც მეტად ძნელი და სახიფათოა. შემოდგომაზე და ზამთარში ამ გზაზე ურმით მოგზაურობას ნუ იფიქრებთ. მიუხედავათ იმისა, რომ გზის უვარგისობა დიდ ზიანს აყენებს ზომლეთ-ამაღლების მცხოვრებლებს და, რა თქმა უნდა, სხვა გარეშე თემებსაც, არც ზომლეთის აღმასკომს და სათემო საბჭოს და არც ამაღლებისას თავი არ შეუწუხებიათ ამ საქმის მოსაგვარებლად. ხალხი არ დაიზარებს ამ გზებზე მუშაობას. პირიქით, მოხარული იქნება ბევრი, რომ გზას გააკეთებინებდნენ. ხშირად გაიგონებთ ხალხში, რომ თუ წელს კიდევ არ იქნა ეს გზები შეკეთებული, აღარ გვეცხოვრებაო.

ჩვენში ეხლა ყანის მუშაობა მოთავებულია. გლეხები შედარებით მოცლილია. გზის გაკეთების დროც ეხლა არის. საჭიროა ინიციატორი და გზის გაკეთება შეიძლება 4—5 დღის განმავლობაში. ეს ინიციატივა უნდა იკისრონ ზომლეთ-ამაღლების აღმასკომებმა.

ხაფანგი.

ნუ დაგვტოვებთ უსკოლოდ
(საგარეჯო)

ამ ხუთი წლის წინეთ საგარეჯოს გაღმა უბანს ჰქონდა სკოლა და ჰყავდა თავისი ორი მასწავლებელი მართალია, ეს უბანი ახლოა საგარეჯოს ცენტრ. სკოლასთან, მაგრამ მათ შორის არის თვალთ-ხევი, რომელიც ადრე გაზაფხულზე ადიდდება ხოლმე და თან მოაქვს არე-მარე. ამის გამო გაღმა უბნის ბავშვები სცდებიან მეცადინეობას თითქმის სამი თვე.

გაღმა-უბანში, რომელიც საგარეჯოს განუყრელი ნაწილია, ირიცხება დაახლოებით 500 კომლამდე. უეჭველად საჭიროა მომავალ სამოსწავლო წლიდან მიექცეს ყურადღება გაღმაუბანს და გაეხსნას სკოლა. შესაფერი ბინა მოიპოვება.

ამასთანავე განათლების განყ. ეს სკოლა ადმინისტრატიულად უნდა დაუკავშიროს საგარეჯოს 9 წლედს.

გ. გარსიაშვილი

დავიწყებული უბანი
(ახალციხე)

ახალციხის ქალაქის მთელ ნაწილში (რაბათში) მცხოვრებლები დიდ გაჭირვებას განიცდიან წყლის უქონლობის გამო. ძალიან ღარიბი მოსახლეობაა და ამ ასეთ გაჭირვებას ერთვის სასმელი წყლის უქონლობაც.

ციხეში, ძველ ნაწილში, სადაც ამჟამად სამხედრო ნაწილები თითქმის არ არიან—წასულნი არიან სხვაგან საზაფხულოდ—წყალი ისე ბევრია, რომ უბრალოდ იქცევა და ამავე დროს კი მოქალაქეებს არა აქვთ წყალი და ერთი-ორი ვერსის მანძილზე, ახალ ნაწილიდან და მდინარიდან ეზიდებიან დიდის ვაი-ვაგლახით წყალს. ზამთარში ხომ სულ უბედურებაა?!

ქალაქის ახალ-ნაწილში ყოველ ფეხის გადადგმაზე წყალსადენია და წყალი მუდამ არის. ძველ ნაწილში კი ორი ონკანია და ისიც არ მოქმედობს. რატომაა, რა მიზეზია, რომ ახალ-ნაწილში მუდამ წყალია და ძველ-ნაწილში კი არა. იქნებ იმიტომ, რომ ახალ-ნაწილში შეძლებული მოქალაქენი ცხოვრობენ და ძველ-ნაწილში—კი ღარიბები?

საჭიროა ახლა მაინც გაიღვიძოს ადგილობრივმა კომუნალურმა განყოფილებამ საღათას ძილისაგან.

პ. გურგენიძე.

საქონლის ჭირი აქაც გაჩნდა

თავასის თემის მცხოვრებნი საფრთხეში არიან ჩავარდნილნი. თავი იჩინა საქონლის ჭირმა. მოუკვდა ხარი გლეხ ბესარიონ ნემსაძეს.

ამ ვაჟბატონს ამოუჭრია მკვდარი ხარისათვის ენა და გადაუგდია მტერობით მეზობლის ეზოში, რომლებსაც დიდი ხანია ერთმანეთშიდ შუღლი ჰქონდათ. ნემსაძე იქნა გადაგზავნილი რაი-მილიციაში, მაგრამ მეორე დღეს ისევ სახლში მოვიდა. არ ვიცით რა ზომები [illegible] მილიციის უფროსმა ასეთ საზიზღარ მოქმედების წინააღმდეგ.

საჭიროა თემაღმასკომის თავმჯდომარემ მიიღოს ზომები და დაკეტოს გზები, რათა მთლად არ მოედვას ჭირი და გლეხობა არ ჩავარდეს დიდ საფრთხეში.

ამავე თემში მძვინვარებს ტიფი. ლოგინადაა ჩავარდნილი ორი ახალგაზრდა კაცი. ერთი გადარჩა და ერთიც სიკვდილის პირას არის მიმდგარი. უკანასკნელის მამამ შემომჩივლა, სამჯერ მოვიყვანე ექიმი და 30 მანეთი დამიჯდა, წამლებში 10 მანეთი მივეცი, სულ 40 მ. დამეხარჯაო. ეხლა მინდა მოვიყვანო ექიმი, მაგრამ აღარაფერი მაქვს გასასყიდიო.

საკუთარი ექიმი არ გვყავს. გლეხები დიდ საფრთხეში არიან ჩავარდნილი.

თავასელი.

წერილებიდან

ს. აცანა (გურია)

დაგვინიშნეთ ექიმი. ექვსთვალიანი შენობა გვაქვს დათმობილი საექიმო პუნქტისათვის. ექიმი კი არა გვყავს. თემში მძვინვარებს ციებ-ცხელება. **საჭიროა** დროული დახმარება. მივმართეთ წითელ-ჯვარს, რომელიც შეგვპირდა ექიმის გამოგზავნას. გლეხები მზად არიან ყველანი წითელი-ჯვრის წევრებად გახდნენ, ოღონდ კი ექიმი დაინიშნოს დროზე აცანაში.

მ. ქ.

ს. ძიგვი (თბილ. მ.)

ვინ მისცა იარაღი? ლექსო იმხანაშვილს გადმოუკიდებია წელზე კოლტის სისტემის რევოლვერი და ყველგან თან დაათრევს. რომ იარაღის მოხმარა იცოდეს კიდევ არაფერი, მაგრამ საქმე ისაა, რომ ხშირად კიდეც ბაქი-ბუქობს: „ესაო და, მე რევოლვერი მაქვს, გზაზედ არავინ გადამიდგეთო". ამ ნიადაგზე მასთან ხშირად მოსდით აქაურებს შეტაკება.

ზემო ნიჩბელი.

ზუგდიდი

საჭიროა პოპულიარული ლიტერატურა. პოლიტგანათლების ქოხ-სამკითხველო ძლიერ ღარიბია ჟურნალ-გაზეთებით. აქ მკითხველი ვერ შეხვდება ვერც ერთ პოპულიარულ გამოცემას. საჭიროა გამრავლებულ იქნას ლიტერატურა ქოხ-სამკითხველოში.

ოლოს.

ცაიში
(ზუგდ. მაზრა)

ადგილობრივი ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების გამგე იმდენად გაიტაცა „საზოგადოებისადმი" სამსახურმა, რომ მარტოკა ასრულებს ზედი-ზედ სამ მოვალეობას. ალბად მარტო გამგის თანამდებობა არ [illegible], რადგან ჯამაგირი 70 მან. მისთვის თურმე მცირეა. მაგრამ რომ დაუმატოდ ზედ დარაჯის 12 მ. და ცალკე შიკრიკის 39 მან., მაშინ არა უშავს რა. ქანქარიც კარგად დაგროვდება. თუ რამდენად იგებს ამით საქმეს, ეს მეორე საკითხია.

თაში—ვერგ.

ქორეთის თემი (შორაპ. მ.)

მოკრივე მდივანი. ამას წინად თემაღმასკომის ღვინით გრძნობა დაკარგული მდივანი გრიშა ეზიაშვილი მივარდა იმავე აღმასკომის დარაჯს, გაიგდო ფეხ-ქვეშ და დაუზოგავად ურტყა. მიზეზი თითონ ეზიაშვილმაც არ იცოდა რა იყო. მას მხოლოდ თავისი უფროსობის გამოჩენა უხდოდა ხალხის წინაშე: „რა არის, მდივანი ვარ და რაც მინდა, იმას ვიზამო". ასეთი მდივანი თქვენს მტერს აშოროს განგებამ.

მოწამე.

რუისის თემი (გორის მაზრა)

გულქვა დედინაცვალი. ს. ბერბუკში სცხოვრობს მარიამ სვიმონიშვილი, რომელიც უდიერათ ეპყრობა 12 წლის გერს, გიორგის. კვირა ისე არ გაივლის, რომ ბავშვი ცემისაგან სიკვდილის პირას არ მიაყენოს. ა.-წ. 26 ივლისს, ბავშვი კიდევ შემოარტყა. გულწასულ ბავშვს ხალხი რამდენიმე საათით წყლით აბრუნებდა. შემდეგ შეშინებული ბავშვი სადღაც მიიმალა. ვინ ასწავლის ჭკუას ამ თავგასულ დედინაცვალს?

ხები.

ხელფასის მოწესრიგება

საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა პროექტი მახლობელ საოპერაციო წელში იმ მუშა-მოსამსახურეების შრომის ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგებისა, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფოებრივ ადგილობრივ და სამეურნეო ანგარიშზე გადასულ ორგანოთა ბიუჯეტზე.

ამ პროექტით შრომის ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება უნდა გავრცელდეს ყველა იმ დაწესებულებებზე, სადაც ჯერ კიდევ არაა განხორციელებული. მტკიცე შტატები უნდა დაწესდეს სამეურნეო ანგარიშზე გადასულ სახელმწიფო ორგანოზედაც.

კოოპერატიულ დაწესებულებებში შრომის ხელფასის მოწესრიგება კოლექტიურ ხელშეკრულებით უნდა ხდებოდეს, მაგრამ შრომის ხელფასი არა სატარიფო განაკვეთების მიხედვით უნდა დაწესდეს, არამედ მტკიცე შტატების მიხედვით.

ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ მუშა-მოსამსახურეთა შრომის ხელფასი სახელმწიფო ბიუჯეტის შრომის ხელფასისაგან 15 პროცენტზე მეტით არ უნდა განსხვავდებოდეს.

ამ პროექტის ცხოვრებაში გასატარებლად ფინანსთა სახალხო კომისარიატის აზრით საჭიროა ადგილობრივ ორგანოს ადმინისტრატიულ აპარატის 5—10 პროცენტით შემცირება. პროექტით შეუძლებელია გადიდდეს 1926-27 წლის შრომის ხელფასის ფონდში. ზოგიერთ ჩამორჩენილ კატეგორიების აწევისათვის პროექტით ნაგულისხმევია შტატის შემცირებით მარაგის შექმნა.

შრომის ხელფასის სახელმწიფოებრივ მოწესრიგების პირობებში პროფკავშირებთან დადებული კოლექტიური ხელშეკრულება უნდა ეხებოდეს ადმინისტრაციასა და მომუშავეებს შორის მხოლოდ ურთიერთ დამოკიდებულების საკითხებს.

საკავშირო პროფკავშირთა საბჭოს ეს პროექტი მიაჩნია დაუსაბუთებლად და ამ პროექტით შრომის ხელფასის მოწესრიგების გატარება ყოვლად დაუშვებლად. შრომის ხელფასის მოწესრიგების გატარებისათვის საჭიროა დამატებითი თანხები, რაც დღეს არ შეიძლება გადაიდვას. ჩამორჩენილ კატეგორიების გათანაბრებაც შეუძლებელია.

საკავშირო პროფკავშირთა საბჭო პროექტს ყველა მუხლებში ეწინააღმდეგება.

ბოროტმოქმედება

საგზაო სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგად. მაღაზიებში

ათი ძმა-ბიძისაგან შემდგარმა კომპანიამ მიითვისა 16 ათას მანეთზე მეტი.— საგზაო - სატრანსპორტო საგანგებო კომისიამ გამფლანგველები დააპატიმრა

საგზაო - სატრანსპორტო საგანგებო კომისიამ აღმოაჩინა მთელი რიგი სისტემატიურ გაფლანგვებისა საგზაო - სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოების ხაშურის, ბორჯომის და წაღვერის მაღაზიებში.

მსხვილ და წვრილ თანხების გაფლანგვა დიდხანს რჩებოდა შეუმჩნეველი, რადგან დარაზმული „შაიკა" იცავდა ბუღალტერიის და ანგარიშების წარმოების ყველა წესებს.

დაპატიმრებულთა შორის არიან საზოგადოების უფროსი ბუღალტერი, **ივანე ფეოქტისოვი,** ხაშურის მაღ. მოანგარიშე **გ. ლომსაძე,** მაღ. № 4 გამგე **ა. ვაშაკიძე,** წაღვერის მაღაზიის მოანგარიშე **დ. ბეჟუაშვილი,** წაღვერის მაღაზიის და წითელი სასადილოს № 2 გამგე **ე. ტალაბაძე,** ა.-კ. სატრანსპ. სამომხმარებ. საზ.-ის ბუღალტერიის მოანგარიშე **ი. ლოლაძე,** საქონლის შემძენი აგენტი **ა. ბარკალაია,** ღვინის საწყობის გამგე —**მილორავა,** ხაშურის მაღაზიის გამგე — **კამკამიძე** და მაღაზია № 4 ნოქარი — **ფანცულაია.**

მათ შორის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს ბუღალტერი ფეოქტისოვი, რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა მაღაზიების მოანგარიშეებთან. ის ღებულობდა მათგან და ატარებდა საანგარიშო წიგნებში ფიქტიურ ანგარიშებს და სხვა დოკუმენტებს. გარდა ამისა, ის ხშირად დაიარებოდა მაღაზიების გამგეებთან და ართმევდა მათ ფულებს 20—50 მანეთამდე და სტოვებდა „ოფიციალურ" ხელწერილს. არ ერიდებოდა საქონლის უფასოთ წაღებასაც. უახლოეს მის მეგობარს წარმოადგენდა წაღვერის მაღაზიის მოანგარიშე ბეჟუაშვილი, რომელიც ამჟამად გაქცეულია.

როდესაც ვაშაკიძემ იგრძნო უბედურების მოახლოვება და განუცხადა ფეოქტისოვს, რომ მას აკლია 1200 მანეთი, უკანასკნელმა წინადადება მისცა წაეღო კიდევ 300 მანეთი; ამ ფულებიდან მას დაეტოვა 80 მანეთი, ხოლო დანარჩენი გაეყო ვაშაკიძეს და მის ნოქარს ფანცულაიას.

დანარჩენი მოანგარიშეები და გამგეები, რა თქმა უნდა, მას არ ჩამოუვარდებოდენ და დამშვიდებულად ფლანგავდენ კოოპერატიულ ფულებს.

ბოლოს გამოირკვა, რომ ხაშურის მაღაზიას აკლდა 5.609 მან. 56 კაპ. წაღვერის მაღაზიას—3.736 მანეთი, ბორჯომის მაღაზიაში აღმოჩნდა საეჭვო დოკუმენტები 513 მანეთის რაოდენობით. დამტკიცდა აგრეთვე, რომ 1924 წ. თბილისიდან გაგზავნილი 2.119 მ. 80 კაპ. შაქარი, რომლის ერთი ნაწილი ბორჯომში იგზავნებოდა, მთლიანად ხაშურში იქნა გადმოტვირთული, იქვე გასაღდა, ხოლო ანგარიშში არ ყოფილა გატარებული.

ბარკალაიამ, რომელიც ამზადებდა ღორის ხორცს ახალ-სენაკში, ჩაიჯიბა 1.215 მანეთი და სხვ. სულ მითვისებულია 16.668 მ. 08 კაპ.

ფეოქტისოვს, ლომსაძეს და ვაშაკიძეს მიუსაჯეს 10-10 წლის ციხე თვითეულს, ტალაბაძეს —5 წლის ციხე, ბარკალაიას — 3 წლის, ლოლაძეს — 3 წლის, მილორავას — 2 წლის, ფანცულაიას 2 წლის. ფანცულაიას ჩაეთვალა წინასწარი დაპატიმრება, კამკამიძეს ჩამოერთვა 800 მანეთის ქონება.

მზადება 1926-27 სასწავლო წლისთვის

ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენა

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატში შესდგა თათბირი 1926—27 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენასთან დაკავშირებულ საკითხების განსახილველად. თათბირს დაესწრენ აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკათა და ყველა მაზრების წარმომადგენლები.

თათბირი გაეცნო ადგილობრივ ბიუჯეტის შედგენის პრინციპებს, ადგილობრივ ფინანსთა შესახებ გამოცემულ დებულებას და საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებას ადგილობრივ ბიუჯეტის შედგენის ძირითად მომენტების შესახებ. აგრეთვე მოსმენილი იქნა მოხსენება 1926—27 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ და შესახებ იმისა თუ რა და რა დაწესებულებები მოიხსნება 1926—27 წელში ადგილობრივ ბიუჯეტიდან.

ბიუჯეტის შესადგენად საჭიროა ყოველგვარი მასალა დაურიგდა თათბირის ყველა მონაწილეს, რომლებიც უკვე დაბრუნდენ ადგილებზე. მათ დასახმარებლად საქართველოს ფინსახკომმა მიავლინა 5 ინსტრუქტორი. ადგილობრივი ბიუჯეტის ცენტრში წარმოდგენის უკანასკნელ ვადათ დანიშნულია 10 სექტემბერი.

ამ დღეებში ფინსახკომი აცნობებს ადგილებს, თუ რა დახმარება იქნება გაღებული სახელმწიფოს მიერ 1926—27 წელში ადგილობრივ საჭიროების დასაფარავად და პირველ და მეორე საფეხურის სკოლების მასწავლებლობის შესანახად.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

უთავბოლობის შედეგი
(თბილისი, რკ.-გზ. სადგური)

სადგ. თბილისის მოძრაობის დარგში კონდუქტორთა ცხრილის შედგენის საქმე ვერ იქნა და ვერ მოწესრიგდა. ეს საკითხი ჯერ კიდევ 1923 წლიდან მწვავედ იდგა ჩვენს წინაშე და დღესაც მოუგვარებელია.

საქმე შემდეგშია:

ჩვენ ყოველ თვეურად გვაქვს ნორმა, თუ რამდენი საათი უნდა იმუშაოს ამა თუ იმ მოსამსახურემ ერთი თვის განმავლობაში. რამდენი სამუშაო დღე გვაქვს, იმდენი რვა საათი უნდა ვიმუშაოთ. ეს უდაო ჭეშმარიტებაა. მაგრამ ეს ცხოვრებაში ასე არ ტარდება. სად. თბილისის მოძრაობის დარგის კონდუქტორთა გუნდიდან ამა წლის იანვარში **702 კონდუქტორმა იმუშავა ნორმაზე მეტი 26.844 საათი,** ამავე დროს იანვრის თვეში **38 კონდუქტორმა** არ გააკეთა თვისი კუთვნილი ნორმით 1.792 საათი, ე. ი. სულ 28135 საათის ზარალი აქვს რკინისგზას ერთი თვის განმავლობაში და ეს მხოლოდ მოძრაობის დარგში.

ეხლა გადავიდეთ შემდეგ თვეებზე: **თებერვლის თვეში 616 კაცმა იმუშავა ნორმაზე მეტი 14.159 საათი,** ამავე დროს არ აქვს ნორმა შესრულებული 189 კაცს 3.979 საათით; **მარტის თვეში 486 კაცმა იმუშავა ნორმაზე მეტი 8.975 საათი,** ამავე დროს არ შეუსრულებია **ნორმა 246 კაცს 4.730 საათით; აპრილის თვეში 60 კაცმა იმუშავა ნორმაზე მეტი 600 საათით,** ამავე დროს არ აქვს ნორმა შესრულებული **89 კაცს 752 საათით; მაისის თვეში** 256 კაცმა შეასრულა ნორმაზე მეტი **2.600 საათით,** ამავე დროს არ აქვს ნორმა შესრულებული **487 კაცს 10.370 საათით.**

ამ რიგად ხუთი თვის განმავლობაში სად. თბილისის მოძრაობის დარგში კონდუქტორთა გუნდს **(2.129 კაცს)** უმუშავნია ნორმაზე მეტი **47.678 საათი;** ამავე დროს კი ნორმა არ აქვს შესრულებული **1.049 კაცს 21.438 საათით.**

ეს ხომ ჩვენი ტრანსპორტისათვის ორმავი ზარალია **(70.114 საათ.),** რომლის ჯამი უდრის სულ 70.114 20 14.022 მანეთს და 80 კაპეიკს. რასაკვირველია, აქ მუშა-მოსამსახურე იმდენად არ არის დამნაშავე, რამდენადაც ჩვენი ადმინისტრატორები. რომ ჩვენ ადმინისტრატორებს სამუშაო ცხრილი დროზე და სწორად შეედგინათ და ამ ცხრილის მიხედვით ყველა კონდუქტორს თავისი ნორმა შეესრულებია, მაშინ ჩვენ ამდენ ზარალს არ მივიღებდით.

ეს რომ სინამდვილეა, ამას ამტკიცებს თვით ცხრილის ციფრები ხუთი თვის განმავლობაში, სადაც აღნიშნულია, რომ **ნორმა არ შეუსრულებია 1.049 კაცს—21.438 საათით.** ამავე დროს ნორმაზე მეტი იმუშავა 2.129 კაცმა 47.678 საათით. ამ 47.678 საათებს, რომ გამოაკლოთ 21.438 საათი, მაშინ ზარალი გვექნებოდა მხოლოდ 26.290 საათისა.

აქ აღსანიშნავია მეორე გარემოებაც. 1.049 კაცმა ნორმაზე ნაკლები იმუშავა 21.438 საათით. ძირითადი ჯამაგირი კი სრულად მიიღო.

აღსანიშნავია ისიც, რომ თანახმად არსებული წესებისა მუშა-მოსამსახურე ნორმაზე მეტს რამდენ საათსაც იმუშავებს, იმდენ ორმაგ ჯილდოს ღებულობს და ესეც კი ზარალს ემატება.

აი რამდენი ზარალი გვაქვს მოძრაობის დარგში ზოგიერთი ადმინისტრატორის უგემო „საქმიანობის" წყალობით.

შეიძლება ასეთი ხდება ხაშურში, ყვირილაში, სამტრედიაში, განჯაში და სხვაგან, რასაც საჭიროა დროზე მიექცეს სათანადო ყურადღება და მიღებული იქნეს სათანადო ზომები. უამისოდ ჩვენი ტრანსპორტის აღდგენა შეუძლებელია.

ი. არუსპირელი.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

კოოპერატივის ნოქარის მუშაობის შესახებ

კოოპერატიულ და სახელმწიფო ვაჭრობის წარმატებით განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ორგანოთა სავაჭრო აპარატის ძირითად ქსელის მოწესრიგებას. მყიდველთან დამოკიდებულების საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს.

ჩვენ ვიცით შემთხვევები, როცა კოოპერატივის ან ტრესტის სავაჭრო ნოქარი არ ეპყრობა სათანადო თავაზიანობით მყიდველს, არ აძლევს საშუალებას მას ამოირჩიოს საქონელი და სხვა. ერთი სიტყვით, კოოპერატიულ და სახელმწიფოს სავაჭრო ნოქარი ავადდება „ჩინოვნიკური", ბიუროკრატიული სენით.

მართალია, უკანასკნელ ხანებში ასეთ მოვლენას თანდათან ელება ბოლო, მაგრამ „ჩინოვნიკი" ნოქრები ეხლაც საკმაოდ მოიძებნებიან კოოპერატივებისა და ტრესტების სავაჭროთა დახლებთან. ამის შესახებ გაზ. „პრავდა"-ში ვინმე „ნაბლიუდატელი" შემდეგს მოგვითხრობს:

„შეხვალთ სახელმწიფო ან კოოპერატიულ მაღაზიაში და პირველყოვლისა თქვენ შეგხვდებათ გამყიდველის მედიდური სახე, რომლისთვისაც თქვენ ხართ არა სასურველი სტუმარი. არამედ საშინელი მტერი, რომელმაც დაარღვია მისი (გამყიდველის) მყუდროება. ეს ახალი ფორმაციის ვაჭარი ფეხსაც არ გადადგამს და ხელსაც არ გაანძრევს, რომ გიჩვენოს თქვენ ორი-სამი ნაჭერი ფართლეული და საშუალება მოგცეს საჭირო ნაჭერის არჩევისა".

„ნაბლიუდატელის" ამ განცხადებას არ იზიარებს მოსკოვის „ნაშა გაზეტა", რომელსაც ასეთი ბრალდება გადაჭარბებულად მიაჩნია. ის სწერს:

„კითხვის ასეთი ცალმხრივი დაყენება ჩვენ სრულიად უმართებულოდ მიგვაჩნია. ჩვენ არ უარვყოფთ, რომ სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭროთა ნოქრებს შორის არიან კიდევ ისეთები, რომელნიც არა საკმაო შეგნებით ეკიდებიან თავიანთ მოვალეობის შესრულებას. მაგრამ ნოქრის ასეთი ტიპი თანდათან კლებულობს. და არ შეიძლება დახლის ყველა მუშაკებს წაუყენო მყიდველისადმი მედიდურობის და მტრული განწყობილების ბრალდება, როგორც ამას ამხ. „ნაბლიუდატელი" სჩადის".

ცხადია, „ნაბლიუდატელის" აზრი გადაჭარბებული და ცალმხრივია, მაგრამ ერთი რამ აშკარაა და ამას არც „ნაშა გაზეტა" უარყოფს, რომ არასასურველ მოპყრობას მყიდველებისადმი სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭროებში აქა-იქ დღესაც კიდევ აქვს ადგილი.

არავინ ითხოვს ნოქრისაგან თავის დამცირებას და მყიდველისადმი პირმოთნეობას. საჭიროა მხოლოდ ცოცხალი და ხალისიანი მოპყრობა, რომ მყიდველმა აარჩიოს ის, რაც მას მოსწონს და თავი შეურაცყოფილად არ იგრძნოს.

საჭიროა საქმის მცოდნე ხალხი*)
(სახელმწიფო უნივერსიტეტის გარშემო)

მინდა მივაქციო ყურადღება ერთს გარემოებას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტის ცხოვრებიდან.

სოციალ ეკონომიური ფა-ტეტი ორი დარგისაგან ესდგება:

1) ეკონომიური და 2) სოციალური (იურიდიული). თავდაპირველათ განსხვავება ამ ორ დარგს შორის თითქოს არც იყო:

მიუხედავათ ამისა უკანასკნელათ, ფაკულტეტის საერთო განვითარებასთან დაკავშირებით თანდათან ხდებოდა მეთოდიური დაშორება უსისტემოდ არეულ ორი დარგის. დასპეციალება, საკმაოთ საგრძნობი იყო გასულ აკადემიურ წლის სესიაში. თითქმის გარდა პირველი კურსის რამოდენიმე პირობით საგნისა, ფაკტის ორთავე დარგზე აკადემიური მუშაობა სრულიად დამოუკიდებლად მიმდინარეობდა. სრული დაშორება ამ ორი დარგის დღეს უკვე ფაქტია და ამ წერილით მსურს საკითხი გარკვევით დაისვას: სოციალ-ეკონომიურ ფაკტიდან სრულიად გამოყოფილი უნდა იქნას სოციალური (იურიდიული (?) დარგი, როგორც ცალკე ფაკულტეტი. მსგავსი გარემოება ამ ბოლო ხანს განშორდა საენათმეცნიერო დარგისათვის, მისი საენათმეცნიერო ფაკულტეტად გადახალისების სახით.

*)კამათის წესით. რედ.

საბუთები:

ყველასათვის შესამჩნევია, რომ საერთოდ სპეციალისტებს ჰუმანიტარულ დარგში ჩვენი საზოგადოებრივი აზრი ნაკლებად აფასებს, თითქოს სამისო სპეციალობა ან და მუშაობა ამ დარგში ყველასათვის ხელმისაწვდომი იყოს. ამდენათ საზოგადოებაში სპეციალისტი—სინონიმია—ინჟინერის, აგრონომის, ექიმის, ქიმიკოსის და სხვა... ეს გარემოება არავითარ შემთხვევაში არ არის დასაშვები. უნდა ვეცადოთ რომ ამ დარგის სპეციალისტიც იყოს სრული „მოქალაქეობრივი" უფლებებით მოსილი. თვითონ სასწავლო მეთოდი და მასალა იმგვარათ უნდა იქნას შერჩეული, რომ ჰუმანიტარულ, ამ „ნეგატიურ" ფაკულტეტებიდან ნამდვილი სპეციალისტები იზრდებოდენ და არა ენციკლოპედიის ხლხი. ცხოვრების ეხლანდელი პირობები ვერ იგუებს ასეთი ცოდნის ხალხს.

მისთვის საქმის და უაღრესად საქმის ხალხია საჭირო.

იყო რამოდენიმე შემთხვევა: ხალხი ათავებდა სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტს, სამსახურს კი შოულობდა მით, რომ შემდეგ საბუღალტერო კურსებს ასრულებდა. ეს იმას გავს კაცმა საინჟინერო ფაკულტეტი გაათავოს, შემდეგ დაბალ სატეხნიკო კურსებზე შეხვიდე ან და ექიმმა საფერშლო კურსებზე რომ ინებოს შესვლა.

ეს ფაქტი მეტად დამახასიათებელია სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტმაც ნამდვილი კვალიფიკაციის სპეციალისტი უნდა მოგვცეს. მეტი დაახლოვება სინამდვილესთან.

დღეს-დღეობით იურიდიულ დარგის ხსენებაზე მოქალაქის ცნობიერებაში, რაღაც ასოციაციით მეტად ცუდი სურათი იშლება. იურისტი, ვექილი მათთვის სინონიმებია. ახასიათებენ ვექილს, როგორც კაცს, რომელიც ძილშიაც კი სოსრუყ-ორპირობაზე, სიყალბეზე ფიქრობს; გარდა ამისა ხშირად გაიგონებთ, ვითომ იურისტობა ყოველგვარ პრაქტიკულ მიზანს მოკლებულია. ერთიცა და მეორეც მეტად ზერელე შეხედულებაა.

ახალ კანონმდებლობას თავისი შემსწავლელი და მომმარჯვებელი მეცნიერები უნდა ყავდეს. ეს სრულიად საკმარისია, იმისათვის, რომ არსებობდეს სამისოთ იურიდიული ფაკ-ტები და იზრდებოდენ იურისტები. ამ პრაქტიკულ ამოცანის სასურველად გადაჭრისათვის მიზანშეწონილად მიმაჩნია სოც.-ეკონომ. ფაკულტეტიდან გამოიყოს ცალკე ფაკულტეტად იურიდიული დარგი, რომ თავის დანიშნულებას დამოუკიდებლობის მეტი გრძნობით მიაღწიოს.

თეორეტიულად მისაღებია ერთ ფაკულტეტში ამ ორი დარგის მოთავსება, რამდენათაც იურიდიული და ეკონომიურ-მეცნიერებანი ახლო მონათესავენი არიან და შეადგენენ მთელ სფეროს სოციალური მეცნიერებათა. ამ მსგავსების გარდა იურიდიულ მეცნიერებათ აქვთ თავისი სპეციფიური ნიშნები, რომელიც მათ იშვიათ სიცხადით ანცალკევებს სხვა მონათესავე სამეცნიერო დისციპლინებიდან: ეს გახლავთ ის რასაც ტეხნიკურად „სამართლის ტეხნიკას", „იურიდიულ დოღმატიკას" უწოდებენ. იურისპრუდენცია უაღრესად პრაქტიკული მეცნიერებაა. ესეც არ იყოს, ფაქტიურად ეს ორი დარგი თითქმის დაშორებულია ურთიერთს, კავშირი მხოლოდ ფორმალურია. კავშირი დიდია პოლიტეხნიკურ და ფიზიკო-მათემატიკურ ფაკულტეტებს შორის, სამკურნალო და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებს შორის. მაგრამ როგორც ფაკულტეტები ისინი ცალ-ცალკე არსებობენ.

სტუდენტი.

---

*) კამათის წესით. რედ.

სახალხო ჯანმრთელობა

ბრძოლა ჭლექის წინააღმდეგ

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სანიტარულ - ეპიდემიურ განყოფილების ჭლექის საწინააღმდეგო ბრძოლის სექციამ დაიწყო მუშაობა ქვედა სანიტარულ უჯრედების ე. წ. ჭლექის საწინააღმდეგო უჯრედების მოსაწყობად. ასეთი უჯრედები ეწყობა, როგორც ყველა წარმოებებსა და დაწესებულებებში, ისე საქართველოს დანარჩენ კუთხეებში. **უჯრედების** მოწყობას წინ უძღვის ლექცია - მოხსენებები, რომლის საშუალებითაც მუშა - მოსამსახურეები ეცნობიან ჭლექის საწინააღმდეგო ბრძოლის მეთოდებს და დისპანსერების მნიშვნელობას. ამასთან ერთად სწარმოებს ჭლექის საწინააღმდეგო უჯრედების არჩევა განსაკუთრებით ისეთი პირებისაგან, რომელნიც ყველაზე აქტიური და დაინტერესებულნი არიან ამ საკითხით.

მუშათა ორგანიზაციებს და დისპანსერებს შორის მჭიდრო კავშირის დასაწესებლად ყოველ წარმოებაზე მიმაგრებული იქნება სოციალური დახმარების და, გარდა ამისა წარმოების დისპანსერების საქმიანობის შესახებ მოხსენებებს გააკეთებენ დისპანსერში მომუშავე ექიმები.

ამჟამად თბილისში უკვე მიმდინარეობს ჭლექის საწინააღმდეგო უჯრედების მოსაწყობი წინასწარი კამპანია, რომელიც უკვე ჩატარდა მელითონეთა, ფოსტის მუშაკთა შორის და სხვა წარმოებებში.

რკინის გზებზე

ტვირთების გადაზიდვა 1926—27 წელში

ა.-კ. რკინისგზების სამმართველოსთან არსებულმა გადაზიდვის მომწესრიგებელმა კომიტეტმა შეიმუშავა 1926—27 წლისათვის ტვირთების გადაზიდვის გეგმა. ამ გეგმის მიხედვით ა.-კ. რკინისგზებზე გადაზიდული უნდა იქნეს 5.000.000 ფუთი პურეული, 6.500.000 ფ. ქვანახშირი, 80.000.000 ფ. ნავთის პროდუქტები, 12.000.000 ფ. შეშა, 8.000.000 ფ. ხე-ტყის მასალა, 39.100.000 ფ. მარგანეცი, 6.700.000 ფ. ბამბა და ბამბის ნაწარმოები, 14.000.000 ფ. ისეთი საქონელი, რომელიც ჩქარა ფუჭდება და 78.700.000 ფ. დანარჩენი ტვირთები.

გარდა ამისა 1926—27 წელს ს. ს. რ. კ. სხვა უბნების რკინისგზებიდან მიღებული იქნება—82.000.000 ფ. ტვირთი. სულ ა.-კ. რკინისგზებზე 1926—27 წლის განმავლობაში უნდა გაიაროს 332.000.000 ფ. ტვირთმა.

აქედან, წლის მეოთხედების მიხედვით პირველ მეოთხედში გეგმით გადაზიდული უნდა იქნეს 86.700.000 ფ. ტვირთი, მეორე მეოთხედში—90.500.000 ფ. ტვირთი, მესამეში—75.800.000 ფ. ტვირთი და მეოთხე მეოთხედში [illegible].000.000 ფ. ტვირთი.

საშუალოთ დღიურათ გადაზიდული იქნება 1.[illegible] ვაგონი ტვირთი. მათ შორის—15 ვაგონი პურეული, 20 ვაგონი ქვა-ნახშირი, 300 ვაგონი ნავთის პროდუქტები, 42 ვაგონი შეშა, 22 ვაგონი ხე-ტყის მასალა, 135 ვაგონი მარგანეცი, 47 ვაგონი ბამბა და ბამბის პროდუქცია, 294 ვაგონი დანარჩენი ტვირთი და 325 ვაგონი სხვა რკინისგზებიდან გადმოტანილი ტვირთი.

ახალი დანიშვნები

გზათა მიმოსვლის კომისარიატის ამიერ-კავკ. რკინის-გზებზე რწმუნებულის მოადგილის ამხ. ჩხეიძის შვებულებაში წასვლის გამო მისი მოვალეობის შესრულება დაეკისრა გამგეობის წევრებს ამხ. კალანდიას და ლეკაშვილს.

გზების წალეკვა

16 აგვისტოს დილით ნიაღვარმა წალეკა ნატანებ-სუფსის გზა. ამის გამო მატარებელი № 5 ნატანებში შეჩერდა 2 ს. და 12 წუთით.

მატარებელთა დაჯახების აცდენა

16 აგვისტოს სადგ. კოპიტნართან მატარებელი № 6 მიღებულ იქნა დაკავებულ ხაზზე და შეჩერებულ იქნა 16 საჟენის მანძილზე მატარებლიდან № 195. საქმის გამოძიება სწარმოებს.

ვაგონის გადავარდნა ლიანდაგიდან

16 აგვისტოს თბილისის სადგურში მანევრების დროს ლიანდაგიდან გადავარდა ერთი დატვირთული და ერთი ცარიელი ვაგონი. ვაგონები ცოტათი დაზიანდნენ. ადამიანთაგან არავინ დაშავებულა.

ორთქლმავლის გაფუჭება

16 აგვისტოს ორთქლმავალი № 2.180, რომელიც ავჭალიდან წამოვიდა გზაში შეჩერდა და იდგა 2 ს. 40 წ. განმავლობაში. ამის გამო მატარებელმა № 4 დაიგვიანა 2 ს. და 12 წუთით.

საქართველოს [illegible] საგეგმო კომისიის საალმშენებლო სექცია ამჟამად იმუშავებს რკინის-გზათა აღმშენებლობის ხუთ წლიან პერსპექტიულ გეგმას. ამ გეგმაში სექციას განზრახული აქვს შეიტანოს მთელი რიგი ახალი რკინის-გზის ხაზების აშენება ხუთი წლის განმავლობაში.

სახელდობრ გეგმაში შევა გორი—ცხინვალის რკინის-გზა (37 კილომეტრი); ოზურგეთი—ჩოხატაურის რკინის-გზის გაყვანა. (30 კილომეტრი), ქუთაისი—ხონის რკინის-გზის გაყვანა (24 კილომეტრი) და ზუგდიდი—ჯვარის რკინის-გზის გაყვანა (26 კილომეტრი). გარდა ამისა გეგმით დამთავრებული უნდა იქნეს შავი ზღვის რკინის-გზის მთელი ხაზის აშენება.

გეგმისათვის საჭირო წინასწარი მასალები უკვე დაგროვებულია. სექციაში ამჟამად სწარმოებს ამ მასალათა დამუშავება, რის შემდეგ გეგმა წარედგინება დასამტკიცებლად საქართველოს უმაღლეს ორგანოებს.

მუშათა ცხოვრება

დღეს, საღამოს ექვს საათზე, უზენაეს სასამართლოს შენობაში
(სასამართლოს ქ.)

შესდგება თბილისის ყველა გაზეთების მუშკორთა ბიუროების გაერთიანებული თათბირი

პროკურატურის და იუსტიციის სახკომატის წარმომადგენლებთან

ბიუროების წევრებს სთხოვენ დაუგვიანებლად გამოცხადდნენ თათბირზე

ერთი საღამო ორჯონიკიძის სახელობის მუშათა კლუბში
(შთაბეჭდილებანი)

საღამოა.

მზე უკვე ჩაესვენა დასავლეთით. სიცხეა.

მთელი თბილისი გარედაა. მუშათა მასა დასეირნობს და ისვენებს ბაღებში.

— გაჭედილია კლებანოვის გამზირი ხალხით. ზოგი კინოებში მიეჩქარება და ზოგიც მ.-ც. კლუბებში.

ყველგან საღამო-სეირნობაა.

არც ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახ. მუშათა კლუბს დაჰკარგვია ხალისი კულტურულ მუშაობის გაცხოველებისთვის.

რასა ვხედავთ აქა?

საუკეთესო საგრილობლებს, ბაღს, ყვავილებს და ისეთ აღმზრდელობით გასართობებს, რომელიც შეეფერება მხოლოდ მუშას დღევანდელ პირობებში.

ქალი, კაცი, დიდი პატარა აქ ზღვავდება. განა შეიძლება სხვანაირად იყოს, როდესაც უმნიშვნელო თანხით მას საშუალება ეძლევა დაესწროს აქ წარმოდგენას, მოისმინოს სიმფონია, ლექცია, ნახოს კინო და სხვა...

ყველა ეს კი გამომდინარეობს კლუბის და თვით გამგის ამხ. გრ. ალავიძის მეთვალყურეობის და უბნის კავშირის ენერგიული მუშაობიდან. აქ ყველაფერი თავის ადგილას არის. ყველაფერს მუშური ელფერი აქვს. ყველგან სუფევს წესრიგი და საზოგადოებრივი შეგნება.

ვეკითხები ერთ მუშას:

— თქვენ სადა სცხოვრობთ? იგი ოდესღაც სადღაც სხვაგან მენახა.

— მთაწმინდაზე, სტამბის მუშა ვარ. იყო პასუხი.

— მერე და რამ მოგიყვანა აქ, ამ სიშორეზე?

— ბაღმა. ბუნების სიმშვენიერემ და სულიერმა საზრდომ, რომელსაც გვაძლევს ეს კლუბი—იყო პასუხი.

რაღა მეთქმოდა? შეგნებული მუშის პასუხმა მეტად დამაკმაყოფილა. დავიწყე დათვალიერება. ვის არ ნახავთ აქ.

აქ არიან მუშები და მათი ოჯახების წევრები ლენინის უბნიდან, დიდუბიდან, მეათე და მეცხრე რაიონიდან და სხ.

უკვე ცხრის-ნახევარი საათია. აიხადა ფარდა. სცენაზე აგერ ხელოვნური წყაროა, შეწყობილი გურული სიმღერა. მხატვრული [illegible] და საუკეთესო წესრიგი—გიტაცებს მაყურებელს.

აი, ის მიზეზები თუ რა იზიდავს აქ მშრომელ ხალხს.

გამოდის სცენაზე ამხ. ვ. ნინიძე.

აუდიტორია ტაშით და ოვაციებით ეგებება მას.

დაიდგა პიესა „დედინაცვალი".

იშვიათია ასეთი პიესების დადგმა მუშათა კლუბებში. ეს კი შესძლო ამხ. ვ. ნინიძემ.

გათავდა წარმოდგენა. უკვე საღამოს 10 საათია.

მაშასადამე, საღამოც გათავებულია?—არა.

აგერ აიხადა ხელმეორედ ფარდა და დაიწყო პიესის გმირის ლიტერატურული გასამართლება.

სასამართლომ დიდი ინტერესი გამოიწვია და ხალხიც ბოლომდის დარჩა.

— ვინ იყვნენ აქა?

რკ.-გზის პასუხისმგებელი და უბრალო მუშები.

ლიტ-გასამართლებაში საზოგადოებამაც მიიღო მხურვალე მონაწილეობა. ბოლოს ბრალდებულმა ვ. ნინიძემ წარმოსთქვა საბოლოო სიტყვა; ისმის ტაში; უმართავენ ხელოვანს ოვაციებს. კმაყოფილი და მხიარული.

— აი, ის დაუვიწყარი შთაბეჭდილებანი, რომელიც მე მივიღე ამას წინად ორჯონიკიძის სახელობის მუშათა კლუბში.

მუშკორი ი. ჯავახიშვილი.

რას ერჩიან ამ ძველ მუშებს

ლენინის სახელობის მესამე თამბაქოს ფაბრიკაში ხუთამდე ძველი მუშა მუშაობს „უმონდშტუკო" პაპიროსებზე. რადგანაც „უმონდშტუკო" პაპიროსების სატენი მანქანები ჯერ-ჯერობით ფაბრიკას არ მოეპოვება. ეს მუშები იწევიან ენერგიულ მუშაობას და ყოველ დღიურათ ფაბრიკას უმზადებენ 6—7 ათას ცალ „უმონდშტუკო" პაპიროსებს. სხვა მუშები მანქანებზე მუშაობენ. ზოგიერთნი ამ უკანასკნელთაგან დასცინიან ძველ (ორმოცი წლის ნამუშევარ) მუშებს. რომელნიც დაუზარებლად ხელით მუშაობას ეწევიან, მიუხედავად მისი სიმძიმისა და თავის ნამუშევარით საგრძნობ მოგებას აძლევენ წარმოებას. ის არამკითხენი კი სხვათ მსჯელობენ: მათ ჰგონიათ, რომ ის მუშები ზარალს აყენებენ წარმოებას და ისინი შეურაცყოფას აყენებენ ძველ მუშებს. ეს გარემოება მუშათა მთლიან ოჯახში ჰბადებს უთანხმოებას, რაც ყოვლად შეუწყნარებელია.

საჭიროა არამკითხე მსჯელებს შეაგნებინონ, რომ მუშათა ოჯახში შური და მტრობის სთესვა დაუშვებელია და არავის შერჩება დაუსჯელად.

მუშკორი გ. ვარსიმაშვილი.

ვინ უნდა იზრუნოს ამ მუშების ჯანმრთელობაზე

რკინის გზის მთავარი სახელოსნოები ითვლება ა.-კავკასიაში ერთ-ერთ უდიდეს წარმოებად. ასეთი თვალსაჩინო სახელოსნოდან სხვები (პატარა სახელოსნოები) უნდა ღებულობდენ მაგალითს. მაგრამ საუბედუროდ, ეს ასე არ არის; არც ერთი ქარხნის მუშა-მოსამსახურეები არ არიან ისე უფლებააყრილნი, როგორც ამ სახელოსნოების მუშები.

სახელოსნოების ტეხნიკური მხარე სრულიად არ არის დამაკმაყოფილებელი, რაც ძალზე აფერხებს წარმოებას. საამქროები არის ვიწრო; აქ ნორმალური მუშაობის წარმოება ამის გამო შეუძლებელია. შავ მუშებს არა აქვს ორთქლმავალის დასაბუქსავებელი იარაღი. მის ძებნაში იკარგება სრულიად უნაყოფოდ რამდენიმე საათები. მისი შეძენა კი სრულიად უბრალო საქმეა, მაგრამ თავს არავინ იტუხებს.

რკინის გზა, რომლითაც შავ მუშებს გააქვთ და გამოაქვთ ორთქლმავალის მძიმე თვლები, ათეული წელიწადია არ შეკეთებულა რკინის ლიანდაგები ჩაფლულია მიწაში და თვლების გაგორების დროს თვლები სერის მიწას. რა თქმა უნდა დიდი ძალა სჭირდება თვლებს, რომ მიწა გაიტანოს: ეს იწვევს შავი მუშების უბრალოდ ზედმეტი შრომის დახარჯვას და რადგანაც საქმე გვიანდება, აქ სამი მუშის ალაგას მუშაობს ექვსი მუშა, რითაც წარმოება ზარალობს.

არა ერთხელ მიგვიმართავს ადმინისტრაციისათვის გაესწორებინა ეს გზა, მაგრამ ყველანი ერთი-მეორეს აბრალებენ და საქმე კი არ კეთდება.

ეხლა მე გადავდივარ მუშათა ყოფა-ცხოვრების საკითხებზე. თუ გადავხედავთ სხვა ქარხნების მუშების ყოფა-ცხოვრებას, დავინახავთ, რომ რკ.-გზ. მთავარ სახელოსნოს მუშების ყოფა-ცხოვრების საკითხს ნაკლები ყურადღება ექცევა. მათი შრომის პირობები ძალზე ცუდია და სხვ.

ავიღოთ მაგალითად, სპეც-ტანსაცმლების საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ შავი მუშები აუტანელ ჭუჭყში მუშაობენ და საშინლად ისვრებიან—სწვავს მათ მაზუთი და სხ., მაინც მათ არ ეძლევათ სპეც-ტანსაცმლები მაშინ, როდესაც ყველა სხვა ქარხნების მუშები წელიწადში იღებენ ასეთებს ორჯერ, სადაც შრომის პირობები გაცილებით უკეთესია, ვინემ აქ.

ავიღოთ მუშათა სასადილო. ყველა ქარხნებში უზრუნვიათ და მოუწყვიათ მუშებისათვის სუფთა სასადილო, სადაც მუშები სადილობენ, ზოგ ალაგას ცხელი საჭმელებიც კეთდება. აქ კი ყოფილი სასადილოც დაუნგრევიათ და ახლის აშენებაზე არც კი ფიქრობენ.

აღნიშნულ მუშებს ხეირიანი ხელსაბანიც არა აქვთ და გაბინძურებული გაშავებული ხელებით „ილუკმებიან" გამურულ სახელოსნოებში.

ეს ანადგურებს მუშათა ჯანმრთელობას, წარმოებას აფერხებს და ამზღვევ სალაროს თანხებსაც ანიავებს.

ადმინისტრაციას ჰგონია ამით ეკონომიას აკეთებს, სინამდვილეში კი იგი მთელ წარმოებას საფრთხეში აგდებს და მუშებში ავადმყოფობათა გავრცელებას ხელს უწყობს.

დროა ყურადღება მიექცეს მთავარ-სახელოსნოს ადმინისტრაციის საქმიანობას!

მუშა ვარდენ.

„არა შეჯდა მწყერი ხესა არა იყო გვარი მისი"-ო

მთ.-სახელოსნოს სადურგლო ცეხში შავი მუშა ნიკო აკობარდია გადაყვანილი იქნა „ნათლიმამობით" ამავე ცეხში მეთასმის (შორნიკი) თანამდებობაზედ. ამ უცოდინარმა მუშამ ერთი კვირის მუშაობის შემდეგ **დაამტვრია სახერხი მანქანა № 862** და კინაღამ ადამიანის მსხვერპლიც შექმნა. ეს ყოველივე არ დაიმალა მუშკორი ნიკოს თვალებს და მან ამხილა გაზეთში. ამის შემდეგ მოქ. აკობარდია „მუშკორ ნიკოს" დაუწყო ძებნა, მაგრამ ჯერ-ჯერობით მან მუშკორი ვერ იპოვა. მუშკორს ამ საქმეში არავითარი სიყალბე არ მიუძღვის, არამედ მუშკორი მიუდგა საქმეს იმ მოსაზრებით, რომ კიდევ რაიმე უბედურება არ მომხდარიყო. მაგრამ ვერავითარმა გაფრთხილებამ ვერ გასჭრა ნიკოს მიმართ და ერთ მშვენიერ დღეს ღვედის გადაცმების დროს „ვაი-ხელოსანმა" თვითონაც გადაყოლა მკლავი, დაშავდა და 2 კვირა იავადმყოფა. ვინ იცის კიდევ რა მოუვა ამ უვიცს. ამიტომ რომ სჯობს ეს ადამიანი ისევ თავის სამუშაოზედ იქნეს გადაყვანილი.

ამით შეიძლება როგორც მას, ისე წარმოებასაც თავიდან ასცილდეს ზარალი და დამზღვევ სალაროს უბრალოდ ფულების გაცემაც არ დასჭირდება. ადგილკომი ამას, იმედია, მოაგვარებს.

მუშკორი ლანტკურის-პირელი.

უყაირათო მუშაობის კიდევ ერთი ნიმუში

არ არის დასამალი არავისგან, რომ ჩვენ ძლიერ ღარიბები ვართ კვალიფიციური მომუშავეებით და თუ სადმე გვყავს ასეთები, ამათში ზოგიერთები, აღზრდილნი არიან ერთგვარ „კაზიონურ" საქმეზედ, სადაც არავითარი საზოგადოებრივი ინტერესი და სახელმწიფოებრივი აღძინებლობა არ ღვივოდა. აი სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ ჩვენ სახელმწიფო სახელოსნოებში, ზოგიერთ ადგილას, იპოვნით ისეთ მომუშავეთ, რომელნიც მხოლოდ-და მხოლოდ საქმეს ეპყრობიან „კაზიონურად".

რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვთხოულობთ ჯერ-ჯერობით ისეთ ქარხნებს, სადაც რამდენიმე წუთში დამზადებული ახალ-ახალ ავტომობილებს უშვებდნენ მომუშავენი. მაგრამ ჩვენთვის არც ისაა მისაღები, რომ ავტომობილის კაპიტალურ შეკეთებას რამდენიმე წელიწადი მოუნდომენ ჩვენი სახელოსნოები, როგორც ეს ხდება ა.-კ. რკინის გზის მთავარ სახელოსნოების საავტომობილო ციხეში, მაგ. რკინის-გზის გარაჟმა ჩააბარა კაპიტალურ რემონტში ავტომობილი „უაიტი" (სამ ტონიანი) 1923 წელს ივლისის თვეში. ამ ავტომობილს დღესაც აკეთებენ და როდის გათავდება შეკეთება, ეს ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით.

ვინ არის ამ უყაირათობაში დამნაშავე? ადმინისტრაცია თუ მუშები? აქ პასუხი ერთია: დამნაშავენი არიან მუშებიც და ადმინისტრაციაც ასეთ დაუდევრობაში და ორივე მხარეს უნდა მოეთხოვოს პასუხი.

საჭიროა ამაზე ყურადღების მიქცევა, რომ სხვას მაინც არ შეუფერხონ და არ წაუხდინონ საქმე.

ქ—ლი.

ტრამვაის მეისრეებზედაც ვიზრუნოთ

მოგეხსენებათ, რომ ჩვენ „ცოდვილ დედამიწაზე" არსებობს მეისრეები, რომელნიც განიყოფებიან ორ ბანაკად: რკინის გზის და ტრამვაის მეისრეები.

რას აკეთებენ ეს მეისრეები—ერთნიც და მეორენიც?

აი რას:

რკინის გზის მეისრეები დარბიან აქეთ-იქით, ყვირიან, ისარი გადააქვ- გადმოაქვთ და სხვა.

ტრამვაის მეისრეები კი სხედან ერთ ალაგას და მათ ევალებათ თვალყურ ადევნონ სამარშრუტო ვაგონებს და ზოგი რონოდა იქით გაუშვან, ზოგი აქეთ.

ამას შეიძლება ზოგიერთებმა დაუძახონ „არაფრის გაკეთება", რადგან ისრის გადაწევა-გადმოწევის მეტს ისინი არაფერს აკეთებენ, მაგრამ ასეთი განცხადება სამართლიანი არ იქნებოდა.

ეს მუშები სხედან ტროტუარის ნაპირზე ცივ და ტალახიან ქვებზე.

რაზე სხედან, აქ არ იკითხავთ?

იმიტომ, რომ დასაჯდომიც მათ არ მოეპოვებათ და მთელი დღის განმავლობაში ქუჩაში ხომ ვერ დადგებიან.

არის ასეთი მაგალითიც: პლეხანოვის პროსპექტზე კირკის ახლო მეისრეს უდგია ძველი დამტვრეულ-დაჟანგული ვედრო, ვედროზე დევს რაღაცით გატენილი (მგონი ნაგვით) ტომარა და თვით მეისრეც ზედა ზის.

ნუ თუ ისე ძნელია ტრამვაის დირექციისათვის რამდენიმე ტაბურა და უბრალო სკამის გაკეთება, რომ მეისრეები დასხდნენ სამსახურის ასრულების შემდეგ და ჟანგიანი ვედროები და გაბინძურებული ტომრები არ ატარონ თან ქუჩებში?

როგორც ვიცით ამხ. ფარნიევი იწერს ახალ რონოდებს, აფართოებს სალიანდაგო ქსელს, აშენებს შენობებს და ამდენი საქმის მომქმედს რა გაუჭირდა ორი სკამის გაკეთება?!

მუშა ნიკო ახ—ლი.

მუშათა ქრონიკა

— **კავშირში გადარიცხვა.** სად. თბილისის მოძრაობის დარგის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ კავშირში ჩარიცხა ერთი ქალი.

— **შეკეთება.** სამასალო სამსახურის პირველი უბანი უკვე შეუდგა ბათომის სამასალო საწყობის ნავთ-საქაჩავის შეკეთებას.

— **„დედინაცვალი"-ს ლიტგასამართლება.** 5 აგვისტოს ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. მუშათა კლუბში მოხდა პიესა „დედინაცვალი"-ს ლიტერატურული გასამართლება. გასამართლებაში მონაწილეობა მიიღეს ადგილობ. მუშებმა.

— **სცენის განთავისუფლება.** ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის ქართული დრამწრე სთხოვს კლუბის გამგეობას, რათა წარმოდგენის ღამეს სცენა თავისუფალი იყვეს საღამოს 6 საათიდან.

— **ექსკურსია ქიათურაში.** განზრახულია მუშათა-მასიური ექსკურსია მთ.-სახელოსნოს მუშებს შორის ქიათურაში.

— **შეკეთება.** მოძრაობის დარგის პირველი უბნის საწარმოო თათბირმა მიმართა ლიანდაგის სამსახურს შეაკეთოს სად. ბათომის მეოთხე ლიანდაგი.

რონოდების შეძენა. სალიანდაგო დარგის პირველ უბნის საწარმოო თათბირმა მიმართა სალიანდაგო დარგს შეიძინოს ნადის თავებისათვის რონოდების საკმაო რიცხვი.

— **იურიდიული კონსულტაცია.** პლეხანოვის სახ. მუშათა კლუბში მოეწყო იურიდიული კონსულტაცია მუშებისათვის.

— **გადარჩევა.** ბათომის საწარმოო თათბირმა მიმართა სალიანდაგო დარგის პირველ უბნის უფროსს აწარმოოს ცენტრიდან მიღებულ მასალების გადარჩევა.

წითელ ჯარში

მანევრებზე
(№ ქართ. ლეგიონი)

წითელ-არმიელნი მოუთმენლად ელიან მანევრების დაწყებას ყველა ხალისით და სიამოვნებით იღებს მონაწილეობას საერთო მოძრაობაში, რომლის საშუალებით იძენენ გამოცდილებას ბრძოლის საწარმოებლად.

მანევრების საშუალებით წითელ-არმიელი უნდა გაიწრთვნას ბრძოლისათვის, უნდა გაკაჟდეს და შეიძინოს ისეთი თვისებები, რომელნიც აუცილებელია კარგი მეომრისათვის.

მანევრებზე გამოაშკარავდება, თუ რამდენად მომზადებულია არმიელი სამხედრო დარგში და როგორ ითვისებდა იგი სამხედრო საქმეს. მანევრები დაგვანახვებენ აგრეთვე, თუ რამდენად არის მომზადებული არმიელი პოლიტიკურად და შეუძლიან თუ არა აწარმოოს პოლიტმუშაობა გლეხობაში.

ჩვენ ლეგიონსაც მოუხდა ბანაკად მანევრების წარმოება. გაისმა მუსიკის ხმა და ლეგიონი მთელი შემადგენლობით გაეშურა სოფლებისაკენ. მოძრაობის დროს მოგვეხდა მრავალ სოფელზე გავლა. გლეხობა ყველგან აღტაცებით გვხვდებოდა. არმიელებმა და უფპოლიტშემადგენლობამ გამოიჩინა მანევრების დროს სრული შეგნება და მტკიცე დისციპლინა.

იმ სოფლებში, სადაც გვიხდებოდა გრძელვადიანი დასვენება და ღამის გათევა, ვმართავდით წარმოდგენებს: გლეხობა ბლომად ესწრებოდა წარმოდგენებს. ვარიგებდით ლიტერატურას, რომელიც ამ მიზნისათვის წაღებულ იქნა ლეგიონიდან.

ყოველ სოფელში იმართებოდა საუბარი გლეხობასთან.

მანევრები გაგრძელდა ოთხ დღეს. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად სიცხისა, მთებში სიაროულსა და მრავალი ნაკლისა, წითელ-არმიელები თავს მშვენივრად გრძნობდენ.

—ძე.

ცხენოსანთა შორის

ცხკარდონებში პოლიტიკური სახის მუშაობა მიმდინარეობს სისტემატიურად. 1902 წ. დაბადებული არმიელები დაყოფილი არიან ჯგუფებად, ყველა ჯგუფს ჰყავს თავისი ხელმძღვანელი, რომელიც ატარებს პოლიტსაათს და სხვა მუშაობას.

განსაკუთრებული მუშაობა სწარმოებს იმ არმიელებთან, რომელთაც ეხებათ უვადო შვებულებებში წასვლა, ისინი იძენენ ისეთ ცოდნას, რომელიც გამოადგება სოფლად მუშაობისთვის.

დაარსებულია სხვადასხვა ხასიათის წრეები, სადაც მუშაობენ უფრო აქტიური ამხანაგები. ეს ამხანაგები შველიან ჩამორჩენილ ამხანაგებს, უხსნიან სხვადასხვა საკითხებს, უკითხავენ გაზეთებს და წიგნებს.

დღის-დღეობით არმიელნი ემზადებიან სახლში წასასვლელად და აქეთკენ არის მიპყრობილი მათი გულის-ყური. მეთაურნი და პოლიტხელმძღვანელნი უხსნიან მათ მომავალ მუშაობის საკითხებს, ასწავლიან, თუ რას უნდა მიაქციონ ყურადღება სოფლად და როგორ უნდა გამოიყენონ ყაზარმაში შეძენილი ცოდნა.

პროფკავშირებში

მიწა-ტყის კავშირში

დუშეთის მაზრაში სულ მიწა-ტყის მუშაკთა 134 კავშირის წევრია. მათგან 25 მოჯამაგირეა. მიწა-ტყის სამაზრო განყოფილება სამ ადგილკომს აერთიანებს და ყავს ხუთი მოჯამაგირე რწმუნებულად. მოჯამაგირეთა შორის მუშაობა მეტად მოისუსტებს. ამის მთავარი მიზეზი კავშირის ნივთიერი ხელმოკლეობაა. მას საშუალება არა აქვს, რომ ვინმე დაიქირაოს და მოჯამაგირეებს შორის იმუშაოს.

მოჯამაგირეთა მდგომარეობა ვერც სხვა მხრივაა სახარბიელო. ისინი დღევანდლამდის დაზღვეული არ არიან და საექიმო დახმარებას ვერ იღებენ. მათი აღრიცხვის საკითხი მოუწესრიგებელია. წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა კავშირმა ვერ შესძლო. კავშირის წევრთა შორის კიდევ მრავალი წერა-კითხვის უცოდინარია და არც არავინ ფიქრობს მათ შორის ამის მოსპობას.

მიწა-ტყის კავშირის ცენტრალური გამგეობა ვერ აძლევს დახმარებას დუშეთის სამაზრო განყოფილებას კულტურულ განმანათლებელ საქმეების საწარმოებლად. შემოსავლელ თანხებს ზოგიერთი წარმოებები თბილისში იხდიან და დუშეთში კი ამბობენ თბილისში მიიღებთო. ვერც აქედან იღებს კავშირის სამაზრო განყოფილება რამეს და ვარდება უკიდურეს ნივთიერ გაჭირვებაში.

დუშეთის სამპროფბიურომ ამ უკანასკნელ ხანებში გადასწყვიტა ჩაბას საკავშირო მუშაობაში ყველა სოფლის, ბოგანო-მუშები. ეს კი არ განხორციელდება, თუ კავშირის ცენტრ. გამგეობამ რაიმე დახმარება არ გაიღო.

ასეთივე დადგენილებაა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის დარგში.

სამპროფბიურომ საჭიროდ მიიჩნია, რომ მიწა-ტყის კავშირის კულტურულ-საგანმანათლებლო დარგის მთელი მუშაობა ქ. დუშეთიდან სოფლად გადაიტანოს. ამასაც თანხა უნდა, თანხა კი კავშირს არა აქვს და საქმე მოუწესრიგებელი ხდება, ხოლო დადგენილება კი დადგენილებად რჩება.

დროა მიწა-ტყის კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ ამ მდგომარეობას ყურადღება მიაქციოს.

ვინი.

საკავშირო კულტმუშაობის ნიმუშები

საქართველოს საბ. და სავაჭ. დაწ. მუშ. კავშირთან არსებული ქართული 1-ლი ლურჯი ხალათი—„წითელი შოლტი" ამჟამად ემზადება პროვინციაში სამოგზაუროდ, სადაც აღნიშნულ კავშირის კულტგანყოფილებას მოსდის თხოვნები ამ ცოცხალი გაზეთის გაგზავნის შესახებ. მზადდება ახალი ნომრები. დასის შემადგენლობა ივსება; იხატება ახალი ესკიზები, იწერება ახალი ნომრები.

10 აგვ. დასი გამოვიდა საბჭოთა მუშაკების კავშირის საზაფხულო კლუბში, სადაც დიდძალი ხალხი დაესწრო.

დადგმული იქნა:პარად ალე (მარში), მომჭირნეობის რეჟიმი, ხაწევრო ანარიცხები, ვირტაჟი, ბითურების ხორო, ბეჯითი და ზარმაცი მუშა, გამფლანგველები, რემედასი, და ეპილოგი. ხალხს განსაკუთრებით მოეწონა ვირ-ტაჟი, მომჭირნეობის რეჟიმი და მარში და ეპილოგი, რომელშიაც ახალი პირამიდებია შეტანილი.

11 აგვ. საქ. პროფსაბჭოს დიდ დარბაზში საქ. საბ. და სავაჭ. დაწ. მუშაკთა კავშირი მიერ მოწვეულ ადგილკომების და უმუშევართა შეერთებული კრება მოხდა, რომლის დასასრულსაც გაიმართა „წითელი შოლტის" გამოსვლა შემდეგი ნომრებით: პარად-მარშ, მომჭირნეობის რეჟიმი, ხაწევრო ანარიცხები, ფედერაცია და ეპილოგი, რაიც დიდის აღფრთოვანებით ჩატარდა და დამსწრენი მოითხოვდენ საექსპორტო ნომრების დადგმას, მაგრამ დრო აღარ იყო, რადგან ამავე დროს გამოდიოდა აქ ამავე კავშირის ახლად დაარსებული სომხური ლურჯ-ხალათიანთა წრე.

კავშირის წევრობიდან გამორიცხვა

საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების პროფკავშირის საქართველოს ცენტრალურ გამგეობის მიერ 1926 წლის პირველ ნახევარში კავშირიდან გამოირიცხა:

1. **კონსტანტინე სიმონის ძე გაბრიჩიძე,** როგორც უძრავი ქონების (სახლი) მესაკუთრე, რომელიც აძლევს მას არა შრომით შემოსავალს თვეში 150 მან.
2. **გალუსტი დავითის ძე ახიზოვი**—ვაჭრობისათვის.
3. **კაცია ვლადიმერი შარუს ძე.** ყალბი ცნობების წარმოდგენით კავშირის უმუშევართა ფონდიდან ფულის ორჯერ გატანის გამო, ამასთანავე „წითელ მეწვრილმანეთა" კოლექტივში მუშაობის დროს მოახდინა გაფლანგვა.
4. **არსენ ნიკოლოზის ძე პირუმოვი და**
5. **გიორგი კასრაძე.**

პირუმოვმა და კასრაძემ შუამავლობისა და დავალებათა კოლექტივში გაფლანგეს—480 მანეთი.

6. **გაბრიელი მოსეს ძე ცურინოვი,** როგორც უძრავ ქონების (სახლი) მესაკუთრე, რომელიც აძლევს მას არა შრომით შემოსავალს თვეში—312 მან. რაოდენობით.
7. **ოლღა გრიგოლის ასული ხულავა,** შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის ადგილკომმა ტეხნიკურ მდივნობის დროს—141 მ. გაფლანგვისათვის.

კავშირის ც. გ. დადგენილებანი ზემოხსენებულ პირთა კავშირიდან გამორიცხვის შესახებ დადასტურებულ იქნა—კავშირის საერთო საქალაქო კონფერენციის მიერ.

—:—

12 აგვ. მუშათა ცენტრალურ კლუბის საზაფხულო სცენაზე გამოვიდა „წითელი შოლტი" დამატებითი ნომრებით, სადაც დაიდგა 9 ნომერი, რომელთა შორის საინტერესოდ ჩატარდა დასის მუდმივი და დამრტყმელი სურათი „განთიადი სოფლად", მიუხედავად ცუდი ამინდისა, დიდძალი ხალხი დაესწრო, რომელთაგან შემოვიდა თხოვნა, რათა დასი ხშირად ესტუმროს ხოლმე მუშათა ცენტრალურ კლუბს...

დი—ხ.

პროფმუშაობის ქრონიკა

— **სამუშაო ხელფასი პრაქტიკანტებისათვის.** შესაძლებლად იქნეს მიჩნეული პრაქტიკანტების დაშვება სამუშაოზე იმ შემთხვევაში, თუ მათ მცირე სამუშაო ხელფასი მაინც დაენიშნებათ და თითოეულ კონკრეტიულ შემთხვევაში პრაქტიკაზე დაშვების საკითხი შეთანხმებული იქნება შესაფერ კავშირთან და შრომის ინსპექციასთან.

— **ინგლისის მემაღაროე მუშების დასახმარებლად.** დაევალოს ცენტრალურ გამგეობებს და საკავშირთაშორისო ორგანიზაციებს შეამოწმონ აკრეფილია თუ არა სამაზრო განყოფილებებისა, ქარხკომებისა და ადგილკომებისაგან მუშა-მოსამსახურეების მიერ ა.-წ. მაისის და ივნისის თვეებში ინგლისის გაფიცულ მაღაროს მუშებისთვის გადადებული დახმარებები;

ქრონიკა

გერმანიის მეორე მუშათა დელეგაციის მოლოდინში

გუშინ საქართველოს პროფსაბჭომ მიიღო დეპეშა სრულიად საკავშირო პროფკავშირთა მდივნის ამხ. იაგლოგისაგან, რომ გერმანიის მუშათა მეორე დელეგაცია თბილისში ჩამოვა 23 აგვისტოს.

დელეგაციაში შედის 23 კაცი. დელეგაციის თავმჯდომარეა—ამხ. კერბერი.

აეროპლანის მოფრენა

— გუშინ, საღამოს 6 საათზე, ხარკოვიდან თბილისში მოფრინდა უკრაინის საჰაერო-ფლოტის აეროპლანი „დორნიე კომეტ" 4 მგზავრით.

— ხუთშაბათს, 19 აგვისტოს აეროპლანი „დორნიე-კომეტ" ბაქოს გზით გაფრინდება ხარკოვში მგზავრებით.

ხე-ტყის სახერხი ქარხანა

საქ. სატყეო ტრესტის ხე-ტყის სახერხი ქარხნის შენობის აგება მცხეთაში უკვე დამთავრდა და 1-ლ სექტემბრიდან ქარხანა ამუშავდება.

განათლების კომისარიატში

— **გადასამზადებელი კურსების დახურვა.** 15 აგვისტოს დაიხურა თელავში მოწყობილი შვიდწლედების, ოთხწლედების და გლეხურ ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები; კურსებზე იყო 300 მსმენელი.

— **მოწაფეთა გამოცხადება სკოლებში.** თბ. აღმასკომის განათლების განყოფილებამ ცირკულიარულად მიმართა ყველა სკოლებს, აცნობონ ყველა მოწაფეებს, რათა გამოცხადდენ სკოლებში 6 სექტემბრისთვის. მეცადინეობა სკოლებში დაიწყება 16 სექტემბრიდან.

თბ. აღმასკომში

— **ბაზრების გადაკეთება.** აღმასკომის კეთილმოწყობის კომისია იმუშავებს გეგმას თბილისის ბაზრების გადასაკეთებლად; კეთილმოწყობის კომისიას განზრახული აქვს გადააკეთოს ისინი დახურულ ბაზრებათ.

— **აღმასკომის თანამშრომელთა რაოდენობა.** უკანასკნელი ცნობების მიხედვით თბ. აღმასკომში და მის ქვემდებარე დაწესებულებებში მსახურობს 10.757 თანამშრომელი.

— **ყინულის ქარხანა.** აღმასკომმა თბ. სასაკლაოსთან მოაწყო ყინულის ახალი ქარხანა.

— **ტრამვაის მუშების სახლი.** ტრამვაის მუშების საცხოვრებელი სახლი, რომელიც შენდება პლეხანოვის და მუშტაიდის ქ. კუთხეში, დამთავრდება 1 ოქტომბრისათვის; სახლში იქნება 160 ოთახი.

ხელოვნება

ახალი მუშათა კლუბი

საშემოდგომო სამზადისი იწყება. გამოყოფილია სამხატვრო სექცია, რომელიც სამხატვრო წრეების მუშაობას და სამხატვრო მასიურ მუშაობას უხელმძღვანელებს.

მუშები უკვე ებმებიან აქტიურ მუშაობაში, ეწევიან საკლუბო მუშაობის კრიტიკას, ეწერებიან წრეებში და სხვა.

სხვა სამხატვრო წრეებთან ერთად მუშაობას შეუდგა: ქართ. დრამ.-წრე და კედლის გაზ. კორესპონდენტთა წრე. განზრახულია ყოველ კვირეულად გაზეთის გამოცემა. კლუბში მუშათა მასის აქტივი თვალსაჩინოდ იზრდება.

ხიმშელი.

— **მიღება სტუდიაში.** თანამედროვე რევოლიუციონური თეატრის სტუდიაში ახალი მსმენელების მისაღები გამოცდები დაიწყება 1 სექტემბრიდან და გაგრძელდება 15-დე. განცხადებების მიღება სწარმოებს სტუდიის ბინაზე (რუსთაველის პრ. № 12).

— **ს. ეულის წიგნი.** გამომცემლობა „შრომა" სცემს პროლეტარულ პოეტის ს. ეულის ლექსების წიგნს: „შრომის ჰანგები".

შემთხვევები

80 წლის მოხუცის თვითმკვლელობა

გუშინ საღამოს დ. სიმონოვკაში მცხოვრებმა 80 წლის მოხუცმა სიმონ თედორიანცმა საკუთარ სახლში თავი ჩამოიხრჩო. გვამი ჩამოტანილ იქმნა მთავარ საავადმყოფოს პროზექტურაში.

— **ავტომობილის მსხვერპლი.** 16 აგვისტოს აბულაღიდან მომავალი ავტომობილი, რომელსაც მართავდა შოფერი ი. ახალიაშვილი, კომუნარულ ქუჩაზე დაეჯახა 10 წლის ბავშს ი. იბრაგიმ-ოღლის და დაუშავა მარცხენა მუხლი.

— **დაჭრა.** 15 აგვისტოს ლიინის აღმართზე № 61, სასადილოში ქეიფის დროს, მ. თაფლიაშვილმა ხანჯლით მძიმეთ დასჭრა თანამოქეიფე გ. მამაცაშვილი და თვითაც დაჭრილ იქნა ხელში მსუბუქად.

— **ბინების გაქურდვა.** 15 აგვისტოს წერნაქის შეს. №2-ში გაქურდულია ნინა შენგელიას და ა. ხოსრიაშვილის ბინები.

— 15 აგვისტოს ლ. ჯაშის ბინიდან (1-ლი სამილ. უბანი) მოპარულია საბანი, ლეიბი და ერთი წყვილი ფეხსაცმელები.

— **ჯიბგირობა.** 15 აგვისტოს, ცენტრალურ ბაზარში პ. ასაბაშვილს ჯიბიდან ამოაცალეს 45 მანეთი.

— **ქურდი მოჯამაგირე.** 16 აგვისტოს სოლანლუღში მცხოვრებ მ. ისტინდარ-ოღლის მოჯამაგირემ ალი-აბას-ოღლიმ მოჰპარა 32 მან. ფული და 185 მანეთის სხვადასხვა ნივთები.

— **ტანსაცმელების მოპარვა.** 15 აგვისტოს ღამით აკოპოვის ქ. № 2-ში მცხოვრებ ვ. ვართაპეტოვის ბინიდან მოპარულია სხვადასხვა ტანსაცმელები.

— **ხალიჩის მოპარვა.** 15 აგვისტოს პლეხანოვის პრ. № 22-ში მცხოვრებ ა. ერზიკიანცის ბინიდან მოპარულია ერთი ხალიჩა ღირებული 100 მან.

— **ქურდის შეპყრობა.** 15 აგვისტოს პლეხანოვის გამზირზე № 116-ში გაქურდეს ვ. გოცირიძის ბინა, საიდანაც წაიღეს სხვადასხვა ტანსაცმელები, მილიციამ ქურდი გუსეინ ალი-ოღლი შეიპყრო.

— **ყაჩაღობა.** საბურთალოში მცხოვრები ნაჯაფ ისკანდერ-ოღლი (იგივე ტოპჩიევი) თავს დაესხა ს. მინასაროვში მცხოვრებ გუსეინ ბეგმინასარდოვს, რომელიც სასიკვდილოდ დასჭრა, რის შემდეგაც გაიტაცა მინასრდოვის ცხენი.

* * *

ბრძოლა წყალდიდობასთან

ადიდებული მდინარეებისაგან მინდორ-ყანების და კარ-მიდამოს დაცვა გურიის გლეხობის ერთს მთავარ საზრუნავ საგანს წარმოადგენს. განსაკუთრებით ეს ითქმის იმ რაიონზე, სადაც მიმდინარეობს მდ. ბჟუჟი, რომელიც ადიდების დროს საშინლად აზარალებს გლეხების მეურნეობას ყანების, ბაღების და ბოსტნების წალეკვით და ხშირად მთელი კარ-მიდამოს, და შინაური პირუტყვის განადგურებით.

უმთავრესად წყალდიდობის მსხვერპლი ხდება შემოქმედის და ოზურგეთის თემების ტერიტორიები, სოფლები — ბახვაური, ჰილის, კვირიკეთი და თვით ქალ. ოზურგეთი.

ოზურგეთის სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა მიიღოს რადიკალური ზომები წყალდიდობისაგან თავდასაცავად. ამ მიზნით აგვისტოს პირველ რიცხვებში მდინარე ბჟუჟის სათავეებში გაიგზავნა ტეხნიკოსთა სპეციალური კომისია ინჟინერთა ხელმძღვანელობით მდინარის იმ ნაპირების დასათვალიერებლად, რომელთაც ემუქრება ადიდებული მდინარე. კომისიამ უკვე დაამთავრა მუშაობა. კომისიის აზრით საჭიროა ქვის ჯებირის აგება 150 საჟენის სიგრძეზე და ალაგ-ალაგ შემკავებელი კედლების აშენება მდინარის დასავლეთის მიმართულებით.

გარდა ამისა საჭირო ხდება აგრეთვე აფეთქება მდ. შუა კალაპოტში მდებარე კედლისა, რომელიც ადიდების დროს ხელს უშლის წლის თავისუფალ დენას და სცვლის მის მიმართულებას.

ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად საჭიროა 300 კვალიფიციური მუშა ხელი (კალატოზი, ქვის მთლელი) და 1000 არაკვალიფიციური.

ქალაქის საერთო საზოგადო კრების დადგენილებით მუშაობას უნდა შეუდგენ დაუყოვნებლივ. თანხები საამშენებლო მასალის შესაძენად და კვალიფიციური მუშა ხელის გასასტუმრებლად შეგროვილ იქნება თვით დაკვრის საშუალებით, ხოლო მიწის სამუშაოების უსასყიდლო შესრულებას კისრულობს ადგილობრივი გლეხობა.

საგზაო მშენებლობა

ბათომ — ოზურგეთის გზატკეცილი

აჭარისტანის გზატკეცილების სამმართველოს გადაწყვეტილი აქვს გზატკეცილები ქობულეთიდან სოფელ ლელვამდე, რომელიც ბათომ-ქობულეთის გზატკეცილის შტოს გააგრძელებს გურიის საზღვრამდე — მდ. ჩოლოქამდე იმ მიზნით, რომ გაძლიერებულ იქნეს მოძრაობა ოზურგეთ — ბათომს შუა. სოფ. ლელვადან — მდ. ჩოლოქამდე მანძილი უდრის 6 ვერსს. კვლევა-ძიება, რომელიც დაწყებული იქნა მდ. ჩოლოქიდან, უკვე დამთავრდა.

გზატკეცილის სიგრძე ქობულეთიდან გურიის საზღვრამდე იქნება სულ 22 ვერსი. გზის გასაყვანათ მუშაობას შეუდგენ მიმდინარე წლის შემოდგომაზე.

ოსეთის სამხედრო გზატკეცილი

მიმდინარე ზაფხულზე სწარმოებდა მუშაობა ოსეთის სამხედრო გზატკეცილის გასაფართოებლად სოფელ გლოლიდან ვიდრე მამისონის უღელტეხილამდე, მუშაობა უკვე დასრულდა. ვიწრო გზა, რომელზედაც მხოლოდ ურმებით შეიძლებოდა მისვლა-მოსვლა, ეხლა იმდენად გაფართოებულია, რომ ეხლა თავისუფლად სწარმოებს მიმოსვლა თვით მამისონის უღელტეხილამდი.

* * *

ლაგოდეხის თამბაქო

მიმდინარე წელში ლაგოდეხის რაიონში თამბაქო დათესილია 1.600 დესეტინას სივრცეზე. ყველა მეთამბაქოენი საკრედიტო ამხანაგობის წევრებათ ირიცხებიან და ღებულობენ კრედიტს 400 მანეთის რაოდენობით თითეულ დესეტინაზე. ლაგოდეხის თამბაქოს მყიდველი არის „აზთამბაქო" საქარ. თამბაქოს ტრესტი და მოსკოვის თამბაქოს ამხანაგობა „ტაბაკსირიო".

განათლების ფრონტზე

სიღნაღის მაზრა

უკანასკნელ წლების განმავლობაში სახალხო განათლების საქმემ სიღნაღის მაზრაში დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. ამჟამად მაზრაში არსებობს 111 სკოლა, სადაც 15.762 მოწაფე სწავლობს, ხოლო მასწავლებელთა რიცხვი უდრის 358.

გარდა ამისა არსებობს სკოლის ჰასაკამდე განათლების 22 ორგანიზაცია, ერთი საბავშვო სახლი, 5 საბავშვო ბაღი 268 ბავშვით. საბავშვო ბაღს ინახავს სამაზრო აღმასკომი.

ამ ზაფხულზე მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასაწევად განათლების სამაზრო განყოფილებამ მოაწყო კურსები. მეორე მთავარ ამოცანას სამაზრო განათლების განყოფილებისათვის შეადგენს სასკოლო შენობების აგება და რემონტი. ამ დარგში მთავარი საქმის შესრულება ეკისრება სათემო აღმასკომებსა და ცალკე საზოგადოებებს.

ვინაიდან სიღნაღის მაზრა უმთავრესად წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო რაიონს, სადაც განუვითარებელია სასოფლო მეურნეობის მთავარი დარგები (მევენახეობა, მესაქონლეობა, მებაღეობა, მეთამბაქოეობა, მებამბეობა და სხვა) წელს მთავარი ყურადღება ექცევა გლეხური ახალგაზრდობის სკოლების მოწყობას. გასულ წელს მაზრაში არსებობდა მხოლოდ ერთი ასეთი სკოლა. წელს მათი რიცხვი აყვანილ იქნება 3—4-მდე. გარდა ამისა მაზრაში არსებობენ დაბალი საფეხურის ორი სასოფლო-სამეურნეო სკოლა და ერთიც სასოფლო სამეურნეო ტეხნიკუმი. ამ სკოლებმა დიდი საქმე გააკეთეს გლეხური მეურნეობის აღორძინების დარგში. ისინი გლეხობას აძლევენ მეურნეობის რაციონალურად დაყენების ნიმუშებს. დანარჩენ სპეციალურ სასწავლებლებიდან აღსანიშნავია პედაგოგიური და სამრეწველო ეკონომიური ტეხნიკუმები.

წინ წაიწია აგრეთვე სკოლის გარეშე განათლებამ. ამჟამად მაზრაში არსებობს 30 ქოხ-სამკითხველო და ერთიც ცენტრალური ბიბლიოთეკა-სამკითხველო ქ. სიღნაღში. დიდ ნაყოფიერებას იჩენენ აგრეთვე აგრონომიული წრეები ქოხ-სამკითხველოებთან.

გეოლოგიური ექსპედიცია

ბათომში მოელიან მოსკოვის ცენტრალურ გეოლოგიის კომიტეტის ექსპედიციის ჩამოსვლას. ექსპედიციაში შედის სამი კაცი, რომლებიც აჭარისტანის სამთამადნო წარმომადგენლებთან ერთად მოახდენენ ყველა რაიონების გეოლოგიურ დათვალიერებას და აგრეთვე მადნების ადგილმდებარეობის გამოკვლევას. პირველ რიგში დათვალიერებული იქნება მერისის რაიონში ცინკისა და სპილენძის მადნები ექსპედიციის მუშაობისათვის გადადებულია 30.000 მანეთი.

სასამართლო

გაუპატიურება და მკვლელობა

16 აგვისტოს სოფ. ჯუგაანში (სიღნაღის მ.) ამხ. ოდილავაძის თავმჯდომარეობით გაიხსნა სასამართლოს სესიის სხდომა. ირჩეოდა საქმე ყატაშვილის და თითილოკაშვილის, რომელთაც ბრალდებოდათ 42 წლის ქ-ის გაუპატიურება და დახრჩობა. საქმე ირჩეოდა ბოროტმოქმედების ჩადენის ადგილას.

სასამართლოში ბრალდებულმა თითილოკაშვილმა თავი დამნაშავედ სცნო და დაწვრილებით მოუთხრო სასამართლოს თუ როგორ დაიჭირა ბრალდებულმა ყატაშვილმა ქ-ის ქალი, გადმოიყვანა ხევიდან ბილიკზე და იქონია მასთან სქესობრივი კავშირი და ბოროტმოქმედების კვალის დასაფარავად დაახრჩო.

მოწმეების დაკითხვიდან გამოირკვა, რომ მოკლული ქ-ის ქალი ყოფილა პატიოსანი და გლეხკაცობისათვის თავდადებული ადამიანი.

17 ივნისს, საღამოს 6 საათზე, 4 საათის თათბირის შემდეგ სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლითაც ბრალდებულ ყატაშვილს მიუსაჯა ათი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით, ხოლო ბრალდებულ თითილოკაშვილს სამი წლით.

დამსწრე გლეხობა კმაყოფილი დარჩა განაჩენით.

ქ.

8.000 მან. გაფლანგვა

20 აგვისტოს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩევა კოჯორის კოოპერატივის ყოფილ თანამშრომელთა საქმე. პასუხისგებაშია მიცემული გამგეობის თავმჯდომარე გრიგოლ **შალამბერიძე**, გამგეობის წევრები: კონსტანტინე **სურმავა** და რაჟდენ **გოგელია**, საწყობის გამგე აკაკი **მახარაძე**, სასადილოს გამგე გიორგი **ბერიძე**, ნოქარი ლევან გოგელიძე და ბუხჰალტერი **კანკავა-ფარულავა**. აღნიშნული პირები სისტემატიურად ითვისებდენ სახალხო ფულებს, ნისიათ უშვებდენ საქონლის დიდ რაოდენობას, რაიც წესდებით აკრძალული იყო.

ამ საქმის გამო წარმოებულმა გამოძიებამ დაადასტურა 5.000 მანეთის გაფლანგვა. ბრალდებულების ბოროტმა მოქმედებამ კოჯორის კოოპერატივს მიაყენა 8.000 მანეთის ზარალი.

სატარიფო თათბირები

საქართველოს პროფსაბჭო რესპუბლიკანური მასშტაბით სექტემბერში თბილისში იწვევს საქართველოს სატარიფო თათბირებს შემდეგის პროგრამით: განრიგება და პრემიალური ჯილდო, კავშირების სატარიფო-საკონფლიქტო მუშაობა კერძო წარმოებებში, საწარმოო თათბირების საკითხი, კოლექტიურ ხელშეკრულებათა ხელმეორეთ დადების კამპანია.

შრომის ხელფასი

საქართველოს პროფსაბჭოს ცნობით, მუშათა სამუშაო ხელფასი საქართველოს მთელ მრეწველობაში საშუალოდ შეადგენს 63 მან 17 კაპ. (ჩერვ. მან) ყოველ მუშაზე, რაიც უდრის ომამდე არსებული სამუშაო ხელფასის დონის 92,3 პროცენტს.

უკანასკნელი საშუალოდ თვეში შეადგენდა მთელ საქართველოში ერთ მუშაზე —25 მან 26 კაპ. მუშის ეხლანდელი რეალური ხელფასი კი ომამდე არსებული. ფულის კურსით შეადგენს 23 მან. 81 კაპ., ე. ი. 1 მანეთით ნაკლებს ომამდე არსებულ რაოდენობაზე.

წარმოებათა ბიუჯეტში

საბჭოთა კავშირის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა მოსკოვის ცენტრალურმა სექციამ საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციას გამოუგზავნა ინსტრუქცია—ბეჭდვითი სიტყვის წარმოებათა ბიუჯეტის შედგენაში კავშირის და სექციის ორგანოთა მონაწილეობის შესახებ. ცენტრალურმა ბიურომ დაადგინა, გაატაროს ცხოვრებაში ეს დადგენილება.

50.000 მანეთი

აჭარის-წყლის ჰიდრო-ელექტრონის სადგურისათვის

ელექტროფიკაციის მთავარმა სამმართველომ (მოსკოვში) სასურველად სცნო, რომ მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილი იქნეს 500,000 მანეთი აჭარის-წყალის ჰიდრო-ელექტრო სადგურზე 7.500 კილოვატის ძალოვნობის ტურბინის დასადგმათ.

ბამბის ნათესები

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატთან შესდგა სპეციალური კომისია სიღნაღის მაზრაში ბამბის ნათესების შესამოწმებლად.

კომისიამ შემოიარა მებამბეობის 4 უმთავრესი რაიონი. ყველა რაიონებში ბამბის მოსავალი საშუალოზე უკეთესია. ამავე რაიონებში გასინჯულ იქნა მებამბეობის საჩვენებელი ნაკვეთები, სადაც მუშაობა კარგათაა ჩატარებული.

სატყეო კურსები

მიწათ-მოქმედების კომისარიატი სოფ. ლეღვანში (შორაპნის მაზრა) ხსნის სატყეო-საკულტურო კურსებს.

კურსები გაიხსნება 20 აგვისტოდან.

კურსებზე იმეცადინებს 25 კაცი.

ტყიბულის ქვანახშირი

დიდი ხანი არ არის, რაც დაიწყო ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში საბურღავი მუშაობა ნახშირის ფენის სიღრმის გამოსარკვევად. ამ მუშაობის დამთავრების შემდეგ დაიწყება მთავარი გვირაბის გაყვანა, რაც შესაძლებლად გახდის ნახშირის იმ მთავარი ფენის დამუშავებას, რომელიც 175.000 მილიონ ფუთ ნახშირს შეიცავს.

ვერტიკალურათ გაბურღვილმა ხვრელმა გამოიღო კარგი შედეგები.

ზედაფენის გეოლოგიური მდებარეობის გამოსაკვლევად სწარმოებს სათანადო ხვრელების გაყვანა, რაიც დასრულდება ორი თვის განმავლობაში. ამ მუშაობის დასრულების შემდეგ დაიწყება 350 საჟენის სიგრძის მთავარი გვირაბის გაყვანა.

ზემოაღნიშნულ სამუშაოთა დასრულების შემდეგ დაიწყება მუშაობა კოკსის და ბრიკეტის ქარხნების ასაგებად.

საწარმოო თათბირები

პროფსაბჭოს ცნობებით, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საწარმოო თათბირებზე საქართველოში გადაწყდა 700 საკითხი, წარსულ წელიწად-ნახევარში კი გადაწყდა 600 საკითხი.

ბეჭდვითი სიტყვ. ის ც. ბიუროში

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ცენტრალურმა ბიურომ ტიპიური ხელშეკრულება გამოიმუშავა რეკლამებზე მომუშავე აგენტებისათვის.

ეს ხელშეკრულება ეგზავნება სამეურნეო მუშაკებს, ამასთანავე სექციის ცენტრალური ბიურო შეეკითხა მათ, თუ როგორია მათი აზრი რეკლამების აგენტების მტკიცე ხელფასზე გადაყვანის შესახებ.

ცხენთა მოშენება

ახალქალაქის მაზრაში მივლინებული იყო მიწათ-მოქ. კომ. ცხენოსანი. განყ. გამგე ამხ. წიქარაძე, რომელმაც იქ ჩაატარა წინასწარი მუშაობა ცხენთა კოოპერატიული ამხანაგობების დასაარსებლად. ასეთ ამხანაგობების მოწყობას დიდი ნიშვნელობა აქვს მეცხენეობის განვითარებისათვის. ხუთ წლიანი პერსპექტიული გეგმით ასეთ ამხანაგობებს მიეცემათ გრძელვადიანი სესხი. ამავე ამხანაგობებს ექნებათ შემოღებული ცხენთა გვარ-ტომობის წიგნაკები, რითაც გაადვილდება ცხენთა მოშენების საქმე რესპუბლიკის მასშტაბით.

ბრძოლა მალარიასთან

საქართველოს სამალარიო სადგურების მუშაობის გამოსაკვლევად მივლინებულ იყო ჯ. ს. კ. სამალარიო სექციის გამგე ექიმი **მარუაშვილი**, რომელთანაც დაბრუნებისას საუბარი ჰქონდა ჩვენს თანამშრომელს:

ამჟამად მალარიულ რაიონებში—განაცხადა ექიმმა მარუაშვილმა,—არსებობენ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სპეციალურ სამკურნალო დაწესებულებები—სამალარიო სადგურები, რომლებიც გახსნილია შემდეგ პუნქტებში: ყიარელში, ყარაიაზში, სამტრედიაში, ოზურგეთში, სენაკსა და ზუგდიდში. ორი წელიწადია რაც ეს სადგურები მოქმედობენ და დიდ დახმარებას უწევენ ხალხს. მალარია ჩვენში სოციალური სენია და სადგურებიც მალარიით ავადმყოფებს უფასოდ სწამლობენ—ურიგებენ ქინას და სხვა მედიკამენტებს.

განვლილმა დიდმა ეპიდემიამ რომლის განელებაში ამ სადგურებმა დიდი როლი ითამაშეს, მეტათ დატვირთა მუშაობით სადგურები. იყო შემთხვევა, როდესაც ავადმყოფთა რიცხვი ერთ სადგურზე დღეში 200-მდე ადიოდა.

გამოცხადებულ ავადმყოფთა საყოველთაო სისხლის გასინჯვის საშუალებით, ყველა პარაზიტიანი ავადმყოფი სადგურის მიერ აყვანილია აღრიცხვაზე და მას განსაკუთრებული ყურადღებით მკურნალობენ, რადგან თვით ასეთი ავადმყოფი არის პირველათ ყოვლისა ამ სენის გავრცელების წყარო. ამავე დროს სადგური აწარმოებს ყველა იმ მიზეზების შესწავლა-გამოკვლევას, რომელნიც ხელს უწყობენ მალარიის გავრცელებას ამა თუ იმ რაიონში, სადგური ლექცია-საუბრების საშუალებით მოუთითებს მოსახლეობას ამ მიზეზებზე და განუმარტავს მათ მათი მოსპობის შესაძლებლობას. მოზარდი თაობა, როგორც ყოველთვის, აქაც უფრო მეტი გატაცებით ეგებება ამ ანტიმალარიულ აგიტაციას და ზოგან აქტიურ მონაწილეობას იღებს მალარიის საწინააღმდეგო ბრძოლაში (მაგ. ზუგდიდი).

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის და ტროპიკული ინსტიტუტის უახლოეს მიზანს შეადგენს სადგურების მუშაობის გაფართოება და მუცლის ჭიის და ამებიაზის ანუ დეზინტერიის კვლევა-მკურნალობის საქმის სათანადოთ მოწყობა.

მუშაობამ დაგვარწმუნა, რომ ყველაზე ძლიერად დაავადებულია მალარიით სამტრედიის რაიონი, შემდეგ კახეთი (გაღმა მხარე) და გურია.

შემოდგომის მალარიის საწინააღმდეგო კამპანიის ჩასატარებლად სადგურებს ესაჭიროება 40 კილო ქინა, რის შეძენის თადარიგს კიდეც შეუდგა სანიტ-ეპიდემიური განყოფილება.

მალარიის გავრცელების ყოველმხრივ შესასწავლად შემუშავებულ იქნა განსაკუთრებული პერსონალური სააღრიცხვო ბარათები, რომელნიც დაეგზავნა სადგურებს შესავსებათ.

ამ ახლო ხანში ბორჩალოს მაზრაში მოეწყობა მესაქონლეობის საცდელ-საჩვენებელი ფერმა, სადაც მოაშენებენ საუკეთესო ჯიშის საქონელს.

გარდა ამისა ბორჩალოს აღმასკომს გადაწყვეტილი აქვს დაარსოს მერძევ-მეურნეთა გაერთიანებული კოოპერატიული ამხანაგობა, რომელსაც დაევალება ბაზრის გამონახვა მაზრაში დამზადებულ რძის პროდუქტებისათვის. შემოდგომიდან გაიხსნება მესაქონლეთა კურსები, სადაც მსმენელებს შეასწავლიან აგრეთვე მერძეობასაც.

ტვირთ-ზრუნვა

საქ. სტატისტ. სამმართველოს ცნობების მიხედვით საერთო ტვირთბრუნვა ა. წ. ივლისისათვის თბილისის, ბათუმის, ფოთისა და ქუთაისის სადგურებისა გამოიხატება შემდეგში:

შემოზიდულია სულ—10.643.74 ათასი ფ. საქ.; მათ შორის აზერბეიჯანიდან—5.928.90 ათასი ფუთი (ბათომზე მოდის 5.357.59 ათასი ფუთი); სომხეთიდან—29.23 ათასი ფუთი (თბილისზე მოდის—28.92 ათასი ფ.); რუსეთიდან—781.20 ათასი ფუთი (თბილისზე მოდის 645.72 ათასი ფუთი).

დანარჩენი ტვირთბრუნვა შინაური ხასიათის არის. ამავე სადგურებიდან გაზიდულია: სულ—890.45 ათასი ფუთი ტვირთი, რომელთაგანაც აზერბეიჯანზე მოდის — 105,46 ათასი ფუთი, სომხეთზე — 141,05 ათასი ფ., რუსეთზე—47,59 ათასი ფ., გაზიდვის დანარჩენი რაოდენობა შინაური ხასიათისაა, რომელიც ხდებოდა საქართველოს ფარგლებში.

ცხენთა გადარბენა

ონი, 15 აგვისტოს შქმერის უღელტეხილიდან ონში ჩავიდენ ცხენოსანთა გადარბენის მონაწილეები, რომელთაც თან ჩაჰყვა კავალერიის ინსპექტორი ჩაიკოვსკი. ცხენოსნები გზაში იყვნენ 5 დღის განმავლობაში, ყველანი კარგათ არიან და მშვენივრათ გრძნობენ თავს. 16 აგვისტოს დილით ადრე გადარბენის მონაწილენი გადავიდენ ლეჩხუმის მაზრაში და შემდეგ სვანეთში.

ფიზკულტურა

ფეხბურთელთა შეჯიბრება რიგაში

რიგა, 15 აგვისტო. გაიმართა შეჯიბრება საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდისა და ლატვიის სოციალ-დემოკრატების ნაკრებ გუნდს შორის. გაიმარჯვა საბჭოთა გუნდმა. შედეგი—2:0.

საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვება

პარიზი, 16 აგვისტო. ვენსენის ტყეში, პარიზის ახლოს შესდგა სასპორტო შეჯიბრი საბჭოთა ველოსიპედისტების და ატლეტების მონაწილეობით. ველოსიპედისტთა დოღში ათასი მეტრის გავლის პრიზი ერგო საბჭოთა ველოსიპედისტს. საესტაფეტო რბენა 800 მეტრის მანძილზე მოიგო საბჭოთა გუნდმა. ბადრის სროლაში პირველობა ერგო საბჭოთა სპორტსმენს. საესტაფეტო რბენა 500 მეტრის მანძილზე დამთავრდა აგრეთვე საბჭოთა გუნდის გამარჯვებით. დიდი ჯილდო 5.000 მეტრის გარბენაზე გათამაშებულ იქნა შემდეგი შედეგებით: პირველ ადგილზე ფრანგი, მეორეზე საბჭოთა სპორტსმენი. ქალ-სპორტსმენების შეჯიბრში რბენაში 80 მეტრზე, პირველობა ხვდა საბჭოთა სპორტსმენ ქალს, მეორე—ფრანგს. რბენაში 300 მეტრზე—პირველი და მეორე ადგილი დაიკავეს საბჭოთა სპორტსმენებმა.

მეცნიერება და ტეხნიკა

მიწის-ქვეშა გვირაბი გემებისათვის

ჩვენი წარმოდგენა გვირაბზე, როგორც სარკინის-გზო გზაზე, რომელიც გათხრილია მთებში, რამდენიმეთ უნდა შეიცვალოს.

ჩვენს საუკუნეში გვირაბებს თხრიან არა მარტო სარკინის-გზო, არამედ წყალის ტრანსპორტისათვისაც.

ასეთი გვირაბი, რომელიც ჯერ-ჯერობით პირველია მსოფლიოში, გათხრილია საფრანგეთში.

საფრანგეთში უკვე დიდი ხანია ცდილობდენ პირდაპირ სანაოსნო ხაზის მოწყობას მარსელიდან (ნავთსადგურია საფრანგეთის სამხრეთ-ნაპირებზე) ქ. როტერდამამდე (ჰოლანდია) და ამრიგათ ხმელთა შუა-ზღვის დაკავშირებას ჩრდილოეთის ზღვასთან. ამ გზაზე ჩრდილოეთ ნაწილში გამოყენებული უნდა ყოფილიყო მდ. რეინი, სამხრეთ-ნაწილში კი—რონა. მაგრამ რონა ხმელთაშუა-ზღვას ერთვის 40 კილომეტრის მანძილზე (დასავლეთით) მარსელიდან, რაც შეუძლებლად ხდის ამ ნავთსადგურის გამოყენებას. ამ ადგილას არხის გაყვანას, რომელიც მდინარეს მარსელთან შეაერთებდა, აბრკოლებდა დიდი მთა. მაგრამ მდინარე რონის ასეთ დიდ ნავთსადგურთან,—როგორიც მარსელია,—დაკავშირება ისეთ ფართე პერსპექტივებს უშლის საფრანგეთის ეკონომიურ განვითარებას, რომ საფრანგეთის მთავრობა არ დაერიდა დიდ ხარჯებს—რამოდენიმე ათეული მილიონი მანეთის დახარჯვას და დაამტკიცა პროექტი წყლის გვირაბის, რომელიც ახლა უკვე დამთავრებულია. გვირაბის სიგრძე უდრის 7 ვერსს, გაყვანილია იგი სრულიად პირდაპირი ხაზით ისე, რომ გვირაბის ერთი თავიდან სჩანს თეთრი წერტილი გვირაბიდან გამოსავალში.

გვირაბის განი უდრის 22 მეტრს, სიმაღლე 15 ნახ. მეტრს, რაც სავსებით საკმაოა საზღვაო სიდიდის გემების გასავლელად. გვირაბის გათხრის დროს გამოტანილი იქნა 2.300.000 კუბ. მეტრი მიწა.

იურიდიული რჩევა-დახმარება

კანონიერია თუ არა ადმინისტრაციის მოქმედება

კითხვა

გასული წლის აგვისტოს 15 რიცხვებში ჩემს სამსახურის ასრულების დროს სად. თბილისში მოვიხდა „დეტკას" აგენტთან ლაპარაკი, რის გამო მისივე განკარგულებით ვიყავი დატუსაღებული თვენახევრის განმავლობაში. საქმე შემდეგ გამოიძია საქართველოს სასამართლოს გამომძიებელმა და რადგან ვერ მცნო დამნაშავედ განმათავისუფლა. ამის შემდეგ კიდევ გავიდა ორი კვირა და მე დამიშვეს ჩემს თანამდებობაზე, მხოლოდ (ორი თვის) განსაცდელი დროისა ჯამაგირი და განსხვავება არ მოგვცა ჩვენმა ადმინისტრაციამ.

კანონიერია თუ არა ადმინისტრაციის მოქმედება, ან ვის მივმართო და როგორ მოვიქცე? ვარ პროფკავშირის წევრი (წ. № 1556).

სოფ. თბილისის რკ.-გზ. კონდუქტორი
იერემ ჟანელიძე.

პასუხი

თანახმად ა.-კ. შრომის სახკომსაბჭოს 1925 წ. 16 იანვრის შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 47-ის აბზ. „ე"-ს განმარტების მუხ. მეოთხის მეორე ნაწილისა, ვინაიდან თქვენ წინაამდეგ წამოყენებული ბრალდება არ იყო დაკავშირებული თქვენ სამუშაოსთან და იგი (ბრალდება) არ იყო წამოყენებული თქვენი ადმინისტრაციის მიერ, შესაძლებელია, ადმინისტრაცია განთავისუფლებულ იქნეს განაცდენ თვეების შრომის ხელფასის გადახდისაგან, თქვენ სასარგებლოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი შემფასებელ-საკონფლიქტო კომისია ამაზე დათანხმდება. ამისათვის პირადად თქვენ გირჩევთ ამის შესახებ მიმართოთ სათანადო განცხადებით ადგილობრივ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიას.

ქვრივ რძალს საერთო ქონებიდან რაიმე წილი ეკუთვნის თუ არა?

კითხვა

მე მყავს რძალი (შვილის მეუღლე), რომელიც ამჟამად ქვრივია (თითქმის სამი წელიწადია, რაც ჩემი შვილი გარდაიცვალა). ცოლ-ქმარი ერთი წელიწადი ცხოვრობდენ ერთად. შემდეგ სიკვდილმა დააშორა ისინი ერთმანეთს. შვილის სიკვდილის შემდეგ დღემდე რძალი ცხოვრობს ჩემთან, ოჯახში.

ეხლა გთხოვთ მიპასუხოთ, ერგება თუ არა მას რაიმე წილი ჩემი უძრავ-მოძრავი ქონებიდან ან მის ყოფნის დროს შეძენილი ქონებიდან რაიმე წილი? [illegible] მას შვილი არა ჰყავს და არც არაფერი არა აქვს თავის პირველ ოჯახიდან მოტანილი.

დედამთილი თარო.

პასუხი

თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 40-ის შენიშვნისა, რძლად მოყვანილს აქვს იგივე უფლება კომლის საერთო მიწისა და ქონების სარგებლობაში, როგორც (თქვენი) ოჯახის (სხვა) ძირითად წევრებს. მას (რძალს) ეკარგება მხოლოდ უფლება მიწის სარგებლობისა სხვა ოჯახში (მაგ. თავის პირველ ოჯახში).

თქვენ რძალს აქვს სრული უფლება დარჩეს მის გარდაცვალებულ მეუღლის ოჯახში და მის სარგებლობაში მყოფ მიწა-წყალზე და არსებულ კანონების ფარგლებში დაამუშაოს მიწა და ისარგებლოს იმით.

მიწა-ტყის გაყიდვა დაუშვებელია

კითხვა

მე ვმსახურებ საბჭოთა დაწესებულებაში, მაქვს ოცი წლის სტაჟი. ვარ მძიმე ავადმყოფი (ტუბერკულოზით შეპყრობილი), სოფელში მაქვს მამული, რაიც შეიცავს 2.650 კვ. საჟენს. შემოღობილია და შიგ მოშენებულია ბაღი, საცხოვრებელი ორი თვალი სახლით თავის სამზარეულოთი და პურ-მარანით, რომელსაც პატრონობს მოხუცი დედა (წლოვანებით 75 წლის).

დედა მოხუცია და მეც მძიმე ავადმყოფი ვარ. გთხოვთ მომეცით ახსნა-განმარტება: შემიძლია თუ არა გაყიდვა ამ ჩემი კუთვნილ ქონების, მით უმეტეს რომ მე ჩემი ავადმყოფობის გამო სოფელში ცხოვრება არ შემიძლია და არც მამულის მოვლის საშუალება მაქვს.

ს. დ—ძეს.

პასუხი

თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 2-სა საბ. საქართველოს მთელი მიწა-წყალი, ვის სარგებლობაში და განკარგულებაშიაც უნდა იყოს იგი, შეადგენს მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს საკუთრებას. ამიტომ მათი (ე. ი. მიწის და ტყის) ყიდვა-გაყიდვა, ანდერძით გადაცემა, გაჩუქება და დაგირავება სასტიკად აკრძალულია. ამ წესების დამრღვევნი დაისჯებიან სისხლის სამართლის წესით, გარდა ამისა, რომ ჰკარგავენ იმ მიწას, რაც მათ სარგებლობაშია, ხოლო თვით ხელშეკრულება კი გაუქმებულად ჩაითვლება.

დანარჩენი ქონების გაყიდვა, თუ იგი თავისუფალია სახელმწიფოებრივი და სხვაგვარ პრეტენზიისაგან, შესაძლებელია.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ დღეს, 18 აგვისტოს, საღამოს სრულ 6 საათზე ახალ მუშათა კლუბის შენობაში (სახაბლის ქ. №5) შესდგება პროპაგანდისტების გადასამზადებელი კურსების საორგანიზაციო თათბირი. ყველა გამოყოფილი ამხანაგების დასწრება დანიშნულ დროზე სავალდებულოა.

ხუთშაბათს, 19 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე ახალ მუშათა კლუბში (კომინტერნის ქ. №5) შესდგება თბილისის ორგანიზაციის პროპაგანდისტთა კურსების საორგანიზაციო კრება (ქართული, რუსული და სომხური ჯგუფების).

რაიკომების მიერ კურსებზე გამოყოფილთა დასწრება სავალდებულოა.

ხუთშაბათს, 19 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში მოწვეულია მეოთხე რაიონის საბინაო-სამეურნეო ამხანაგობათა ფრაქციების თათბირი.

ფრაქციების ყველა წევრების და ამხანაგობათა გამგეობების კომუნისტ-წევრების დასწრება სავალდებულოა.

ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს №№ 2, 4, 12, 24, 29, 34, 35, 36 და 39 უჯრედების მდივნებს გამოცხადდენ რაიკომში (მუშაობის საათებში) 18 და 19 აგვისტოს.

სახ. უნივერსიტეტის და მუშათა ფაკულტეტის კომკავშირის გაერთიანებული უჯრედის ბიურო იუწყება, რომ ხუთშაბათს, 19 აგვისტოს, საღამოს სრულ 5 საათზე შესდგება უჯრედის კრება. დასწრება სავალდებულოა წევრებისა და კანდიდატებისათვის.

საქ. კომ. პარტ. მე-2 რაიკომი სთხოვს ამხ. კონსტ. სულაქველიძეს შემოიაროს რაიკომის საორგ.-გამ. განყოფილებაში ამხ. გოგოლაძესთან ა. წ. 19 აგვისტოს 8-დან ორნახევარ საათამდე.

ს. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი იუწყება, რომ ხუთშაბათს, 19 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე რაიკომის ბინაზე შესდგება მიმღები კომისიის სხდომა.

ღრმად დამწუხრებული დედა ქვრივი ალათი სამსონ ანჯაფარიძის ასული დგებუაძისა, დები: სონია, გოგუცა და მარგალიტა გუია დგებუაძის ასულნი, ძმა ნიკოლოზი (კოლია) გუიას-ძე დგებუაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებულ

ვასილი (ტუტუ) გუიას-ძე
დგებუაძის

ორმოცი დღის ჩამოტირილი დანიშნულია 21 აგვისტოს ახ. სტილით დღით შაბათს, სოფ. ქინოთაში, სენაკის მაზრა. 3284

ღრმად დაწუხრებული მშობლები: დედა ერმონი, მამა პეტრე, ძმა დავითი, დები ქეთევან და ტატიანა, ბიძები—პორფილე, ამბაკო და ტრიფონ უფლისას-ძე ნიორაძეები, თავიანთი ცოლშვილით, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობრებს ძვირფასი და მარადის დაუვიწყარის

ფეფუცას (ეფემიას)

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ა. წ. აგვისტოს 19 სოფ. აჯარაში (ძირულის თემი, შორაპნის მაზრა). 1681

საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო", პლეხ. № 105).
საზაფხულო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
ნ. 1613 0—13

ნორმა ტოლმეჯ სურათში
ზეინაბ და რამლიკა
ჩქარა—„მანდრენ"
პატ და პატაშონ ორიგინალურ სურათში
„კინო-ფლირტი"
ხუთშაბათიდან: „ველური კატა"

კვირას, 22 აგვისტოს 1926 წ. გურჯაანში
შესდგება კახელ-მევენახეთა კოოპერატიული საზ—ბა
„კახეთი"-ს
რწმუნებულთა ჩვეულებრივი
საზოგადო კრება
განსახილველია:

1. გამგეობის მოხსენება 1923—1924 საანგარიშო წლის მუშაობის შესახებ.
2. გამგეობის მოხსენება 1924—1925 საანგარიშო წლის მუშაობის შესახებ და ინფორმაციულ მოხსენება 1925—1926 საანგარიშო წლის მუშაობის შესახებ.
3. საბჭოს მოხსენება.
4. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
5. წესდების გადასინჯვა.
6. 1925—1926 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა
7. გამგეობის, საბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
8. მიმდინარე საკითხები.

ნ. 1662 1—1. გამგეობა.

ანონსი
კინო
ხვალ
ეთერი
საუკეთესო
სურათი
ველური
კატა
მონაწილეობენ: დოროტეა დალტონ და მილტონ სილს.
ნ. 1682

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

ექიმი
მებრაგიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, შაბათ-კვირაობით ავადმყოფები მიიღებიან გარაკ. მანგლისში. 25—1

აჭარის-წყალის ჰიდრო-ელექტრონის
სადგურის
საამშენებლო კომიტეტი
იწვევს გამოცდილ ბუხჰალტერს
„აწჰესის" მთავარ ბუხჰალტერის თანამდებობაზე.
ჯამაგირი 200—300 მანეთამდე სტაჟის მიხედვით.
განცხადება და დოკუმენტები წინანდელ სამსახურის ადგილის შესახებ უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით: ბათომი, „აწჰესის" საამშენებლო კომიტეტი, სასაფლაოს ქუჩა № 9. ნ. 1675 3—2

თბილ. აღმასკომის ადმინისტრატიული
განყოფილება
ამით აცხადებს, რომ ა/წ. 18 აგვისტოდან დაიწყება ქ. თბილისის ფარგლებში მდებარე ყველა საცხოვრებელ სახლებისათვის 1926 წ. 27—28 წლის საბინაო დავთრების გაყიდვა. გასული წლის დავთრები გამოცვლილ უნდა იქნეს ახლით, მიუხედავათ იმისა, დარჩენილია თუ არა გასული წლის დავთარში თავისუფალი გაუხმარებელი ფურცლები. საბინაო დავთრები შეძენილ უნდა იქნეს თანახმად თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის დამტკიცებულ დებულებისა სამისამართო ბიუროს ორგანიზაცია—მუშაობის § 11 1-ლ შენიშვნის ძალით, საცხოვრებელ სახლების მეპატრონეების, გამგეების ან მმართველების ხარჯზე.

საბინაო დავთრების გაყიდვა იწარმოებს ხაზინის ქუჩა № 5 (ხაზინის გვერდით) დილის 8 საათიდან 1 ნახ. საათამდე შემდეგი განაწილებით: აგვისტოს 18-დან სექტემბრის 5-მდე: 1, 2, 3, 4, 5 სამილ. რაიონებში მდებარე სახლებისათვის.

სექტემბრის 5-დან 30-მდე 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, სამ. რაიონ. მდებარე სახლებისათვის.

საბინაო დავთრების ფასები:

20 ფურცლიანი . . .	35 კ.
30 „ . . .	60 კ.
60 „ . . .	70 კ.
100 „ . . .	1 მ.
200 „ . . .	1 მ. 80 კ.

ყველა საცხოვრებელ სახლის მეპატრონე, მმართველი ან გამგე—კომენდანტი ვალდებულია ზემოხსენებულ რიცხვში აღნიშნული განაწილებით გამოცხადდეს დანიშნულ ადგილას ძველი საბინაო დავთრით ახლის შესაძენად და თან წარმოადგინოს ცნობა შემდეგი ფორმით:

ცნობა
სამისამართო ბიუროს გამგეს

№№	სახლის პატრონის, გამგის ან მმართ. გვარი სახელი და მამის სახელი (ვრცლად და გარკვ.)	სამილიციო უბანი	ქუჩის სახელი	ქუჩის ნომერი	სახლის №-რი	შენობის აწერილობა: რამდენ სართულ.	შენობის აწერილობა: თითოეულ. რაოდენობა	[illegible]	შენიშვნა

სახლის პატრონის ან გამგის ხელის მოწერა

ვინც ამ განცხადებით განსაზღვრულ ვადაში არ შეიძენს ასეთ საბინაო დავთარს და დღიდან შეძენისა ორი კვირის ვადაში გასული წლის საბინაო დავთრებიდან ახალში არ გადმოსწერს სახლში ფაქტიურად მცხოვრებ მდგმურებს და არ შეამოწმებს სათანადო სამილიციო რაიონთან არსებულ სამისამართო მაგიდაში ასეთები, თანახმად თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის სავალდებულო დადგენილებისა № 24 დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით იძულებითი მუშაობით ან დაპატიმრებით ორ თვემდე ან დაჯარიმებით 100 მანეთამდე.

აღმასკომის ადმინისტრატიულ
განყოფილების უფროსის მაგიერ მკურნალი
სამისამართო ბიუროს გამგე: ახათიანი.
2—2 ნ. 1677

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34
0—1

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს ტიპო-ლიტოგრაფიაში (შეკვეთის ბარათი № 0394)
უკვე იბეჭდება ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის
ანტოლოგია-კრებული
ტომი პირველი.
ვსთხოვთ ძველი ხელისმომწერლებს დააჩქარონ ხვედრი ფულის შემოტანა, ხოლო ახლებს—გამოწერა. ხელისმოწერით თითოეული ტომი ღირს ოთხი მანეთი. (ანტოლოგია გამოდის ორ ტომად).
გამოსვლის შემდეგ თითო წიგნი ეღირება 6 მანეთი.
რედაქტორ-გამომცემელი ია ეკალაძე.
მისამართი: თბილისი, ყიფიანის ქუჩა № 11.
ნ. 1669 3—2

თბილისის სასაკლაოზე
უკვე მუშაობს
ყინულის ქარხანა
და მსურველებს შეუძლიათ ყოველდღე დილიდან საღამომდის მიიღონ ხოლმე ყინული თვით ყინულის ქარხანაშივე შემდეგ ფასებში: სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებებს—40 კ. ფუთი, კერძო პირებს კი—55 კ. ყველა საჭირო ცნობების მიღება ყინულის შეძენის შესახებ შეიძლება თვით სასაკლაოში დირექტორთან, აგრეთვე ტელეფონით № 8—66.
ნ. 1678 3—2 სასაკლაოების დირექტორი: ბოკერია.

მეჯვრისხევის
მთლიანი კოოპერატივის
სალიკვიდაციო კომისია
ამით აცხადებს ყველა კრედიტორებს საყურადღებოდ, რომ მათი პრეტენზიები ზემოაღნიშნულ კოოპერატივისადმი მიმართული, უნდა განაცხადონ სალიკვიდაციო კომისიაში, არა უგვიანეს 26 აგვისტოსი მისამართით: სოფ. მეჯვრისხევი, გორის მაზრა.
3293. სალიკვიდაციო კომისია.

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ძამოევი
ამით აცხადებს, რომ 21 აგვისტოს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში ნავთლუღში საჯარო ვაჭრობით გაყიდის ილიკო მჭედლიშვილის მოძრავ ქონებას: მაგიდას, სკამებს და სხვ. შეფასებულს 225 მანეთად, სოლომონ ზარდიაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის ოლქის სახალხო სასამართლოსაგან 19 ნოემბერს 925 წ. თარიღით № 24538 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3288

ქ. თბილისის 2-რე რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ლ. ს. სვიატოდუხოვი
ამით აცხადებს, რომ 23 აგვისტოს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 7 ზაქარიევის შესახვევი საჯარო ვაჭრობით გაყიდის მეერ დათიკაშვილის მოძრავ ქონებას: ბინის მოწყობილობას, შეფასებულს 62 მანეთად, ლევან ბუთხუზის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 9 აგვისტოს 1926 წ. თარიღით № 1686 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3287

ქ. თბილისის მეოთხე რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ქ. კოტემკოვსკი
ამით აცხადებს, რომ 21 აგვისტოს მე-2 საჯარო ვაჭრობით გაიყიდება: 1. სხვადასხვა ფირმის ღვინო, კონიაკი და არაყი, რომელიც აწერილია სერგო ტერ-სიმონიანცის და ივანე როგაჩევის ვალში და შეფასებულია 118 მან. და 63 კაპ. გაყიდვა დაიწყება დღის 12 საათზე მეეტლეების საზოგადოების სასადილოში, კარლ მარქსის მოედანზე (ყოფ. ვორონცოვის); 2. საბარგო ეტლი და 2 ცხენი, რომლიც აწერილია სერგო ტერ-სიმონიანცის ვალში და შეფასებულია 700 მანეთად, გაყიდვა მოხდება ნაშუადღევის 1 ნახ. საათზე დესიმონოვის მოედანზე, სასწორის პირდაპირ. ქვ. 3283

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8.

წყლებით სამკურნალო
(ხაზინის ქ. № 1)
ახლად შეკეთებულია და მუშაობს ყოველდღე, დილის 6 საათიდან საღამოს 7 საათამდი.
წყლის მკურნალობის ყველა მეთოდები ტარდება გამოცდილი ექიმი-სპეციალისტის ხელმძღვანელობით.
ავადმყოფობანი: ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის მოშლა, ნიკრისის ქარები, რევმატიზმი, ნევრასტენია, ნევრალგია, ნევრიტები, გულის და სახსრების ავადმყოფობა
პირველად მოსულ ავადმყოფთა მიღება დილის 8—10 საათამდე.
25—3 ნ. 1650

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3.

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე.
საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—2

ექიმი შუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები. მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ. № 89 25—1

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").
[illegible] სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი. შეშხაპუნება „914". ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე ქალები 12—2 საათ. დღის.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად. 25—

დავკარგე პირადი წიგნაკი № 7372, მიღებული ასურეთის სამხ. მაგიდიდან თედო ალდგომელაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3294

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 68, ეთერი ნიკოლოზის ასული დაუშვილის სახელზე, ჩ. გ. 3295

დავკარგე სიმწიფის მოწმობა № 412, ტიტე პანტურიას სახელზე, ჩ. გ. 3294

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 2069, ზურაბ ივანეს-ძე მახარაძეს სახელზე, ჩ. გ. 3289

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 1075 ალექსანდრე გუგაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3285

დავკარგე ლომბარდის ქვითარი № 14250, ვასილ არაბიძეს სახელზე, ჩ. გ. 3292

დავკარგე საჰაერო პატენტი № 731, აღებული სიღნაღის შემოსავალ-გასავლის სამმართველოდან ისაკ შამუელიძე იოსებაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3291

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი გიორგი ანატოლის-ძე ბერლინსკის სახელზე, ჩ. გ. 3290

დავკარგე თამასუქები 2 ცალი: ერთი 400 მანეთიანი ფილიპე თედორაძის ხელმოწერილი და მეორე 200 მან კონსტა ჩინჩალაძის ხელმოწერილი, პირადობის მოწმობა, კავშირის წიგნაკი და ქვითარები, ფილიპე თედორაძის სახელზე, ჩ. გ. 3281

დავკარგე პირადობის მოწმობა № 265, სამხედრო საალრიცხვო წიგნაკი № 1711, კავშირის წიგნაკი № 3728, ისაკ ჯანაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3282

დავკარგე საბინაო დავთარი მე-11-ტე სამილიციო უბანში ტულსკის ქუჩის შესახვევი კონსტანტინე ლუტიძეს სახელზე, ჩ. გ. 3288

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. 68